

იუსტიციის მინისტრი პენიტენციური სისტემის რეფორმით კმაყოფილია

A7



მიგვიშვით ღუმელთან ბატონებო...

B3



საფინი პირველია... უილიამსიც

B4


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 31 იანვარი, 2005 წელი. №21 (881)

ფასი 50 თეთრი


## უცხოეთი



### კიმ ჩენ ირს ჩინეთში გასაქცევი გზა აუშენეს

ჩრდილოეთი კორეის ლიდერი კიმ ჩენ ირი, საფრთხის შემთხვევაში, ქვეყანას სპეციალური გზით დატოვებს, რომელიც სპეციალურად ამ შემთხვევისთვის ააშენეს, - წერს გაზეთი "ვორლდ ტრიბუნი".

A5

## საზოგადოება



### სინათლე უსინათლოთა თვალებში

ისინი ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან, მაგრამ მათი მდგომარეობა სოციალურად დუხჭირ ქვეყანაში განსაკუთრებულად მძიმეა.

A6


იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7


# "გამოცხადებული პრივატიზაციის ქრონიკები"

"საოკეანო სანაოსნო კომპანიის" პრივატიზება უამრავ უპასუხო კითხვას აჩენს



*"საოკეანო სანაოსნო კომპანიის" პრივატიზაციის პროცესი ტრაგიკომიკურ ელფერს იძენს.*
*"გამჭვირვალე" და ობიექტური სატენდერო პროცესი, რომლის შესახებაც საქართველოში ცნობილი, პირველად პოსტ-ფაქტუმ, იან ნილსენის "გრინოუკთან" გაფორმებული მემორანდუმის შემდეგ გახდა, საბოლოოდ ისე დასრულდა, რომ ჯერ კიდევ გაურკვეველია, ვინ არის და რას წარმოადგენს "საქართველოს საოკეანო სანაოსნოს" ახალი მფლობელი, რომელიც თავზე საკმაოდ სერიოზული პირობების დაკმაყოფილებას იღებს.*

თამარ ხორბალაძე

შეგახსენებთ, რომ გამარჯვებული კომპანია აპირებს: გადაიხადოს სანაოსნოში 161 მილიონი აშშ დოლარი - ამ თანხიდან 72 მლნ აშშ დოლარი გერმანიის ბანკების მიმართ "საოკეანო სანაოსნოს" ვალის დაფარვას მოახმაროს, ხოლო 89 მლნ აშშ დოლარი ქვეყნის ბიუჯეტში შეიტანოს. გარიგების პირობების მიხედვით, სანაოსნოს ახალი მეპატრონე 12 წლის მანძილზე შეუნარჩუნებს მეზღვაურებს სამუშაო ადგილებს და 30-მდე გაზრდის

გაგრძელება A4 გვერდზე

# 40-პროცენტიანი პრეზიდენტი

„24 საათის" საკუთარი კორესპონდენტი აფხაზეთში

"აფხაზეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის შესახებ" ახალი საკონსტიტუციო კანონის თანახმად, რაულ ხაჯიმბას მთავარი კოზირი ის კი არ გახლავთ, რომ იგი პრეზიდენტის უფლებამოსილების ორმოც პროცენტს ფლობს, არამედ ის, რომ ამ ორმოც პროცენტში საგარეო პოლიტიკასა და ძალოვან სტრუქტურებზე კონტროლია ჩატეული. ფაქტობრივად, ხაჯიმბა იქნება "ორმოცპროცენტიანი პრეზიდენტი," რომლის ხელშიც ქვეყნის მართვის უმნიშვნელოვანესი სადავეები მოექცევა, მაშინ, როცა ბაგაფში მხოლოდ საშინაო ეკონომიკაზე იქნება პასუხისმგებელი. უნდა ითქვას, რომ ფორმალურად ბაგაფში სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების დიდ ნაწილს აკონტროლებს. თუმცა, როგორც პრეზიდენტობის ერთ-ერთმა ყოფილმა კანდიდატმა ანატოლი ოტირბამ სულ ცოტა ხნის წინ აღნიშნა, **"სწორედ ძალოვან სტრუქტურებზე კონტროლი გახლავთ სახელმწიფოს პრეროგატივა და სახელმწიფოს მეთაურისთვის ამ ფუნქციის ჩამოშორება მისი ხელისუფლების კასტრირების ტოლფასია".**

რესპუბლიკის მართვაში ხაჯიმბას გავლენის დღევანდელი დონე საშიშია არა იმიტომ, რომ ხაჯიმბა "კრემლის ხელად" ითვლება. თუ მოსკოვში ბაგაფშისა და ხაჯიმბას ბოლო ვიზიტს შევაფასებთ, მაშინ ცხადად დავინახავთ, რომ ხაჯიმბა აღარ არის "კრემლის ხელი," მოსკოვში აქცენტი ბაგაფშზე გაკეთდა და კრემლმა ნათლად გვაჩვენა, რომ საქმეს სწორედ ბაგაფშთან დაიჭერს. მოსკოვში "ბაგაფშოფობიამ" უკვე ჩაიარა, წარსულს ჩაბარდა.

აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ხაჯიმბას ზეგავლენის მაღალი დონე ორი ფაქტორის გამოა საშიში, რაც უთუოდ სახიფათოდ აისახება ახალი ადმინისტრაციის მიერ ქვეყანაში დაგეგმილ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ რეფორმებზე. პირველ რიგში, ახალი ვიცე-პრეზიდენტის საკადრო პოლიტიკაზე აუცილებლად შეეცდება ზეგავლენა მოახდინოს არძინბამ. და მეორე, ხაჯიმბაზე იგივე ზეგავლენის მოხდენას შეეცდება არძინბას გარემოცვაც. თუ ვიცე-პრეზიდენტი არძინბას კონტროლქვეშ მოექცევა, მაშინ ყოფილი პრეზიდენტი პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენის სერიოზულ ბერკეტებს შეინარჩუნებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მსოფლიო თასი ქართულად - სროლით დასრულდა

გიგა გურასაშვილი

*ორი დღით თბილისში შემორბენილმა ძიუდოისტთა მსოფლიო თასმა სპორტის სასახლეში უამრავ გულშემატკივარს მოუყარა თავი. თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს არც აქამდე აკლდა მაყურებელი, მაგრამ იმან, რაც შაბათ-კვირას სპორტის სასახლეში ვნახეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მოლოდინს გადააჭარბა შედეგებმაც. ყოველ შემთხვევაში, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა გვითხრა: რომ გავიმარჯვებდით, ეჭვი არ მეპარებოდა, მაგრამ თუ ხუთი "ოქრო" ჩვენ დაგვრჩებოდა, არ მეგონაო. ტურნირის შემდეგ საქართველოს ნაკრების წარმატება "მაკაროვებიდან" მიჯრით სროლითაც "აღინიშნა".*

გაგრძელება B5 გვერდზე



# რადიაციული ნარჩენები და ლეიკემიით დაღუპული ოთხი ბავშვი

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*ბოლო ორი წლის სტატისტიკური მონაცემებით, დედოფლისწყაროს რაიონის სოფლების - არხილოსკალოსა და ზემო ქედის მოსახლეობაში ონკოლოგიურად დაავადებულთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ამ განუკურნებელი სენით განსაკუთრებით მოზარდები ავადდებიან. სოფლის მოსახლეობის თქმით, ამის მიზეზი შირაქის ტერიტორიაზე განლაგებული ყოფილი რუსული სამხედრო ბაზაა, სადაც დღემდე რადიაციული ნივთიერებებია შემორჩენილი. ამის შესახებ ინფორმაცია ლოგისტიკის ხელმძღვანელობამაც დაგვიდასტურა.*

შირაქის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ყოფილი სამხედრო ბაზა ბოლო წლების განმავლობაში უკვე საშიშ ზონას წარმოადგენს. მოსახლეობაში პანიკა განსაკუთრებით მას შემდეგ შეიქმნა, რაც აქ ეუთო-მ გამოუყენებლი საბრძოლო ბომბების და ნაღმების უტილიზაცია დაიწყო.

ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ლეიკემიით უკვე ოთხი არასრულწლოვანი გარდაიცვალა. განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა სოფელ ზემო ქედში. აქ მოსახლეობის უმრავლესობას ხშირად თავის ტკივლები და ანევრიზმის შეტევის შემთხვევები აღენიშნება, თუმცა ამის შესახებ სოფლის ამბულატორიის ექიმებს საუბარი სასტიკად ეკრძალებათ. ერთადერთი, ვინც აღნიშნულ სოფლებში ბოლო წლებში ონკოლოგიურ დაავადებათა მკვეთრი ზრდის შესახებ ჟურნალისტებთან ისაუბრა, დედოფლისწყაროს რაიონული

გაგრძელება A2 გვერდზე

# ეკონომიკური ზრდის "გაყინვა" რუსეთში

ეგორ გაიდარი

მინდა, რომ რუსეთი მონოტონური ქვეყანა იყოს – ყოველ შემთხვევაში, უახლოესი ათწლეულების მანძილზე მაინც. მეოცე საუკუნეში რუსეთმა, უდავოდ, რეკორდი დაამყარა, ყველანაირი გადატრიალებითა და სოციალური ექსპერიმენტებით, რომლებმაც მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. შესვენება აუცილებელია.

ეს მიზანი თითქმის მიუღწეველი ან სულ მცირე შესაძლებლობას აღემატებოდა – 2003 წლის პირველ ნახევრამდე. მოსკოვში აკრედიტებული უცხოელი კორესპონდენტები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ პუტინის რუსეთში არაფერი ხდებოდა. რუსეთის ეკონომიკაში ინვესტიციები სწრაფად იზრდებოდა. სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლები მიჩვეული არ არიან, დიდხანს დატოვონ ქვეყანა და დანარჩენი მსოფლიო მოულოდნელობების გარეშე, რომელიც შეიძლება ყურადღების ღირსი იყოს.

არასაიმედოობის განცდის დამკვიდრება – მოსახლეობის დამორჩილებისა და პოტენციური ინვესტორების დაშინების საუკეთესო საშუალებაა. რამდენად დემოკრატიული ან არადემოკრატიულია რეჟიმი, როგორც წესი, ინვესტორებს არ აინტერესებთ. ყველაფერი, რაც მათ სჭირდებათ, ეს არის სტაბილური და პროგნოზირებადი წესები.

გაგრძელება A5 გვერდზე

## ამინდი

| | 31/1 | 1/2 |
|---|---|---|
| თბილისი | 13 | 12 |
| ქუთაისი | 12 | 13 |
| ბათუმი | 13 | 15 |
| სოხუმი | 9 | 9 |
| ფოთი | 12 | 13 |
| თელავი | 12 | 10 |
| ზუგდიდი | 11 | 13 |
| გორი | 9 | 7 |
| ახმეტა | 12 | 10 |
| ჭიათურა | 11 | 9 |
| გაგრა | 8 | 7 |
| სამტრედია | 12 | 13 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8201 |
| ევრო | 2.3732 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4329 |
| რუბლი | 0.0648 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | ისტორია | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| მონიტორინგი | A8 | სხვადასხვა | B8 |

## საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

აფხაზეთის თვითგამოცხადებული პრეზიდენტის სერგეი ბაგაფშის განცხადება იმის თაობაზე, რომ ქართულმა მხარემ მოლაპარაკებებზე უარი თქვა, სრული სიცრუეა. გასულ წელს მოლაპარაკებები ცალმხრივად სწორედ აფხაზურმა მხარემ შეწყვიტა. სეპარატისტები იმასაც აცხადებენ, რომ ეთნიკური ქართველების უმრავლესობას აფხაზეთში დაბრუნების უფლება არა აქვს.

საქართველოს მთავრობა არასოდეს შეურიგდება ეთნიკური წმენდის დაკანონების მცდელობას. ამავე დროს, ქართული მხარე მზად არის, რომ მოლაპარაკებები, აფხაზეთში დევნილთა დაბრუნებისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების თაობაზე, ნებისმიერ დროს განაახლოს.

საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის სთავაზობდა აფხაზეთს ფართო ავტონომიას და აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიას.

**საქართველოს პრეზიდენტის
ადმინისტრაციის მასმედიასთან და
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

## სამაჩაბლოში სააკაშვილის ინიციატივას აკრიტიკებენ

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლის და სამხრეთ ოსეთისათვის შეთავაზებული სამშვიდობო ინიციატივის განხილვის მიზნით, ცხინვალში მრგვალი მაგიდა გაიმართა, რომელშიც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ღებულობდნენ მონაწილეობას.

სამხრეთ ოსეთის საზოგადოებამ უკმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ საქართველო არ აგვარებს სოციალური და ეკონომიკური ხასიათის საკითხებს, ამასთან, 1920 და 1989-1992 წლების მოვლენებს შეფასებას არ აძლევს.

შეკრებილებმა აღნიშნეს, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ უნდა გაითვალისწინოს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 95 პროცენტის აზრი, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ოსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას.

ამასთანავე, მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა უკმაყოფილება გამოთქვეს მიხეილ სააკაშვილის ნობელის პრემიაზე წარდგენის გამო და ამასთან დაკავშირებით სპეციალური მიმართვაც მიიღეს, რომელიც ნობელის კომიტეტს გადაეგზავნა.

**"მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური ლიდერია, რომელიც ხელისუფლებაში არაკონსტიტუციური გზით მოვიდა და ნაყოფიერი მუშაობის ნაცვლად, ქაოტური, დამანგრეველი მოქმედება დაიწყო,"** – აღნიშნულია მიმართვაში და ხაზგასმულია, რომ "ვარდების რევოლუციამ" ვერ გაამართლა,ვინაიდან ქვეყანაში უამრავი პრობლემებია როგორც ცხინვალთან მიმართებაში, ისე აჭარაში, სადაც **"სუფევს კორუფცია,"** ქვეყანაში მასობრივი უმუშევრობაა და აქედან გამომდინარე, **"საქართველოში დემოკრატიაზე საუბარი რეალობისგან ძალზედ შორსაა."**

**"ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ხდომაზე სიტყვით გამოსვლისას და სამხრეთ ოსეთში არსებულ პრობლემებზე საუბრისას, მიხეილ სააკაშვილი, რასაკვირველია, მხოლოდ საკუთარ იმიჯზე ზრუნავდა. დემოკრატია სხვისი აზრის პატივისცემას გულისხმობს. საქართველოში ახლა მხოლოდ ერთი აზრი მუსირებს – მიხეილ სააკაშვილის მოსაზრებები,"** – ნათქვამია მიმართვაში.

*24 საათი*

## ხუთი ნაბიჯი კონფლიქტების მოგვარებისკენ

*არასამთავრობო ორგანიზაციები განაგრძობენ პრეზიდენტის "დაკვეთაზე" მუშაობას. მესამე სექტორის წარმომადგენლები თავს არ ზოგავენ, რათა მიხეილ სააკაშვილის მაგიდაზე კონფლიქტების მოგვარების სრულყოფილი კონცეფცია დადონ. ამ ფერხულში ჩაბმულია "კავკასიის ქალთა კვლევითი და საკონსულტაციო ცენტრიც", რომელმაც ამას წინათ პარლამენტში თავისი პროექტის პრეზენტაცია მოაწყო.*

გიორგი ასანიძვილი

ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნინო ციხისთავი საუბრობს იმ ხუთი ნაბიჯის გადადგმის მიზანშეწონილობაზე, რომლებიც ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკურ-ეკონომიკურ ბერკეტებად შეიძლება იქნეს გამოყენებული.

**ნაბიჯი პირველი.** მოეთხოვოს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (სეცესირებული რეგიონების ჩათვლით) ფინანსური ოპერაციები განახორციელონ ეროვნულ ვალუტაში - ლარებში.

პროექტის ავტორების აზრით, ამ შემთხვევაში, კონფლიქტის ზონაში გაჩნდება ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, რასაც მოჰყვება საქართველოს ეროვნული ბანკის ფილიალების გახსნა აფხაზეთსა და ცხინვალში, ეს კი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ფინანსურ-ეკონომიკური ინტეგრაციისკენ.

**ნაბიჯი მეორე.** უნდა შემუშავდეს სპეციალური კანონი, რომელიც დაავალდებულებს საერთაშორისო პროექტებში მონაწილე კონფლიქტური ზონის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, შესაბამისი გადასახადების გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტში მოახდინონ.

ამ პროცესის ტექნიკურად გასაიოლებლად, "კავკასიის ქალთა კვლევით და საკონსულტაციო ცენტრს" შესაძლებლად მიაჩნია, რომ პროექტის საბიუჯეტო გრაფაში მითითებული დარიცხული თანხა თავიდანვე დაიბეგროს, ხოლო ხელზე გასაცემი თანხა გაიცეს ეროვნულ ვალუტაში.

**ნაბიჯი მესამე.** საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ, გარკვეული პერიოდულობით, უნდა წარმოადგინოს დეტალური ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დაეხმარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში, აგრეთვე, შექმნა სამუშაო გარემო დემოკრატიული ღირებულებების დანერგვისა და განვითარებისთვის.

ამით დადასტურდება, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აფხაზებისა და ოსების მიმართ ბლოკადას კი არ ახორციელებს, არამედ სეცესირებულ რეგიონებში ხელს უწყობს საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან დიდი ოდენობის თანხისა და რესურსების შეტანას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახის განვითარებას.

**ნაბიჯი მეოთხე.** ყველა ფინანსური ოპერაციის ქართულ ეროვნულ ვალუტაში განხორციელების შემთხვევაში, აფხაზურ და სამხრეთოსურ მოსახლეობაში მოხდება ერთგვარი ლუსტრაცია და ფართო ასპარეზი მიეცემა მრავალ ადამიანს, რომლებიც სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებაში.

კონცეფციის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ასეთ სახელმწიფოებრივ მიდგომას მოჰყვება მთავარი შედეგი - გაიზრდება სახალხო დიპლომატიაში მონაწილე ადამიანების რიცხოვნება და ეს პროცესი გახდება გაცილებით ქმედითი და ეფექტური და არა ჩაკეტილი, სტაგნაციური კვაზი-მოდელი, რომელიც ამჟამად გვაქვს.

**ნაბიჯი მეხუთე.** ამ მოდელის დანერგვის შემდეგ საქართველოს ბიუჯეტში შესული თანხა ჩაირიცხება ცენტრალური ბიუჯეტის ახალ გრაფაში "სამშვიდობო ოპერაციებისა და კონფლიქტების მოგვარების სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები."

**"თუ ქვეყანა აცხადებს, რომ ის მხოლოდ მშვიდობიანად, პოლიტიკური ხერხებით მოაგვარებს კონფლიქტებს და, ამავე დროს, ხელცარიელია და არ გააჩნია სახსრები, მას ძნელად თუ დაეჯერება. ხოლო როცა სამშვიდობო პროგრამებს მოემსახურება ყოველწლიური საბიუჯეტო თანხა, ეს უკვე დიდ შესაძლებლობებს წარმოშობს და გაზრდის სამომავლო პერსპექტივებს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე,"** - აცხადებს ნინო ციხისთავი.

## რადიაციული ნარჩენები და ლეიკემიით დაღუპული ოთხი ბავშვი



*ასეთ ანგარებში ხორბლის საცავები და ცხვრის ფარეხებია მოწყობილი.*

პირველი გვერდიდან

საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე დიმიტრი ყოჩიაშვილია. **"მე დანამდვილებით ვერ გეტყვით, რომ რაიონში ონკოლოგიურ დაავადებათა სტატისტიკის ზრდა იმ რადიაქტიულ ნივთიერებებს უკავშირდებოდეს, რომელიც, სავარაუდოდ, დედოფლისწყაროს პოლიგონზეა ჩამარხული, მაგრამ გამომწვევი მიზეზი რაღაც რომ არის, ფაქტია. ამიტომ, ერთხელ და სამუდამოდ, ეს საკითხი კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა გამოიკვლიონ, რათა მოსახლეობაში მითქმა-მოთქმა შეწყდეს,"** - ამბობს დიმიტრი ყოჩიაშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორია, სადაც რუსებს გასაიდუმლოებული სამხედრო საჰაერო ბაზა ჰქონდათ, 600 ჰექტარს მოიცავდა. იმ პერიოდში ბაზაზე მომუშავე დედოფლისწყაროელთა განცხადებით, ავღანეთის დაბომბვაც აქედან ხდებოდა. აეროდრომზე ასამდე ანგარია აგებული. აქედან უმრავლესობა უკვე გაუქმებულია და ცხვრის ფარეხად არის ქცეული, ზოგი კი ხორბლის სათავსოებად გადაუკეთებიათ. ამ ყველაფრის ბატონ-პატრონი აეროდრომზე არსებული ყოფილი სამხედრო სამეურნეო ნაწილის უფროსი შალვა ყველაიძეა. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც ეუთო-მ აქ უტილიზაცია დაიწყო, იგი თანამდებობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ ბატონი შალვა კვლავ გენერალ იოსებ ქუთათელაძის ბრძანებებს ასრულებს.

ქუთათელაძემ ტერიტორიაზე შესვლა სასწრაფოდ აკრძალა, როცა ჟურნალისტების მხრიდან საიდუმლო სამხედრო ქალაქის ტერიტორიზე არსებული რადიაქტიული ნივთიერებით დაინტერესება შეიტყო. თუმცა ჟურნალისტებმა არამარტო "საშიში ზონა" გადავლახეთ, არამედ მიწისქვეშა სამხედრო ქალაქის დათვალიერებაც მოვახერხეთ. ამ "ექსკურსიის" შემდეგ ყველა ჟურნალისტმა ის სიმპტომები ვიგრძენით (თავის ტკივილი, თვალების წვა, ყელის სიმშრალე, თავბრუსხვევა), რასაც ადგილობრივი მოსახლეობა უჩივის.

"24 საათი" შეეცადა სატელეფონო საუბარში მოეპოვებინა ცნობები ლოგისტიკის სარდლობისგან.

**"მოგეხსენებათ, ამ ტერიტორიაზე უტილიზაციას ეუთო აწარმოებდა, მაგრამ ზაფხულიდან, თავდაცვის სამინისტროს მიერ ატეხილი სკანდალის გამო, ეს პროგრამა შეჩერებულია. ჩვენ კი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვთხოვთ, რომ გამოიყოს ისეთი ადგილი, სადაც მოხდება აღნიშნულ ბაზაზე განლაგებული ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტების განაღმვა და, შესაბამისად, ტერიტორიაზე არსებული რადიაციული ნივთიერების განადგურება. ამ ეტაპზე არ გამოვრიცხავ, რომ მართლაც იყოს იქ დარჩენილი რადიაციული ნივთიერებები და იწვევდეს დასხივების რაიმე სიმპტომებს,"** - განგვიცხადა ლოგისტიკის სარდალმა მამუკა ლომსაძემ.

სანამ საქრთველოს ხელისუფლება აღნიშნული საშიშროების აღმოსაფხვრელად შესაბამის ზომებს მიიღებს, მოსახლეობაში ლეიკემიით დაავადებულთა რიცხვი მატულობს. 13 წლის დავით ჩოხელი იმ ბავშვების რიგს მიეკუთვნება, რომლებსაც ხშირად ნახირის მწყემსვა აეროდრომის ტერიტორიაზე უხდებოდა და მეგობრებთან ერთად ომობანასაც თამაშობდა. როგორც დათოს დედა ამბობს, მის შვილს ლეიკემია აქედან განუვითარდა. **"მარტო ჩემი შვილი არ არის დაავადებული ლეიკემიით. ამ სოფელში სისხლის გათეთრებით უკვე ორი ბავშვი დაიღუპა. სანამ სოფელი არ ამოწყდება, არავინ უნდა მოგვხედოს?"** - კითხულობს დათოს დედა ქეთინო ჩოხელი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რადიაციული ზონა ამ დროისთვის კვლავ დაუცველია და საძოვრებად არის ქცეული. უპატრონობის გამო კი, აქედან ხშირად ხდება სხვადასხვა სამხედრო ნარჩენების ჯართის სახით გატანა, რასაც არაერთი ადამიანი ემსხვერპლა. ჯიმი კობაიძემ ამ ტერიტორიიდან რამდენიმე დღის წინ უცხო ნივთი გაიტანა. ნივთის დაშლის შემდეგ მას თმები და წამწამები გასცვივდა, ხოლო სახე ერთბაშად შეეცვალა.

რაიონის ხელმძღვანელობა კი მოსახლებას და მედპერსონალს პირში წყლის ჩაგუბებას ურჩევს. **"მინდა თქვენს ფერხულში ჩავება, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არა მაქვს,"** - ამბობს დედოფლისწყაროში ერთ-ერთი თანამდებობის პირი, რომლის სამსახურებრივ კომპეტენციაში აღნიშნული ზოლის კონტროლი შედის.

## კიდევ ერთი შეხვედრა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების თემაზე

*"კონრად ადენაუერის ფონდის" საქართველოს წარმომადგენლობამ სასტუმრო "თბილისი-მარიოტში" კიდევ ერთ შეხვედრას უმასპინძლა. ამჯერად, ქართველი ანალიტიკოსების დისკუსიის საგანი საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობები და მისი განვითარების პროგნოზირება იყო.*

სტაბილურად დაძაბული, - 26 იანვარს სასტუმრო "თბილისი-მარიოტში" გამართულ შეხვედრაზე შეკრებილი ექსპერტები ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს 2005 წელს ასეთ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

შეხვედრა, რომელიც "კონრად ადენაუერის ფონდის" საქართველოს წარმომადგენლობის ინიციატივით გაიმართა, საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების გარშემო დისკუსიის გამართვას ისახავდა მიზნად. საინტერესოა, რომ შეხვედრის მონაწილეთა ერთი ნაწილი იმ ორგანიზაციებს წარმოადგენდა, რომლებიც, ძირითადად, თეორიული ანალიზითაა დაკავებული – სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, პოლიტიკური კვლევების ცენტრი, საერთაშორისო უსაფრთხოების კვლევის ცენტრი. თუმცა, შეხვედრაში სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულების ანალიტიკურ სამსახურებში მომუშავე ექსპერტებიც მონაწილეობდნენ.

რა საფრთხეები გვემუქრება ჩრდილოეთიდან? რა ფაქტორები იქნება განმსაზღვრელი 2005 წელს ორი ქვეყნის ურთიერთობებში? რას უქადის საქართველოს რუსეთში შესაძლო ცვლილებები? აი, ის კითხვები, რომლებზეც შეხვედრის მონაწილენი პასუხების გაცემას ცდილობდნენ.

როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი გიორგი ხელაშვილი განმარტავს, თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობების მომავალს, მნიშვნელოვანწილად, თავად რუსეთში განვითარებული პროცესები განსაზღვრავს. რუსეთში ძალიან ძლიერ ანტიდასავლურ განწყობას გიორგი ხელაშვილი სისტემური დაპირისპირების გადმონაშთს უწოდებს. აქედან გამომდინარე, ყველაფერი, რაც დასავლურ ღირებულებებთან არის დაკავშირებული – მათ შორის, დემოკრატიული მმართველობა – თავად რუსეთის მიერ აღიქმება საფრთხედ და, შესაბამისად, სწორედ ეს შეიძლება იყოს საქართველოსა და რუსეთის შორის ურთიერთობების სირთულის მიზეზიც.

ცხადია, დღევანდელი ხელისუფლების მიერ პრიორიტეტად გამოცხადებული "მასობრივი პრივატიზაცია" შეხვედრის მონაწილეთა მსჯელობის ერთ-ერთ ძირითად თემად იქცა, მით უმეტეს, რომ ამ პროცესის თანმდევი რუსული კაპიტალის მნიშვნელოვანი შემოდინება ქართულ ეკონომიკაში სერიოზულ ეჭვებს აჩენს. სხვათა შორის, ამ მხრივ, ექსპერტთა შორის აზრთა სხვადასხვაობა წარმოიქმნა: ერთი ნაწილი, ჩვენი ხელისუფლების მსგავსად, თუ პრივატიზაციის პროცესში წარმოშობილ ტენდენციაში (რუსული ბიზნესჯგუფების მიერ ე.წ. სტრატეგიული საწარმოების შეძენა საქართველოში) საშიშს ვერაფერს ხედავს, მეორე ნაწილი ამ ფაქტს აშკარა საფრთხედ აღიქვამს, ყოველ შემთხვევაში, გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც.

დისკუსიის მონაწილენი შეეხნენ რუსეთის ბაზების საკითხსაც და ერთხმად აღნიშნეს, რომ ბაზების ადგილზე ანტიტერორისტული ცენტრების შექმნა იმ ფორმით, როგორც ამას რუსეთი გვთავაზობს, საქართველოს ინტერესებში არ შედის. იმავდროულად, შეხვედრის მონაწილეთა აზრით, აუცილებელია ე.წ. ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმება რუსეთთან და იმედი გამოთქვეს, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მომავალი სტუმრობა საქართველოში ამ საქმეს დადებითად წაადგება.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების თემაზე მონაწილეთა შორის წარმოქმნილი ცხარე კამათის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ პასუხების ნაცვლად, უფრო მეტი კითხვები წარმოიშვა. ალბათ, ამისთვისაც არის მსგავსი შეხვედრები გამიზნული, რომ საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებს ჩამოყალიბებული სახე მიეცეთ და შემდეგ უკვე ხელისუფლების წინაშე დაისვას.

*24 საათი*

*მოკლედ*

## ფოთის მერი შესაძლოა, ივანე საღინაძე გახდეს

ქალაქ ფოთს მალე ახალი მერი ეყოლება. ამ თანამდებობაზე პრეზიდენტის რწმუნებულმა სამეგრელო-ზემო სვანეთში გიგი უგულავამ ფოთის საკრებულოს წევრი ივანე საღინაძე წარადგინა. მის დანიშვნას ხელი პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უნდა მოაწეროს. თავად ივანე საღინაძის განცხადებით, მის დანიშვნასთან დაკავშირებით კონსულტაციები მან პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან უკვე გაიარა.

ფოთის ყოფილი მერი ვახტანგ ალანია სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების გამო დაახლოებით ორი თვის წინათ დააკავეს.

*მედია-ნიუსი*

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** "საქართველოს კონსერვატორები" მიესალმებიან საქართველოს პრეზიდენტის ნობელის პრემიაზე წარდგენის ფაქტს, თუმცა მიაჩნიათ, რომ მიხეილ სააკაშვილი ნობელის პრემიის ლაურეატობას არ იმსახურებს.

როგორც "კონსერვატიულ პარტიაში" განაცხადეს, მიხეილ სააკაშვილი ნობელის პრემიაზე "შეუფერებლადაა წარდგენილი და ლაურეატობას არანაირი კრიტერიუმით არ იმსახურებს." **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესია 1 თებერვალს პარლამენტის ბიუროს სხდომით გაიხსნება.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, საგაზაფხულო სესიის პირველი პლენარული სხდომა 8 თებერვალს დაიწყება.

პარლამენტის თავმჯდომარემ კომიტეტის თავმჯდომარეებს საგაზაფხულო სესიის მუშაობის გეგმების წარდგენა დაავალა.

საგაზაფხულო სესიაზე საქართველოს პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებას და სასამართლო სისტემის სრულყოფას გეგმავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თებერვლის დასაწყისში თბილისში საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის საკითხებზე მხარეთა შეხვედრა უნდა გაიმართოს. საქართველოს დელეგაციას საგანგებო დავალებათა ელჩი თეიმურაზ მიქელაძე უხელმძღვანელებს, აზერბაიჯანის მხარეს კი - საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხალაფ ხალაფოვი. აზერბაიჯანული სააგენტო "ტრენდის" ინფორმაციით, ორ ქვეყანას შორის სასაზღვრო მონაკვეთის თითქმის 60 პროცენტი კვლავ შეუთანხმებელია. ამას ემატება ისიც, რომ გახშირდა საქართველოს მხრიდან აზერბაიჯანში მესამე ქვეყნის მოქალაქეების გადასვლის ფაქტებიც. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 31 იანვარს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე და ეკონომიკური განვითარების მინისტრი ალექსი ალექსიშვილი შვეიცარიის საკურორტო ქალაქ დავოსიდან ციურიხში გაემგზავრებიან.

ქართული მხარის წარმომადგენლები ციურიხში შეხვედრებს გამართავენ შვეიცარიულ კომპანია "ვიტოლის" ხელმძღვანელობასთან. საუბარი შეეხება საქართველოში მიმდინარე პრივატიზების პროცესს, კონკრეტულად კი, კომპანია "ვიტოლი", რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი მსხვილი ნავთობკომპანიაა, გამოთქვამს სურვილს აჭარის ტერიტორიაზე განთავსებულ ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობგადასატვირთი სიმძლავრეების შესყიდვაზე. "ვიტოლი" მსოფლიო სამეულშია შესული და მისი წლიური ბრუნვა 50 მილიარდ დოლარს შეადგენს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" წევრები მარიკა ვერულაშვილი და თეო ტლაშაძე ოსიაურის რეზერვისტთა ბანაკს ესტუმრნენ.

მათ ამ ბანაკში მყოფ რეზერვისტ ქალებს საჩუქრები, სურსათი და საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთები ჩაუტანეს.

როგორც მარიკა ვერულაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ამ ნაბიჯით მათ სურდათ რეზერვისტი ქალებისადმი თანადგომა გამოეხატათ, ვინაიდან "ის, რომ ქალები რეზერვისტთა ბანაკში იმყოფებიან, ეს გმირობაზე მეტია."

მარიკა ვერულაშვილი და თეო ტლაშაძე ბანაკში რამდენიმე დღე დარჩებიან. თავად რეზერვისტებმა პარლამენტარებს მადლობა გადაუხადეს და აღნიშნეს, რომ მათი თანადგომა ძალიან მნიშვნელოვანია. **მედია-ნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# 40-პროცენტიანი პრეზიდენტი

პირველი გვერდიდან

ძალიან მნიშვნელოვანია დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროზე კონტროლი. ამ უწყებას ყოფილი ოპოზიცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. გათვლილი იყო, რომ ეს უწყება ფართომასშტაბიან ბრძოლას გააჩაღებდა დამნაშავეობის წინააღმდეგ, ასევე ფართომასშტაბიან აქციებს გაატარებდა კორუფციის წინააღმდეგ, გაწმენდდა ადმინისტრაციულ აპარატს, წესრიგს დაამყარებდა გალის რაიონში, შეებრძოლებოდა ეკონომიკურ დანაშაულს. დაგეგმილი იყო, რომ ამ სამინისტროს კურირებას ანქვაბი გაუწევდა. თუ არძინბას გარემოცვა ამ თანამდებობაზე საკუთარი კაცის "გაყვანას" შეძლებს, მაშინ ამ გეგმების ხორცშესხმა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. არძინბას გარემოცვისთვის, რომელსაც არავითარი გავლენა არა აქვს ბაგაფშზე და, მით უმეტეს, ანქვაბზე, ამ უწყებაში პოზიციების შენარჩუნება პრინციპულად მნიშვნელოვანია. კორუფციის მთელი პირამიდა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ფარული გარიგებები და ა.შ. – ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში ხომ არძინბას გარემოცვასთანაა დაკავშირებული. მათ კარგად ესმით, რომ როდესაც ანქვაბი ახსენებს "საკნებს, რომელთაც ზღვაზე ხედი აქვთ" და "ადამიანებს, რომელთაც გაყიდეს ეროვნული მონაპოვარი", მაშინ მას მხედველობაში ჰყავს არა ცალკეული მეწარმეები და არა, თქვენ წარმოიდგინეთ, მინისტრი-შემსრულებლები, არამედ სულ რაღაც ათიოდე კაცი, ვინც აფხაზეთში ჩრდილოვან ეკონომიკას მფარველობდა. ასე რომ, შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე "საჭირო" კაცის დანიშვნით, არძინბას გარემოცვა მათი მიმართულებით დაძრული რეპრესიების ტალღის შესუსტებას შეძლებს. ასევე, შესაძლებელი გახდება ანქვაბისთვის ხელ-ფეხის შეკვრა, რადგან შინაგან საქმეთა ორგანოებზე მისი სერიოზული ზეგავლენის დაშვება არძინბას გარემოცვას ხელს არ აძლევს.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანებში შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატი არძინბას ხელისუფლების მიმართ ლოიალობით არ გამოირჩეოდა. კერძოდ კი, გასული წლის ნოემბერში შსს 250-მა თანამშრომელმა ღიად გამოუცხადა მხარდაჭერა ბაგაფშს. ანუ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მილიციის "არძინბასეული" შეფი ყოფილი პრეზიდენტის კლანის სრული გადამრჩენი ვერ გახდება, თუმცა კლანს საშუალება ექნება, სააპარატო თამაში აწარმოოს.

სხვაგვარი ვითარებაა თავდაცვის სამინისტროში. გენერალური შტაბის საკადრო ოფიცრები არასოდეს მალავდნენ საკუთარ სიმპათიას "ამცახარას" მიმართ, რომელიც ომის ვეტერანებითაა დაკომპლექტებული. ამიტომ, არძინბას პროტექციით დანიშნულ თავდაცვის მინისტრს ვიცე-პრეზიდენტსა და სამხედროებს შორის ლავირება მოუწევს. თანაც, ჯერჯერობით გაურკვეველია, რა როლი აქვს განსაზღვრული ამ უწყების მართვაში ბაგაფშს, რომელიც ქვეყნის მთავარსარდალია. ერთი სიტყვით, არძინბას მხარდამჭერთა გავლენა სამხედრო უწყებაზე შეზღუდული იქნება.

ხაჯიმბას დაქვემდებარებაში იქნება, ასევე, საბაჟო კომიტეტი. ეს ერთგვარი ფულის ტომარაა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მეხუთედს უზრუნველყოფს. ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში არძინბამ ამ კომიტეტის ხელმძღვანელი გრიგორი ენიკა თანამდებობიდან გაათავისუფლა იმ მოტივით, რომ ამ უკანასკნელს არასწორი პოლიტიკური ორიენტაცია შეამჩნია. დღეს ამ უწყების კონტროლირების საშუალება "ოჯახს" ექნება.

რაც შეეხება მოსკოვს, როგორც ჩანს, მას სავსებით აკმაყოფილებს აფხაზეთის საგარეო პოლიტიკის წარმართვა, რაც ხაჯიმბას კომპეტენცია იქნება. ფაქტობრივად, ხაჯიმბა კრემლიდან ნაკარნახევ საგარეო პოლიტიკას წარმართავს ისე, როგორც ეს მანამდე ხდებოდა. ცხადია, ეს რუსეთის ზეგავლენის გაცილებით უფრო დაბალი ხარისხია, ვიდრე აქამდე იყო, მაგრამ მაღალ სამთავრობო ეშელონებში სააპარატო ომების წარმოების საშუალება რუსეთს მაინც ექნება.

ვლენის მოპოვებისთვის ბრძოლის მთავარ ინსტრუმენტად იქცეს. არძინბას მომხრეები აქ აშკარა უმცირესობაში არიან და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი პარლამენტის მუშაობის ბოიკოტირებას ყველანაირად ცდილობენ, კვორუმზე ეს სრულებითაც არ აისახება. უკანასკნელი პოლიტიკური კრიზისის დროს პარლამენტმა საკუთარი პრინციპულობა ნათლად დაამტკიცა, როცა არძინბას არც ერთ საკანონმდებლო ინიციატივას ფრთები არ შეასხა და ყოფილ პრეზიდენტს ისეთი "წვრილმანიც" კი არ აუსრულა, როგორიც გენპროკურორის თანამდებობიდან მოხსნაა.

ზეგავლენის კიდევ ერთ ინსტრუმენტად, როგორც ჩანს, უშიშროების საბჭო იქცევა. ის საკმაოდ ამორფულ სტრუქტურას წარმოადგენს, რომელსაც სოლიდური საკონსტიტუციო უფლებამოსილება გააჩნია. კონსტიტუციის თანახმად, უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი პრეზიდენტია, ხოლო საბჭოს წევრები, პირველ რიგში, ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები არიან, რომლებიც ვიცე-პრეზიდენტს ექვემდებარებიან. ანუ უხელმძღვანელებს რა უშიშროების საბჭოს, ბაგაფშს შესაძლებლობა ექნება, ხაჯიმბას მიერ ძალოვანებზე უსაზღვრო ზეგავლენა რაღაც ხარისხით შეასუსტოს.

სავარაუდოდ, უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში უკვე მეორედ გადახედავენ საპრეზიდენტო ადმინისტრაციის საქმიანობას. ტრადიციულად, ეს სახელმწიფო მართვის საკმაოდ ჩრდილში მყოფი სტრუქტურაა, რომელიც წელიწადნახევრის წინ მიღებული ცვლილებების თანახმად, ფაქტობრივად, მთავრობის ფუნქციების დუბლირებას ახდენდა. ეს იმის გამო, რომ არძინბა უკმაყოფილო იყო ხაჯიმბას მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტით. მაშინ ხაჯიმბა პრემიერ-მინისტრი იყო. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად გენადი გაგულიას დანიშვნით, არძინბამ მიაღწია იმას, რომ გაგულია მთლიანად აკონტროლებდა მინისტრთა კაბინეტის მუშაობის ყველა ნიუანსს, მათ შორის, რეგიონულ ხელმძღვანელებთან ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრების გამართვასაც კი. კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის ადმინისტრაციას მსგავსი ფუნქციები არა აქვს და საეჭვოა, რომ არძინბას მსგავსად, ბაგაფშიც შეძლებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის რესურსების ამ მიმართულებით გამოყენებას. არადა, სწორედ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ხდება იმ საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება, რასაც შემდეგ პარლამენტი იხილავს. ამიტომ, კანონების შემუშავება და მიღება შეიძლება ერთ საერთო მექანიზმად ჩამოყალიბდეს, რომელსაც მეთვალყურეობას აფხაზეთის პრეზიდენტი გაუწევს.

ერთი სიტყვით, ოპოზიციის მიერ წინასაარჩევნოდ დაპირებული და ჯერ არდაწყებული საყოველთაო რეფორმები, შესაძლოა, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. არ არის გამორიცხული, ამ რეფორმების სანაცვლოდ, საზოგადოებას სამთავრობო კორიდორებში გაჩაღებული ფართომასშტაბიანი კულუარული ბრძოლებისთვის თვალყურის დევნება შესთავაზონ. ამასთან, ჯერ არავის განუცხადებია, რომ ბაგაფში და ხაჯიმბა, ბოლოს და ბოლოს, მაინც შეძლებენ ერთ გუნდად ჩამოყალიბებას, ამ სიტყვის ნორმალური გაგებით.

### ნახევარპრეზიდენტობიდან უმაღლეს ხელისუფლებამდე

მიუხედავად იმისა, რომ ინაუგურაციამდე, რომელიც 12 თებერვლისთვის დანიშნეს, საკმაოდ ცოტა დრო რჩება, ახალი ხელისუფლების მომავალ საკადრო საქმიანობაში არავითარი კონკრეტიკა, ჯერჯერობით, არ არსებობს. ეს მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ საკადრო საკითხებთან დაკავშირებით მოლაპარაკებები საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობს და კონსესუსამდეც ჯერ შორია. ამ ფონზე, ბაგაფშის გარემოცვა სულ უფრო და უფრო აქტიურად მსჯელობს იმაზე, თუ რა ტექნოლოგიებით შეიძლება ახალი პრეზიდენტის გავლენის სფეროს გაფართოება. ამ მხრივ, პირველი ნაბიჯი "საპარლამენტო" პოლიტიკის გადახედვა გახდა. ამ დღეებში "აიტაირას" ლიდერმა ლეონიდ ლაკერბაიამ საჯაროდ განაცხადა, რომ უარი უნდა ითქვას აქამდე შეთანხმებულ გეგმაზე პარლამენტის თვითდათხოვნასთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ სწორედ აღნიშნული გეგმა იყო არჩევნებამდე ოპოზიციის გაერთიანების მთავარი პირობა. ლეონიდ ლაკერბაიას ახალი პარლამენტის სპიკერობასაც ჰპირდებოდნენ. თუმცა, დღეს, როგორც ჩანს, პირადი ამბიციების დრო აღარ არის. პარლამენტი, სადაც უმრავლესობა ბაგაფშის მხარდამჭერია, შესაძლოა აღმასრულებელ ხელისუფლებაში ზეგა-

## სეპარატიზმის კოსმოსური წახალისება

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა შოთა არისტავამ ქვეყანაში სამეცნიერო კოსმოსური ცენტრის შექმნის შესახებ განაცხადა. როგორც შემდეგ გაირკვა, აღნიშნული განცხადება სულაც არ ყოფილა ხუმრობა. როგორც არისტავამ აღნიშნა, ბევრმა ეს ინფორმაცია აფხაზეთის კოსმოსურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მცდელობად აღიქვა. სინამდვილეში კი ყველაფერი უფრო მარტივადაა. ახალი სამეცნიერო ცენტრი დედამიწის ბიომაგნიტურ ველს გამოიკვლევს და მთელ რიგ სხვა სამეცნიერო კვლევებს განახორციელებს. აღნიშნული ცენტრი კონსტანტინ ციოლკოვსკის სახელობის რუსეთის კოსმოსური აკადემიის ფილიალი იქნება. უნდა ვივარაუდოთ, რომ აფხაზური ცენტრის დაფინანსებასაც რუსული აკადემია უზრუნველყოფს, რადგან დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის ბიუჯეტში კოსმოსის ათვისებისათვის ხარჯები გათვალისწინებული არ არის. აღნიშნული სამეცნიერო ცენტრის დამფუძნებელთა შორისაა აფხაზეთის თითქმის ყველა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ცენტრის პირველ დირექტორად არჩეულია პრემიერ-მინისტრი ნოდარ ხაშბა, რომელსაც კოსმოსთან შეხება მხოლოდ ბავშვობაში თუ ექნებოდა, როცა კოსმოსში გაფრენას ნატრობდა. ვინაიდან პროექტის ხელმძღვანელი ხაშბა გახდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს პროექტი, გარკვეულწილად, იმიტომაც შეიქმნა, რათა ხაშბას დასაქმება უზრუნველეყო. თუმცა, ჯერჯერობით გაურკვეველია, დარჩება თუ არა ხაშბა სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელად იმ შემთხვევაში, თუ პროგნოზები გამართლდება და იგი პრემიერ-მინისტრის პოსტს დაემშვიდობება. ახალი სამეცნიერო ცენტრი აფხაზეთში აქამდე არსებული სამეცნიერო ცენტრების ურთულესი მდგომარეობისა და პირობების ფონზე იქმნება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აფხაზეთის ხელისუფლებამ სამეცნიერო ცენტრებს ვერავითარი გამოყენება ვერ მოუძებნა. ამის შედეგია ის, რომ მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები დღეს, ან გამათბობელი საშუალებების წარმოებით არიან დაკავებულები ისე, როგორც ეს სოხუმის ტექნიკურ ინსტიტუტში ხდება, ან ტურისტებს მაიმუნების დათვალიერებაში ეხმარებიან. მაიმუნები ერთადერთია, რაც ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის უნიკალური ინსტიტუტისგან დღეს შემორჩა. ერთადერთი სამეცნიერო ცენტრი, რომლის მოღვაწეობაც ბოლო პერიოდის აფხაზეთში შესამჩნევი იყო, სოხუმის ჰუმანიტარული კვლევების ინსტიტუტი გახლავთ, რომელმაც ნახევარი წლით შეაჩერა თავისი ძირითადი საქმიანობა და რაულ ხაჯიმბას წინასაარჩევო კამპანიით დაკავდა.



*აფხაზეთის მთელი მეცნიერებიდან ეს მაიმუნები დარჩა, რუსეთი კი აქ კოსმოსური პროგრამების დამუშავებას აპირებს.*

## გაერო-ს დამკვირვებელთა მანდატი კიდევ 6 თვით გახანგრძლივდა

გაეროს უშიშროების საბჭომ ორგანიზაციის დამკვირვებელთა მანდატი საქართველოში კიდევ 6 თვით – მიმდინარე წლის 31 ივლისამდე გააგრძელა.

გადაწყვეტილება გაერო-ს გენერალური მდივნის, კოფი ანანის მოხსენების საფუძველზე იქნა მიღებული, რომელმაც განაცხადა, რომ ამ ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიის არსებობა საქართველოში "სასიცოცხლოდ აუცილებელია," რათა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, რომლის შედეგად 300 ათასი ადამიანი დევნილად იქცა, ახალი ძალით არ გაჩაღდეს.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ გაერო მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე მის შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობას.

უშიშროების საბჭო სინანულს გამოთქვამს აფხაზური მხრიდან მოლაპარაკებებზე უარის თქმის გამო და ორივე მხარეს მოუწოდებს, კონსტრუქციული მოლაპარაკებები გამართონ და ყველა ღონე იხმარონ ურთიერთნდობის აღსადგენად.

**"მოლაპარაკებათა პროცესი, არსებული ვითარების პოლიტიკური მოგვარებისათვის, ორივე მხრიდან გარკვეულ დათმობებს მოითხოვს,"** – ხაზგასმულია რეზოლუციაში.

გაერო-ს უშიშროების საბჭო მიესალმება საქართველოს სწრაფვას კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისაკენ.

გაეროს უშიშროების საბჭო მოუწოდებს მხარეებს, დაუყოვნებლივ დაიწყონ დევნილთა დაბრუნების პრობლემის მოგვარებაზე მუშაობა. ამასთანავე, უშიშროების საბჭო აღნიშნავს, რომ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა სოხუმს ეკისრება.

გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია კვლავ ახსენებს მხარეებს იმ პირთა დადგენის აუცილებლობის შესახებ, რომლებმაც კონფლიქტის ზონაში 2001 წლის 8 ოქტომბერს გაერო-ს დამკვირვებელთა ვეტმფრენი ჩამოაგდეს, რასაც გაერო-ს თანამშრომელთა დაღუპვა მოჰყვა.

*24 საათი*


ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო

FM 107.4

„რადიო დილა" ყოველდღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე

„სტუმარი საქართველოდან" - ტუნისში





## მოკლედ

### პარლამენტი ადრე განბაჟებული ავტომობილების მფლობელებს პრობლემებს მოუხსნის

პარლამენტი ადრე განბაჟებული ავტომობილების მფლობელებს პრობლემებს მოუხსნის. როგორც საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმა განაცხადა, ავტომანქანების განბაჟების პრობლემასთან დაკავშირებით პარლამენტს, შს სამინისტროს და პროკურატურას შორის ზეპირი შეთანხმება არსებობდა, რომელიც, **"როგორც ჩანს, არ სრულდება. ამასთან დაკავშირებით, პარლამენტი საგაზაფხულო სესიის პირველსავე კვირას სპეციალურ დადგენილებას მიიღებს, რომლითაც ადრე განბაჟებულ ავტომობილებთან დაკავშირებით პრობლემები მოიხსნება,"** - აღნიშნა მან. გავრცელებული ინფორმაციით, ძველი განბაჟებული ავტომობილების მფლობელებს დღესაც აქვთ პრობლემები: შესაბამისი უწყებები მათ ავტომობილის გაყიდვისას მის ხელახალ განბაჟებას სთხოვენ. **ინტერ-პრესი**

### ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობა შეფერხებით მიმდინარეობს

ძლიერმა თოვლმა თურქეთში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის ერთ-ერთი მონაკვეთის მშენებლობა შეაფერხა. როგორც კომპანია "BTC Co"-ში აღნიშნეს, თურქეთში, მშენებლობის ერთ-ერთ უბანზე, ძლიერი თოვლი ხელს უშლის მიმდინარე სამუშაოებს, მაგრამ სამუშაო 332 კმ-იან მონაკვეთზე, რომელიც ჯეიჰანში არსებულ ტერმინალამდე მიდის, 90 პროცენტითაა შესრულებული.

2005 წლის იანვრის ბოლოსთვის მილსადენის 443 კმ-იან აზერბაიჯანის მონაკვეთზე მილების მხოლოდ ხუთი კმ დარჩა გრუნტში ჩასაწყობი. როგორც აზერბაიჯანულ საინფორმაციო სააგენტო "ტრენდს" BTC Co-ში აცნობეს, ამჟამად თერთმეტიდან შვიდი სექციის ჰიდროტესტირებაა დაწყებული. მდინარე მტკვრის გადაკვეთის სამუშაოები, რომლებიც მიკროგვირაბის მშენებლობისთვისაა საჭირო, 40 პროცენტით არის შესრულებული. მილსადენის მწყობრში შესვლა 2005 წლის პირველ ნახევარშია დაგეგმილი, ხოლო წლის მეორე ნახევარში ნავთობის პირველი გადაქაჩვა მოხდება. **პრაიმ-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტროში შიდა ვალის სრული ინვენტარიზაციის შემსწავლელი მუშა ჯგუფი შეიქმნა. ამის შესახებ გადაწყვეტილება ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს სახელმწიფო შიდა ვალის პრობლემათა შემსწავლელი კომისიის სხდომაზე მიიღო. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მუშა ჯგუფს სახელმწიფო შიდა ვალის ყველა კატეგორიის სრული ინვენტარიზაცია დაევალა. სამინისტროში მიიჩნევენ, რომ ეს ხელს შეუწყობს ანაზღაურების სამართლიანი მექანიზმის შემუშავებას და სახელმწიფო შიდა ვალის რეესტრის შექმნას. ამის შემდეგ კი შესაძლებელი გახდება კონკრეტული გადაწყვეტილებების შემუშავება შიდა ვალთან მიმართებაში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კასპიის საზღვაო სანაოსნომ, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ტვირთების შეჩერების მიუხედავად, სატრანზიტო ტვირთების მოცულობა გაზარდა. როგორც აზერბაიჯანულ საინფორმაციო სააგენტო "ტრენდს" კასპიის საზღვაო სანაოსნოდან აცნობეს, 2004 წელს სანაოსნომ 9,334 მლნ ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტები გადაიტანა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 0,46 პროცენტით აღემატება. კასპიის საზღვაო სანაოსნომ 2004 წელს სულ 13,208 მლნ ტონა სხვადასხვა სახეობის ტვირთი გადაიტანა, რაც 208 ათასი ტონით აღემატება დაგეგმილ წლიურ მოცულობას. **პრაიმ-ნიუსი**

**"24 საათი" და "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია"**

იწყებენ ახალ პროექტს:

**"საგადასახადო კოდექსის განმარტებები".**

**ყოველ ორშაბათს -** ახალი საგადასახადო კოდექსის ექსპერტული განმარტება.

**ყოველ ოთხშაბათს -** ექსპერტთა პასუხები თქვენს კითხვებზე.

კითხვები შეგიძლიათ ჩააწერინოთ ტელეფონებზე: 20 24 24 ("24 საათი") ან 93 64 75 ("ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ცხელი ხაზი) ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა - 12 საათიდან 15 საათამდე.

ასევე გამოაგზავნოთ ინტერნეტით:

e-mail: economics@24hours.ge ან office@economists.ge

გამოაგზავნოთ ფოსტით ან დატოვოთ "24 საათის" საფოსტო ყუთში. მისამართი: თბილისი. ვაჟა-ფშაველას 45

# "გამოცხადებული პრივატიზაციის ქრონიკები"

პირველი გვერდიდან

გემების რაოდენობას (ამჟამად "საქართველოს საოკეანო სანაოსნო" 15 გემს ფლობს).

თუმცა, ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ:

2004 წლის 8 დეკემბერს საქართველოს ხელისუფლება გაზეთ "ფაინენშენლ ტაიმსში" აქვეყნებს განცხადებას "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" გაყიდვის განზრახვის შესახებ. ათ დღეში კი აფორმებს მემორანდუმს "გრინოკ გრუპთან", რომლის თანახმადაც, დანიური წარმოშობის იან ბონდე ნილსენის ბრიტანულ კომპანიათა ჯგუფმა, 107 მილიონ დოლარად, საქართველოს "საზღვაო სანაოსნოს" 100 პროცენტი დაისაკუთრა და ბათუმის პორტის სამი ნავმისადგომის მართვის უფლება მოიპოვა.

ამ თემაზე ატეხილი სკანდალის შემდეგ მთავრობა აცხადებს, რომ მემორანდუმი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და სანაოსნოზე გამოცხადებული ტენდერის (თუ განზრახულობათა დაფიქსირების(?), რადგან განხორციელებული პროცესი არც ერთ დღემდე ცნობილ საპრივატიზაციო ფორმას 100 პროცენტით არ ჰგავს) ვადა 10 იანვრამდე გადადო.

საინტერესო დეტალი: ვადის გაგრძელების შესახებ განცხადება "ფაინენშენლ ტაიმსში" აღარ გამოქვეყნებულა.

კიდევ უფრო საინტერესო დეტალი: საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალურ საიტზე, მათ შორის - ინგლისურ ვერსიაში, "საოკეანო სანაოსნო კომპანიას" ტენდერზე გატანილ ობიექტთა ნუსხაში დღესაც ვერ იპოვით. ზოგადად, საპრივატიზაციო ნუსხაში ობიექტი, მართალია, არის, მაგრამ, ჯერ კიდევ გუშინ მის გასწვრივ ამოიკითხავდით - Uninitiated. რაც მარტივად იმას ნიშნავს, რომ ობიექტი "გასაყიდად გამოუცხადებელია."

ეს ისე - ინფორმაციისთვის, თუმცა ეს დეტალები იმასთან, რაც "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" ირგვლივ შემდეგ დატრიალდა, საერთოდ რა მოსატანია.

10 იანვარს სატენდერო პაკეტები გაიხსნა: დანიური "Greenoak Group", იტალიური "აკვამარინი", თურქული "Koryat", რუსული "Проминвестор" და იტალიური "Co-Arma", გერმანული "შოლერი" და ავსტრალიური "ამსტრონგ ჰოლდინგი". ასეთი გახლდათ იმ კომპანიათა ნუსხა, რომელთა სახელებიც შოუდ ქცეულ ამ "პაკეტების გახსნის ცერემონიაზე" გაჟღერდა.

პაკეტების გახსნამდე სულ საათნახევრით ადრე, ეკონომიკის მინისტრის მოადგილის ნათია თურნავას მიერ ჩატარებულ ბრიფინგზე კი ითქვა, რომ სანაოსნოს ყიდვის სურვილს დანიური "Greenoak Group", ავტრალიური "ASP-SHIP Managment" (!), ბრიტანული "Marin kapital", გერმანული "shellor-ship Managment", თურქული "Koryat", რუსული "Проминвестор" და იტალიური "Co-Arma" აცხადებდნენ.



უკვე მოგვიანებით, როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გამარჯვებული კომპანიის ვინაობა გამოაცხადა და "24 საათი" შეეცადა, მისი ვინაობა გაერკვია, როგორც სახელმწიფო კანცელარიაში, ისე ეკონომიკის სამინისტროში განუცხადეს, რომ სანაოსნოს პრივატიზაციაში გამარჯვებული ავსტრალიურ-ბრიტანული Armstrong Holdings Corporation(AHC)-ია ASP Ship Management-თან ერთად, რომელიც მის მენეჯმენტს განახორციელებს.

ამის შესახებ სახელმწიფო კანცელარიაში მას შემდეგაც კი საუბრობდნენ, როცა ცნობილი გახდა, რომ, გაზეთ "ლოიდის ლისთ"-ში გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, ASP Ship Management-ის ჯგუფის მთავარმა ალმასრულებელმა ჯონ ბოუერინმა კატეგორიულად უარყო ინფორმაცია კომპანიის მიერ "საქართველოს საოკეანო სანაოსნოს" შესყიდვის შესახებ. მისი ინფორმაციით, ASP-მ გადახედა ქართული საწარმოს შესყიდვის შესაძლებლობას, მაგრამ უარი თქვა თავის დაინტერესებაზე სანაოსნო კომპანიის მიმართ, რადგან თანხა, რომელსაც ითხოვდნენ, ძალიან მაღალი იყო.

საქართველოს მთავრობა ირწმუნება, რომ ამის შემდეგ კომპანიამ გადაწყვიტა, Armstrong Holdings Corporation(AHC)-თან ერთად მიეღო პროცესში მონაწილეობა და, მართალია, იგი არ იღებს ფინანსურ ვალდებულებებს, თუმცა მონაწილეობას მიიღებს მართვაში. საინტერესოა, რომ ეს ვერსია გაზეთ "ლოიდის ლისთ"-ში გამოქვეყნებული მასალაში ASP Ship Management-ის ჯგუფის მთავარ ალმასრულებელ ჯონ ბოუერნს ასევე არ დაუდასტურებია.

სამაგიეროდ, საინტერესოა, რომ იმავე მასალაში Armstrong Holdings Corporation(AHC)-ის საზოგადოებრივი ურთიერთობების მენეჯერმა აღნიშნული გაუგებრობა იმით ახსნა, რომ Armstrong Holdings Corporation(AHC) თავის დროზე ASP Ship Management-ის კლიენტი იყო. თუმცა, კომპანიის წარმომადგენელმა აქვე უარი თქვა Armstrong Holdings Corporation(AHC)-ის დღევანდელი მოღვაწეობის კომენტირებაზე და დაინტერესებულ პირებს სანაოსნოს პრივატიზებასთან დაკავშირებული კითხვებით საქართველოს მთავრობისთვის მიმართვა ურჩია.

ასეთი კომენტარი საკმაოდ არასერიოზულად ჟღერს კომპანიისგან, რომელიც სანაოსნოში 161 მილიონის გადახდის, ეკიპაჟის 10 წლის მანძილზე დასაქმების ვალდებულებებს იღებს. თან ეს მაშინ, როცა, როგორც "24 საათი" უკვე წერდა, ერთადერთი, რაც საქართველოში საოკეანო სანაოსნოსთან დაკავშირებულ გარიგებას მეტ-ნაკლებ სერიოზულობას სძენდა, ეს Armstrong Holdings Corporation(AHC)-ის სახელი გახლდათ.

"24 საათმა" მკითხველს უკვე ამცნო, რომ თავად Armstrong Holdings Corporation (AHC)-ის შესახებ ღია ინფორმაციის მოპოვება ძალიან გაძნელებულია, რომ არ ვთქვათ, შეუძლებელი. უშედეგოდ დასრულდა გაზეთის მიერ აღნიშნულ კომპანიაზე ინფორმაციის მიღების მცდელობა არა მხოლოდ მთავრობიდან, არამედ ინტერნეტიდან და თვით საკრედიტო ბანკისგანაც. ერთადერთი საინფორმაციო წყარო, რომელიც ხელმისაწვდომია, თავად ამ კომპანიის საიტია, სადაც, არ გაგიკვირდებათ და, ფინანსური ინფორმაცია მთლიანად დახურულია. ამასთან, გაურკვეველია, რა ნიშნის მიხედვით მოიხსენიება აღნიშნული კომპანია ბრიტანულად მაშინ, როცა AHC, თავად საკუთარი საიტის ინფორმაციის თანახმად, ოფშორულ ზონაში, დასავლეთ ინდოეთში რეგისტრირებული კერძო კომპანიაა. საიტის თანახმადვე: საზღვაო სანაოსნოს პრივატიზაციაში გამარჯვებული Armstrong Holdings Corporation (AHC), სულ რაღაც, ერთი წლის წინ დაფუძნდა და თავიდანვე საკმაოდ ამბიციური მიზნები დაისახა. კერძოდ, კომპანიის დაფუძნების მთავარ მიზანს მსოფლიოს მასშტაბით უკვე დაძიებული თუ მხოლოდ ნავარაუდევი ენერგორესურსების ათვისება და დისტრიბუცია წარმოადგენს. მისი საქმიანობის მთავარ სფეროს საერთაშორისო ბაზარზე ნახშირწყლების მარაგების გაზრდა და რეალიზაცია წარმოადგენს. როგორც AHC-ის ოფიციალურ ვებსაიტზეა ნათქვამი, "კომპანიის გლობალურ სტრატეგიას სამხრეთ ატლანტიკის აუზში, აზიაში, შორეულ აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მათ შორის – კასპიის ზღვის რეგიონში, არსებული რესურსები განსაზღვრავს." სხვა ინფორმაცია კომპანიაზე, გარდა იმისა, რომ მისი ხელმძღვანელი ჯერემი ამსტრონგ ლიდლია, არ არსებობს. სამაგიეროდ, არსებობს ინფორმაცია თავად ლიდლზე, რომელიც, გაზეთ "ლოიდის ლისთ"-ში გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, რამდენიმე, ამჟამად დაშლილი და მოქმედი კომპანის დირექტორიც არის, როგორებიცაა: Amstrong Navigation, Africa Energies, Portshire და Portshire UK. ცხადია, არც ამ კომპანიებზეა მარტივი ინფორმაციის მოპოვება.

ყველაფერი ზემოთქმულის ფონზე აშკარად გაურკვეველია, რა იყო ის საფუძველი, რამაც საქართველოს ხელისუფლებას ამ ოფშორული, გაურკვეველი წარმომავლობისა და ერთი წლის ისტორიის მქონე კომპანიისადმი განსაკუთრებული ნდობა აღუძრა. თუმცა,ეს ის კითხვაა, რომელიც დღეს, მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა დონის წარმომადგენელთა არაერთგზისი კომენტარისა, ისევ და ისევ უპასუხოდ რჩება.

## საგადასახადო განმარტებები

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

# საშემოსავლო გადასახადი

**ხშირ შემთხვევაში, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც არ გააჩნია სრული ინფორმაცია საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესახებ, საშემოსავლო გადასახადს უკავშირებს მხოლოდ ხელფასს. არადა, ხელფასის სახით მიღებული შემოსავლების დაბეგვრა საშემოსავლო გადასახადის მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენს.**

**საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს:**

ფიზიკური პირის შემოსავლები, რაშიც შესაძლებელია, შევიდეს როგორც ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები, ასევე სამეწარმეო და არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიც. ანუ ნებისმიერი, შემოსავლის მომტანი საქმიანობით მიღებული შემოსავალი (გარკვეული პროდუქციის წარმოებითა და ვაჭრობის, მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლები), რომელიც საგადასახადო კოდექსით გათავისუფლებული არ არის.

ოთხშაბათს ვისაუბრეთ ხელფასთან დაკავშირებულ გადასახადებზე, მათ შორის, საშემოსავლო გადასახადზე და შევეხეთ მხოლოდ დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირს და მის მიერ მხოლოდ ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს.

ამჯერად გავამახვილებთ ყურადღებას სამეწარმეო და არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ **რეზიდენტ** ფიზიკურ პირებზე (ინდივიდუალურ მეწარმეზე).

**ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური პირისათვის საშემოსავლო გადასახადი, უხეშად რომ ვთქვათ, წარმოადგენს *"მოგების გადასახადს."* იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს ფიზიკური პირი და არა ორგანიზაცია, ერთობლივი შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას საშემოსავლო გადასახადით და არა მოგების გადასახადით.**

ამ გადასახადებს შორის, რა თქმა უნდა, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება გადასახადის გადამხდელის, გადასახადის განაკვეთის, გადასახადისაგან გათავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში და სხვა, მაგრამ არის გარკვეული მსგავსებაც: ორივე მათგანი იყენებს "ერთობლივი შემოსავლის" ცნებას. მათ გააჩნიათ ერთიანი გამოსაქვითი ხარჯები, ერთიანი ადმინისტრირების წესები და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები.

სწორედ ამიტომ, ეს ორი გადასახადი მოთავსებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის IX თავში, სახელწოდებით: "საშემოსავლო და მოგების გადასახადები."

**საქართველოს საგადასახადო კოდექსის 165-ე მუხლის შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია რეზიდენტი ფიზიკური პირი (ანუ ფიზიკური პირი, რომელიც, ფაქტობრივად, იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტხანს, ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში).**

**ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 12 პროცენტით.**

რეზიდენტი ფიზიკური პირის შემთხვევაში, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს: დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის XXV თავით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხას შორის.

**ჩვენ შევეხებით მხოლოდ ერთობლივ შემოსავლებში შესატანი შემოსავლებისა და გამოსაქვითი ხარჯების გარკვეულ ნაწილს, ხოლო შედარებით დეტალურად მათ განხილვას შემოგთავაზებთ მოგების გადასახადის განმარტების დროს.**

ერთობლივ შემოსავალს განსაზღვრავს საქ. საგ. კოდექსის XXIV თავი, რომლის თანახმადაც: რეზიდენტი ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი შედგება **ნებისმიერი ფორმით ან/და საქმიანობით** საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლისაგან.

მაგალითად, ერთობლივ შემოსავალში შეტანას ექვემდებარება საქონლის/მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავლები, აქტივების (ქონების) რეალიზაციით მიღებული შემოსავლები, დივიდენდები, პროცენტის სახით მიღებული შემოსავლები და სხვა.

საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრის მიზნით, საჭიროა, ერთობლივ შემოსავალს გამოვაკლოთ გამოსაქვითი ხარჯები, რაც, როგორც აღვნიშნეთ, განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის XXV-ე თავით.

**ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებული მის მიღებასთან, ანუ ყველა ხარჯი რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკურ საქმიანობასთან, მიზმულია და აუცილებელია შემოსავლის მისაღებად.**

მაგალითად, ნედლეულის და მასალების შეძენის ხარჯები, მხოლოდ იმ მოცულობით, რაც უშუალოდ გამოყენებული იქნა პროდუქციის შესაქმნელად. საკანცელარიო ხარჯები, საკომუნიკაციო ხარჯები, ტრანსპორტირების ხარჯები და მრავალი სხვა, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევჩერდებით.

**გამოსაქვით ხარჯებში შედის საამორტიზაციო ანარიცხები:**

ძირითადი საშუალებები განიცდის ცვეთას (ამორტიზაციას), ისინი მუშაობის პროცესში კარგავენ თავდაპირველ თვისებებს, დროთა განმავლობაში ძირითადი საშუალებები ასევე განიცდიან მორალურ ცვეთასაც. მაგალითისათვის შეიძლება მოვიტანოთ პერსონალური კომპიუტერი, რომელის მონაცემებიც ყოველდღიურად უმჯობესდება და გაყიდვაში გამოდის სულ უფრო ახალი და ახალი, გაუმჯობესებული კომპიუტერები, აქედან გამომდინარე, მათი ღირებულება (ფასი) მცირდება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა, გარკვეულწილად, ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ ფაქტორებს და საგადასახადო კოდექსი გადასახადის გადამხდელებს, ეკონომიკური საქმიანობით დაკავებულ პირებს აძლევს უფლებას მოახდინონ საამორტიზაციო ანარიცხების გამოქვითვები, რასაც არეგულირებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 183-ე მუხლი.

ძირითადი საშუალებები, რომლებიც ამორტიზაციას ექვემდებარება (გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის) ჯგუფდება ამორტიზაციის ჯგუფების მიხედვით (იხილეთ საქ. საგ. კოდექსის 183-ე მუხლის მესამე პუნქტი).

განვიხილოთ შენობა-ნაგებობის მაგალითი: დავუშვათ, რომ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირს გააჩნია შენობა, რომელსაც ეკონომიკური საქმიანობისათვის იყენებს და რომლის ღირებულება წლის დასაწყისისათვის 10 000 ლარს შეადგენს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 183-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, შენობა-ნაგებობები შედის მეოთხე ჯგუფში, რისთვისაც გათვალისწინებულია ამორტიზაციის ნორმა 5 პროცენტის ოდენობით. შესაბამისად, ამ შენობას დაერიცხება ამორტიზაცია 500 ლარი (10 000-ის ხუთი პროცენტი), რაც ექვემდებარება გამოქვითვას ერთობლივი შემოსავლიდან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის XXV თავში ასევე მოცემულია გამოქვითვებთან დაკავშირებული შეზღუდვები და ხარჯები, რომლებიც არ გამოიქვითება:

მაგალითად: ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯები გამოიქვითება, მხოლოდ ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის (183-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით) 5 პროცენტის ოდენობით.

იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირს გააჩნია 10 000 ლარის ღირებულების შენობა, მას შეუძლია ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს ამ შენობაზე გაწეული რემონტის დანახარჯის 5 პროცენტი, ანუ 500 ლარი (10 000-ის ხუთი პროცენტი) წელიწადში.

წარმომადგენლობითი ხარჯის გამოქვითვა დასაშვებია ერთობლივი შემოსავლის 1 პროცენტის ოდენობით.

**ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება:**

ის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან, გარდა საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული შეწირულობის თანხისა;

გართობაზე გაწეული ხარჯები;

ფიზიკური პირის მიერ პირადი მოხმარებისათვის გაწეული ხარჯები, ლატარიებიდან, კაზინოებიდან, აზარტული ან სხვა მომგებიანი თამაშობებიდან მიღებულ მოგებებთან დაკავშირებული თანხები ან ხელფასის სახით შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები;

საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებული, შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები.

გარდა ამისა არსებობს მთელი რიგი შეზღუდვები პროცენტების, უიმედო ვალების, და სხვათა გამოქვითვებში.

ყურადღება უნდა გამახვილდეს ერთ გარემოებაზე - არ გამოიქვითება ფიზიკური პირის მიერ პირადი მოხმარებისათვის გაწეული ხარჯები.

იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური პირი, მაგალითად, ავტობუსის მძღოლი, რომელიც ასრულებს რეისებს დასავლეთის მიმართულებით, საკუთარ ავტომობილში ჩაასხამს საწვავს და იგი გაემგზავრება მის პირად საქმეზე ანუ ავტომობილს პირადი მოხმარებისათვის გამოიყენებს, საწვავის ღირებულება, რასაც იგი დახარჯავს, გამოქვითვას არ ექვემდებარება.

გამოქვითვის შეზღუდვებში აღსანიშნავია გადასახადებისა და ჯარიმების გამოქვითვის შეზღუდვა. არ გამოიქვითება:

"ა) მოგების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი, რომელიც გადახდილია ან გადასახდელია საქართველოში ან სხვა სახელმწიფოში.

ბ) ბიუჯეტში შეტანილი ან შესატანი სანქციების თანხა."

*აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებების ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლი, რომელზეც მომავალში ცალკე ვისაუბრებთ - ქონების ყიდვა-გაყიდვის დროს საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის საკითხებთან ერთად.*

**საქართველოს საგადასახადო კოდექსის 217-ე მუხლი, ფიზიკური პირების გარკვეულ კატეგორიას აკისრებს საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებას საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით.**

დეკლარაცია ბარდება ყოველწლიურად, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე.

**დეკლარაციას შესაბამის საგადასახადო ინსპექციაში წარადგენენ:**

- რეზიდენტი ფიზიკური პირები, რომელთა შემოსავლებიც არ იბეგრება საქართველოში არსებული გადახდის წყაროსთან. მაგალითად, თუ მეწარმე ფიზიკური პირი შრომის ანაზღაურებას (ხელფასს) უხდის დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირს (თანამშრომელს), იგი წარმოადგენს საგადასახადო აგენტს და ევალება გადასახადი დაუკავოს დაქირავებულს გადახდის წყაროსთან. ანუ გადაიხადოს დაქირავებულის კუთვნილი გადასახადები;
- რეზიდენტი ფიზიკური პირები, რომელთაც ფულადი სახსრები აქვთ ანგარიშზე უცხოეთში;
- რეზიდენტი ფიზიკური პირები, რომელთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალი აღემატება 35 000 ლარს;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის "ლ" და "მ" ქვეპუნქტებში აღნიშნული ფიზიკური პირები ვალდებულნი არიან, აწარმოონ შემოსავლებისა და ხარჯების გამარტივებული აღრიცხვა და საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს ყოველკვარტალურად, კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვისათვის წარუდგინონ დეკლარაცია.
- ფიზიკურ პირს, რომელიც არ არის ვალდებული წარადგინოს დეკლარაცია, შეუძლია წარადგინოს იგი გადასახადის გადაანგარიშებისა და ანაზღაურების მოთხოვნით;
- იმ შემთხვევაში თუ, პირი საგადასახადო აგენტს წარმოადგენს, იყენებს დაქირავებულ შრომას (ხელფასს უხდის თანამშრომელს), ვალდებულია საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე წარადგინოს გაანგარიშებები გაცემული შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადების მიხედვით;

გარდა ზემოაღნიშნულისა, დეკლარაციის წარდგენა ევალებათ ფიზიკურ პირებს, რომლებიც ყიდიან ან საჩუქრად იღებენ ქონებას (მატერიალურ აქტივებს), ასევე ჩუქების შემთხვევაში და ა.შ. მაგრამ მატერიალური აქტივების ჭრილში საშემოსავლო გადასახადს განვიხილავთ შემდეგ განმარტებებში.

მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას, ვალდებულნი არიან, მიმდინარე გადასახდელების თანხები ბიუჯეტში შეიტანონ გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის მიხედვით, შემდეგი ოდენობით

"ა) არა უგვიანეს 15 მაისისა – 25 პროცენტი,

ბ) არა უგვიანეს 15 ივლისისა – 25 პროცენტი,

გ) არა უგვიანეს 15 სექტემბრისა – 25 პროცენტი,

დ) არა უგვიანეს 15 დეკემბრისა – 25 პროცენტი.

მაგალითად: თუ მეწარმე ფიზიკური პირის 2005 წლის საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი შეადგენს 10 000 ლარს, საშემოსავლო გადასახადი იქნება 1200 ლარი (10 000-ის 12 პროცენტი). 2006 წლის განმავლობაში მეწარმე ფიზიკური პირი გადაიხდის საშემოსავლო გადასახადის მიმდინარე გადასახდელებს 1200 ლარის ოდენობით, ანუ წინა წელს გადახდილი გადასახადის ოდენობას 4 ნაწილად, წელიწადში ოთხჯერ - საშემოსავლო გადასახადის 25 პროცენტის ოდენობით.

2006 წლის ბოლოს იგი დაიანგარიშებს მის საშემოსავლო გადასახადს და იმ შემთხვევაში, თუ საშემოსავლო გადასახადი შეადგენს, მაგალითად, 2000 ლარს, მიმდინარე გადასახდელების სახით გადახდილი თანხები ჩაითვლება გადახდილად, და დამატებით მას გადასახდელი ექნება 800 ლარი (2 000 – 1 200), ხოლო ზედმეტად გადახდილი თანხა ჩაეთვლება სხვა გადასახადებში.

# ეკონომიკური ზრდის "გაყინვა" რუსეთში

პირველი გვერდიდან

მართლაც, ძირითადი ინვესტორების ლოზუნგი ინერტულობაა. დროა საჭირო იმ გადაწყვეტილების მისაღებად, ღირს თუ არა პროექტში სახსრების დაბანდება, ხოლო მას შემდეგ, როცა საინვესტიციო გადაწყვეტილებას მიიღებენ, საკმაოდ ძნელია პროცესის სწრაფად შეჩერება. ამჟამად რუსეთის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა დაამტკიცოს, რომ (თუმცა ეს ძნელია) შეიძლება საქმიანი ფიზიკის კანონებს ყურადღება არ მიაქციო და ის ინვესტიციები შეაჩერო, რომლებიც გზაშია.

შარშან, როდესაც მიხაილ ხოდორკოვსკი და მისი ნავთობკომპანიის, "იუკოსის" სხვა ხელმძღვანელები დააპატიმრეს, კორპორაციები, რომლებიც ინვესტიციებს აბანდებდნენ ან სურდათ მისი დაბანდება რუსეთში, მზად იყვნენ, მკაცრი ზომების გამოყენება გამონაკლის შემთხვევად აღექვათ, რომელიც კომპანიის პოლიტიკური პროგრამით და მისი გენერალური დირექტორით იყო გამოწვეული, ვისაც შედარებით მეტი სიფრთხილე მართებდა. ასევე ყურადღება არ მიუქცევიათ, მიუხედავად იმისა, რომ 2003 წლის მეორე ნახევარში ცხადი გახდა - ხელისუფლება სამართლებრივი საშუალებების გამოყენებას აპირებდა (უზარმაზარი საგადასახადო სარჩელების სახით) კომპანიის დასანგრევად.

როდესაც მხოლოდ ერთი კომპანია შეეჯახა სამართლებრივ და ფინანსურ პრობლემებს, ინვესტორები, რომლებმაც თავისი ინვესტიციების ჩადება გადაწყვიტეს რუსეთში, მზად იყვნენ, ანგარიში არ გაეწიათ მოვლენების ამგვარი განვითარებისთვის. "ეს ალბათ გამონაკლისია," - ლოცვასავით იმეორებდნენ ისინი. მე რაღაც ამდაგვარი მანამდეც მსმენია, რუსული პრობლემების განხილვისას: "მთავარია, "იუკოსის" საქმე დასრულდეს. ჩვენთვის სულ ერთია, როგორ, ოღონდ დასრულდეს."

სამწუხაროდ, ჯინი ბოთლიდან გამოუშვეს. გასული წლის განმავლობაში ყოველდ ნათელი გახდა, რომ რუსეთის უშიშროების შიდა აპარატმა იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების მოგვარებას ეხებოდა, წამყვანი ადგილი დაიკავა. უშიშროების სტრუქტურებს ამ სახის სამუშაოსკენ "გული მიუწევდათ" და სიხარულით შეხვდნენ თავის ახალ მოვალეობებს. მათ მსხვილ ბიზნესთან ბრძოლის განხილვა ბევრ რამეში ტერორისტებთან ბრძოლას გაუტოლეს. და მართლაც, ამ ორ თემას ერთი საერთო აქვს: ბრძოლა არასოდეს სრულდება.

"იუკოსის" წინააღმდეგ უფრო და უფრო ახალი საგადასახადო სარჩელი ჩნდება. სატელეკომუნიკაციო კომპანია "ვიმპელკომის" (ერთ-ერთი წამყვანი რუსული ფირმა და პირველი კომპანია, ბოლო 90 წლის მანძილზე, რომელიც ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის სიაში შევა) წინააღმდეგ აღძრული საგადასახადო სარჩელი ინვესტორებს არაორაზროვან სიგნალს აძლევს: თავს ვერავინ იგრძნობს უსაფრთხოდ.

ოფიციალური დოკუმენტები, ფაქტობრივად, ეჭვქვეშ აყენებენ 1990-იან წლებში წამყვანი რუსული კომპანიების პრივატიზაციის კანონიერებას, რამაც სათავე დაუდო დისკუსიებს ამ პრივატიზაციის შედეგების გადახედვის შესახებ. მაგალითად, კომპანია "ბრიტიშ პეტროლეუმმა", რომელმაც რუსეთში ბევრად მეტი ინვესტიციები განახორციელა, ვიდრე ნებისმიერმა სხვა კომპანიამ, ახლახან აღმოაჩინა, რომ მას არავითარი გარანტია არ გააჩნია, ჰქონდეს უფლება კოვიქტინის გაზის საბადოზე. როგორც ახლა გამოჩნდა, სახელმწიფომ შესაძლოა, ნებისმიერ დროს მოითხოვოს უკან აღნიშნული საკუთრება.

ხანმოკლე ეკონომიკური ინფორმაციიდან გრძელვადიანი დასკვნების გამოტანა არასწორი იქნებოდა, ეს ინფორმაცია სინამდვილესაც რომ ადასტურებდეს. საგანგაშო ტენდენციები, რომლებსაც დღეისათვის ვხედავთ, შესაძლოა დროებითი იყოს და სერიოზული შედეგები არ გამოიღოს. სოციალიზმის შემდეგ მიმდინარე ეკონომიკური ზრდა – ეს არის პროცესი, რომლის იოლად შეჩერება შეუძლებელია (და არც შეიძლება).

თუმცა, თუ ხელისუფლება კვლავ განაგრძობს თავის ქმედებას რუსული ეკონომიკის დესტაბილიზაციის მიმართულებით, დღევანდელი საგანგაშო ტენდენციები მართლაც გაიდგამენ ფესვებს. მაშინ რუსეთს შეუძლია დაივიწყოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური ზრდის მიღწევა, რასაც ჩინეთი მიაღწია. ამის ნაცვლად, ჩვენ, რუსები, კარსმომდგარი ეკონომიკური კრიზისის აღკვეთას შევეცდებით.

რასაკვირველია, ვერავინ იტყვის წინასწარ, როდის დადგება ამგვარი კრიზისი. ერთი კი უდავოა: ძალიან მალე შევიტყობთ, რა გზა აირჩიოს ქვეყნის ხელმძღვანელობამ. მართალია, მიმდინარე წელი, შესაძლოა, რუსეთისთვის ყველაზე გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

*ეგორ გაიდარი რუსეთის ფედერაციის პირველი დემოკრატიული პრემიერ-მინისტრი იყო. ამჟამად იგი გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორია.*

*პროექტი სინდიკატი, 2005 წლის იანვარი*

# რუსეთში ებრაელებისადმი ატავისტური დამოკიდებულება უფრო სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, ვიდრე დანარჩენ ევროპაში

**კერძო საუბრებში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად აკეთებენ ანტიებრაულ განაცხადებს, თუმცა ამას საჯაროდ არ იმეორებენ**

ჟურნალ „ეკონომისტის"
(დიდი ბრიტანეთი)
სარედაქციო სტატია

თვით ლეონიდ ბრეჟნევის დროს, როდესაც ემიგრაციის მსურველებს სდევნიდნენ და ებრაელებს სასწავლებლად, ან სამუშაოდ არ იღებდნენ, კომუნისტური პროპაგანდა გარკვეულ ჩარჩოებს იცავდა: ის დაბეჯითებით თავს არიდებდა ებრაელების, როგორც ნაციის, გაკრიტიკებას ან იუდაიზმის, როგორც რელიგიის, გაკიცხვას. მსგავსი მორიდება ფიქრშიც არ გაუვლიათ რედაქტორებს, პოლიტიკოსებსა და სხვა რუს ნაციონალისტებს, რომლებმაც ამ კვირას გამოქვეყნებულ ღია წერილში ანტისემიტიზმზე რეაქციის ნოვატორული საშუალება წარმოადგინეს: ყველა ებრაული ორგანიზაციის აკრძალვა. ატავისტური უხეშობით, რამაც ლიბერალურად განწყობილი მოსკოველები შეაშინა, წერილის ხელმომწერებმა განაცხადეს, რომ ანტისემიტიზმის ახლანდელი გამოვლინება ან სამართლიან რეაქციას წარმოადგენს "დამახასიათებელ ებრაულ თვისებებზე", რომელიც ნებისმიერ ნამდვილ პატრიოტში უსიამოვნების გრძნობას იწვევს, ან პროვოკაციას, რომელიც თვითონ ებრაელებმა ჩაიდინეს.

თუ სტალინური ეპოქის პროპაგანდისტები ებრაელებზე საუბრის დროს ისეთ განმარტებას ხმარობდნენ, როგორიც "კოსმოპოლიტია", ახალი წერილი უფრო პირდაპირი იყო. მისი ცალკეული პარაგრაფები "სიონის ბრძენთა პროტოკოლებიდან" ნაწყვეტებს წააგავს, ანტისემიტური პროპაგანდის ნიმუშს, რომელიც ჯერ კიდევ რუსეთის მეფის პოლიციის დროს გამოიყენებოდა, მოგვიანებით კი – ნაცისტების მიერ. შეთქმულებათა თეორიის კლასიკური ფერებით, ამ წერილში ნათქვამია, რომ "მთელი დემოკრატიული სამყარო საერთაშორისო იუდაიზმის ფინანსურ და პოლიტიკურ კონტროლს ექვემდებარება, რითაც დაუფარავად ტრაბახობენ ცნობილი ბანკირები". თუ აღნიშნული წერილით განზრახული იყო ვლადიმირ პუტინის რეაქციის შემოწმება, ოსვენციმში მისი ვიზიტის წინ, მაშინ ამ რეაქციამ არ დააყოვნა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ამ წერილს "რუსეთის ხელმძღვანელობის ოფიციალურ პოზიციასთან არაფერი აქვს საერთო" და მასმედიაში მის გამოჩენას "განსაკუთრებით სამარცხვინო" უწოდა. წერილიც და მასზე რეაქციაც იმას ადასტურებს, რაც ბევრ დამკვირვებელს უგრძვნია რუსეთის გამო. ერთი მხრივ, ანტისემიტიზმი (რომელმაც რუსეთში ღრმად გაიდგა ფესვები) რუსული ცხოვრების ზედაპირზე კვლავ ტივტივებს (თუმცა ჩვენს დროში ის კიდევ უფრო ფართოდ გავრცელებულ შეხედულებასთან თანაარსებობს, როგორიც არის, ჩეჩნების და საერთოდ, კავკასიელების სიძულვილი). მეორე მხრივ, ბატონი პუტინი, რომელიც რუსეთის იმიჯს და ებრაელ ოფიციოზებთან თავის დადებით ურთიერთობებს შეგვახსენებს, ცდილობს, რომ ანტისემიტიზმს "ზედაპირზე ამოხეთქვის" საშუალება არ მისცეს.

"კერძო საუბრებში რუსეთის დიდჩინოსანი წარმომადგენლები ხშირად აკეთებენ ანტიებრაულ განაცხადებს, თუმცა ამას საჯაროდ არ იმეორებენ," - ამბობს დმიტრი საიმსი, ამერიკული ანალიტიკური ორგანიზაცია "ნიქსონის ცენტრის" წარმომადგენელი. რუსეთის ოლიგარქების (უმეტესობა მათგანი ებრაელია) წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიაში ბატონი პუტინი და მისი რაზმი მათი წარმომავლობის ხსენებას გაურბის. შესაძლებელია, რომ ეს ყველაფერი შეიცვლება? შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ რუსეთის მომავალმა მთავრობამ ანტისემიტური ბანქო გაითამაშოს, ფართოდ გავრცელებული ქსენოფობიის იმედით? უფრო ფართო პოლიტიკური კრიზისის შემთხვევაში ამის საფრთხე ბევრად გაიზრდება. კრიზისი შესაძლებელი გახდება, თუ ჩინოვნიკების, ნაციონალისტების და უშიშროების სამსახურის თანამშრომლებისგან შემდგარი კოალიცია უცებ დაიშლება, რომელიც დღეს კრემლს აკონტროლებს. ახლო მომავალში ეს პერსპექტივა ნაკლებად სავარაუდოა, თუმცა ბატონი პუტინის ძალაუფლებას ძლიერება ოდნავ მოაკლდა, ვიდრე ეს რამდენიმე თვის წინ იყო. რაც არ უნდა იყოს მომავალში, მოსკოვის კარნეგის ცენტრის წარმომადგენელი მაშა ლიპმანი ამბობს, რომ "კრიზისით გამოწვეული პოლიტიკური ცვლილება ხელისუფლებაში უფრო ტოლერანტულ, ლიბერალურ ადამიანებს არ მოიყვანს".

# კიმ ჩენ ირს ჩინეთში გასაქცევი გზა აუშენეს

ჩრდილოეთი კორეის ლიდერი კიმ ჩენ ირი, საფრთხის შემთხვევაში, ქვეყანას სპეციალური გზით დატოვებს, რომელიც სპეციალურად ამ შემთხვევისთვის ააშენეს, - წერს გაზეთი "ვორლდ ტრიბუნი".



*კიმ ჩენ ირი უკან დასახევ გზას იტოვებს.*

ამ გზის შესახებ, რომელიც ჩინეთის საზღვრის მიმართულებით მიდის, დასავლეთში გაქცეულმა ჩრდილოეთი კორეის ყოფილმა მოქალაქემ ჰან ენ ჩჟინმა განაცხადა. ის მონაწილეობდა აღნიშნული მაგისტრალის მშენებლობაში. ქვეყნიდან გაქცეულის სიტყვებით, გზის პროექტი, რომელიც ფხენიანის გარეუბანს ჩინეთის საზღვართან დააკავშირებს, ჯერ კიდევ 1987 წელს, კიმ ირ სენის (კიმ ჩენ ირის მამის) მმართველობის დროს შეიმუშავეს. მშენებლობის ძირითადი ფაზა, რომელშიც 30 ათასზე მეტი კაცი იყო დასაქმებული, 1991 წელს დაიწყო და დაახლოებით, ოთხ წელს გრძელდებოდა. ბეტონის ფილებისგან გაკეთებული 120 კილომეტრიანი გზა ერთ რიგად არის აშენებული, რომლის სიგანეც სამი მეტრია. გზა ხვასონში იწყებოდა და ჩხანსონში მთავრდებოდა. ამის შემდეგ მშენებლობის მეორე სტადია – გაფართოება დაიწყო. კიმ ირ სენმა გზის ცხრა მეტრამდე გაფართოება და ორ რიგად გაკეთება ბრძანა. თუმცა, საამშენებლო სამუშაოს დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე კიმ ირ სენი გარდაიცვალა. მისი შვილი, ჩრდილოეთ კორეის დღევანდელი ლიდერი კიმ ჩენ ირი, იმ დროს თავის ვილაში ისვენებდა, ჩხანსონში. როდესაც კიმ ჩენ ირს მოახსენეს, რომ მამამისი სიკვდილის პირას იყო, მან ახალი მაგისტრალით გადაწყვიტა მამასთან მანქანით წასულიყო. თუმცა იმის გამო, რომ გზაზე საკმაოდ ბევრი მკვეთრი მოსახვევი იყო, მან მამის რეზიდენციამდე დროულად მისვლა და მისი ცოცხლად ნახვა ველარ მოასწრო. ამის შემდეგ, საგზაო სამუშაოების მესამე სტადიის დროს, კიმ ჩენ ირის ბრძანებით, ჩრდილოეთი კორეელმა მშენებლებმა სამ წელში გაასწორეს გზა ზოგიერთ მონაკვეთზე, რათა აღნიშნულ მონაკვეთზე მანქანას შედარებით დიდი სიჩქარით ემოძრავა. როგორც ჰან ენ ჩჟინი ამტკიცებს, ამ გზაზე გადაადგილება ყველას ეკრძალება, კიმ ჩენ ირის კორტეჟისა და შეიარაღებული პატრულის გარდა. მთავრობის რამდენიმე ჩინოვნიკი, რომელმაც ამ გზით ისარგებლა, სასამართლოს გადასცეს.

*24 საათი*

# თავისუფალი არჩევნები ტერაქტების ფონზე

"ეს არ არის სრულყოფილი არჩევნები, მაგრამ რასაც დღეს ერაყში ვხედავთ, თავისუფლების ნიშანია," - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა საარჩევნო პროცესის კომენტირებისას. მისი თქმით, განვითარების ამგვარ დადებით ტენდენციას სამი წლის წინ ვერავინ ივარაუდებდა, როცა ქვეყანაში სადამ ჰუსეინის რეჟიმი ბატონობდა. ერაყის არჩევნებს მნიშვნელოვან წარმატებად განიხილავენ ერაყელი პოლიტიკოსებიც. დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრის აიად ალავის თქმით, 30 იანვრის არჩევნები ერაყელთათვის საკუთარი ბედის განსაზღვრის პირველი შემთხვევაა. სააგენტო "ესოშიეიტიდ პრესის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერაყში არჩევნების ჩატარებით კმაყოფილია გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანიც. "ერაყელებმა იციან, რომ არჩევნებში მონაწილეობით ხმას საკუთარ მომავალს აძლევენ. ეს დემოკრატიისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. ეს მხოლოდ დასაწყისია და არა დასასრული," - განაცხადა კოფი ანანმა.

საყოველთაო არჩევნები ერაყში, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ელოდა, გუშინ შედგა. ოფიციალური მონაცემებით, მოსალოდნელი ტერაქტების შიშის მიუხედავად, არჩევნებში მონაწილეობა ელექტორატის 72 პროცენტმა მიიღო. ელექტორატის დაბალი აქტივობით მხოლოდ "სუნიტური სამკუთხედი" გამოირჩეოდა. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მიუხედავად, მოსახლეობაში დანერგილი მოსალოდნელი ტერაქტების შიში, არცთუ უსაფუძვლო აღმოჩნდა. ერაყის საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული მონაცემების თანახმად, არჩევნების დღეს განხორციელებულ ტერაქტებს სულ მცირე 30 ადამიანი ემსხვერპლა. თვითმკვლელი-ტერორისტების მიერ განხორციელებული აფეთქებების უმრავლესობა ბაღდადსა და მის შემოგარენში მოხდა. თუმცა, დედაქალაქის გარდა, აფეთქებები იყო ბასრაში, მოსულში, თალ-აფარში, ბააქუბაში, ერ-რამადისა და სამარაში. როგორც მოგვიანებით ერთ-ერთ ისლამურ ინტერნეტგვერდზე გაჩნდა ინფორმაცია, 7 საარჩევნო უბანზე განხორციელებულ ტერაქტებზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აბუ მუსაბ აზ-ზარქავის ტერორისტულმა დაჯგუფებამ აიღო.

*24 საათი*

TBC NEWS



### TBC ბანკის ახალი სათავო ოფისი

თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე ყოფილი უნივერმაღის შენობის სარესტავრაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. სამუშაოები 2 წლის წინათ დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. რამდენიმე თვის წინათ დასრულდა შენობის ფასადის რესტავრაცია, მოიხსნა ხარაჩოები, დამონტაჟდა შენობის ღამის განათება და საზოგადოების დიდმა ნაწილმა, მხოლოდ ამის შემდეგ აღიქვა, რომ შენობა დედაქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენდა.

შენობისთვის ძველი იერსახის დაბრუნების იდეა სააქციო საზოგადოება "თი ბი სი ბანკს" ეკუთვნის. სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელება და მისი დაფინანსებაც, სწორედ მან იკისრა. სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ რესტავრირებულ შენობაში ბანკის სათავო ოფისი განთავსდება.

მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე ეს შენობა მოდერნისტული მიმართულების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს (მოდერნი სახვით ხელოვნებასა და არქიტექტურაში მე-19 საუკუნის ბოლოს წარმოიშვა). შესაბამისად, მისი რესტავრაცია, რომელიც "თი ბი სი ბანკმა" თავის თავზე აიღო, მნიშვნელოვანია დედაქალაქის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისითაც.

თავდაპირველად ეს ობიექტი კავკასიის ეკონომიკური საზოგადოების შენობა იყო. 1910 წელს კავკასიის ოფიცერთა ეკონომიკურმა საზოგადოებამ შენობის ესკიზურ პროექტზე კონკურსი გამოაცხადა. მშენებლობა იმ დროს თბილისში მოღვაწე არქიტექტორის, ალექსანდრე როგოისკის პროექტის მიხედვით წარიმართა. ერთ-ერთი ვერსიით, ამ შენობის აშენება ასევე უკავშირდება თბილისში მოღვაწე ცნობილი იტალიელი ოსტატის, ანჯელო ანდრეოლეტის სახელს. მას თბილისში ქვის დამამუშავებელი ქარხანა ჰქონდა, სადაც იტალიიდან ჩამოტანილი ნედლი მარმარილო მუშავდებოდა, ასევე იტალიიდან ჩამოყვანილი ხელოსნების მიერ. მშენებლობა 1911-13 წლებში მიმდინარეობდა. 1912 წელს როგოისკი მძიმე ავადმყოფობისგან გარდაიცვალა. 1913 წლის 30 ივნისს კი შენობა საზეიმოდ აკურთხეს.

მოგვიანებით, საბჭოთა პერიოდში, კერძოდ 20-იან წლებში კავკასიის ოფიცერთა ეკონომიკური საზოგადოების შენობა კოოპერატივად გადაკეთდა და "ერკოპი" ეწოდა, ხოლო 1934 წლის მაისში "თბილისის ცენტრალური უნივერმაღი" განთავსდა. ამ სახელწოდებით შენობა 2002 წლამდე ფუნქციონირებდა.

შენობამ წლების განმავლობაში სახე იცვალა, 90-იან წლებში ეს უმშვენიერესი ნაგებობა საკმაოდ დაზიანდა და შეილახა. "თი ბი სი ბანკმა" მისი რესტავრაცია ამიტომაც გადაწყვიტა. ბანკის ხელმძღვანელობამ დედაქალაქის ისტორიული ნაგებობის შენარჩუნებაზე იზრუნა და მისი ინვესტირებისას არქიტექტორების შენიშვნები და აზრიც გაითვალისწინა. კერძოდ, შენობის რესტავრაცია-ადაპტაციის და ნაწილობრივი რეკონსტრუქციის პროექტი ბანკის დაკვეთით, არქიტექტორ გაგა კიკნაძის მიერ, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან შეთანხმებით მომზადდა, პროექტის საინჟინრო ნაწილი კი "ქალაქპროექტმა" დაამუშავა, გასამაგრებელი სამუშაოები სეისმომედეგობის ინსტიტუტის რეკომენდაციებზე დაყრდნობით განხორციელდა. სამშენებლო სამუშაოები შპს "მშენებელი-96"-მა შეასრულა.

**"მსგავსი ღირებულების ნაგებობა, არა მხოლოდ საქართველოში, ბევრ სხვა ქვეყანაში ძნელად მოიძებნება. შენობა ექსპლუატაციისას ძალიან დაზიანდა. ინტერიერის მნიშვნელოვანი ნაწილი - ლითონის კიბე კონსტრუქციულად ძალიან დაზიანებული იყო, მის აღსადგენად რთული სარესტავრაცი სამუშაოები ჩავატარეთ, როგორ კონსტრუქციულად, ისე დეკორატიული თვალსაზრისით. ასევე მნიშვნელოვანია იატაკები, რომელიც სხმული მოზაიკით იყო მოპირკეთებული და იტალიელი ანჯელო ანდრეოლეტის მიერ იყო შესრულებული. მოზაიკამ იმდენად დაზიანებული სახით მოაღწია, მცდელობის მიუხედავად, მისი რესტავრაცია და აღდგენა ტექნიკურად ვერ შევძელით. ამოტომ მოხდა იატაკის კონსერვაცია, ხოლო ზემოდან დავაგეთ თეთრი გრანიტის საფარი, რომელიც ასევე ძვირფასია და შენობის სტილშიც ჯდება,"** - ამბობს პროექტის ავტორი, არქიტექტორი **გაგა კიკნაძე.**

რაც შეეხება შენობის ინტერიერს - სამი დიდი სარკე ხის მასიური ჩარჩოებით, 120 სმ სიმაღლის 2 ჩინური ლარნაკი და ნადირობის ქალღმერთ დიანას ბრინჯაოს ქანდაკება, საკმაოდ დაზიანებული სახით მოაღწია დღემდე. ბანკის დაფინანსებით ამ ეტაპზე მათი რესტავრაციაც მიმდინარეობს, რის შემდეგაც თითოეული მათგანი ისევ შენობას დაუბრუნდება. ხოლო განათება, ავეჯი და შიდა ინტერიერის სხვა დეტალები, როგორც არქიტექტორმა გაგა კიკნაძემ აღნიშნა, იქნება თანამედროვე და განსაკუთრებით მაღალი ხარისხის. ამისათვის ბანკმა ჰოლანდიელი არქიტექტორი პიტერ ჰოენსი მოიწვია, რომლის სპეციალიზაციაც სწორედ საბანკო და საოფისე შენობის ინტერიერის დიზაინია.

**"თანამედროვე დიზაინის ელემენტები და ძველი შენობა ჰარმონიულად არის შერწყმული, სინთეზი მიღწევადი აღმოჩნდა,"** - კმაყოფილებით აღნიშნავს ჰოლანდიელი არქიტექტორი **პიტერ ჰოენსი**.

### TBC - ხალხის საყვარელი ბანკი

"თი ბი სი ბანკის" დაარსებიდან 12 წელი გავიდა, თუმცა მან მოკლე ხანში შეძლო საქართველოს საფინანსო ბაზარზე მნიშვნელოვანი პოზიცია დაეკავებინა. სპეციალისტების შეფასებით, საერთაშორისო საბანკო სტანდარტებზე გადასვლა და კლიენტების მოთხოვნილებაზე ორიენტირება ბანკის წარმატებული საქმიანობის უპირველესი ფაქტორი იყო. "თიბისი ბანკის" მომსახურეობით საზოგადოების ცნობილი სახეებიც სარგებლობენ, რაც ბანკის იმიჯზეც მიუთითებს.

"თი ბი სი ბანკი" სოლიდური და ყველასათვის მისაღები ბანკია, ამასთან პოპულარულიც. ეს არის ის გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც რეკლამა არ ტყუის, მით უმეტეს, არ გაცდენს. ამ ბანკში ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ კლიენტი დარჩეს კმაყოფილი, ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ თითოეულ საკითხს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან და, არ მახსოვს შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის პირობა თუ ვალდებულება არ შეესრულებინოთ. ჩვენს ურთიერთობებში დამალული არაფერია, ყველაფერი არის გამჭვირვალე, არ ირღვევა არც კლიენტის და არც ბანკის უფლებები. მიუღებელია, როდესაც ბანკი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს არღვევს, უფრო მეტიც, შეგნებულად არ ასრულებს. ამის მწარე გამოცდილება სხვა ბანკებთან თანამშრომლობისას მქონია. ასე რომ, ყველას ვურჩევ, დაზოგოს დრო და ფული და ისარგებლონ "თიბისი ბაკის" მომსახურეობით. ჩემს მეგობრებს ამის შეხსენებაც არ სჭირდებათ, მუდამ ვიძლევი "უფასო" რეკომენდაციებს," - ამბობს ჩვენთან საუბრისას ოლიმპიური ჩემპიონი, ძიუდოს ნაკრების მწვრთნელი შოთა ხაბარელი, რომელიც "თიბისი ბანკის" ხშირი სტუმარი ყოფილა. ის, სპორტის პარალელურად, ბიზნესითაც არის დაკავებული და საკმაოდ წარმატებულადაც - სწორედ მისი დაფუძნებულია რესტორანი "პლიმპი".

### TBC ბანკის სიახლე

"თი ბი სი ბანკი" ტრადიციებს არ ღალატობს და ფინანსური მაჩვენებლების ზრდის პარალელურად, მომხმარებელზეც ზრუნავს. ამ ეტაპზე თბილისში ბანკის 4 ფილიალი (ვაკე, ვერა, მთაწმინდა, ნაძალადევი), ხოლო რეგიონში 6 ფილიალი (ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, ბორჯომი, რუსთავი, თელავი) ფუნქციონირებს. ბანკის ხელმძღვანელობა კლიენტებს გაუმჯობესებულ კომფორტსა და სერვისებს ჰპირდება.

ცოტა ხნის წინ "თი ბი სი ბანკმა" ქვეყნისთვის სრულიად ახალი მომსახურება დანერგა - ბანკის ბანკომატებიდან შესაძლებელი გახდა კომუნალური გადასახადების გადახდა. "თიბისი ბანკის" ვიზა ბარათების მფლობელს შეუძლია დაზოგოს ფული და ბანკომატთან ერთი მისვლით გადაიხადოს დენის, წყლის, ტელეფონის და სხვა კომუნალური გადასახადები.

გასათვალისწინებელია, რომ ბანკომატიდან კომუნალური გადასახადების გადარიცხვა "თი ბი სი ბანკის" ვიზა ბარათის ყველა მფლობელს შეუძლია, რომელთა რიცხვი საქართველოში 25 ათასს აღემატება. ახალი სერვისი მომხმარებელს საშუალებას აძლევს, "თი ბი სი ბანკის" ნებისმიერი ბანკომატიდან გადაიხადოს გადასახადი "თელასში", "თბილწყალკანალში", "საქართველოს ტელეკომში", "ახალ ქსელებში", "ახტელში", "საქართველოს ელექტროკავშირში", "ჯორჯია-ონლაინში", "საქტელკომ პლუსში", "აიეტსა" და "გლობალ ერთში". თითო გადარიცხვის ღირებულება 90 თეთრია.

ბანკომატიდან კომუნალური გადარიცხვები "თიბისი ბანკის" ერთ-ერთი ახალი ელექტრონული მომსახურებაა, ეს სიახლეა არა მარტო საქართველოს, არამედ ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბაზრებისთვისაც. ბანკომატიდან კომუნალური გადარიცხვების სერვისის შემოღება ბანკის იმ სტრატეგიის ნაწილია, რომელიც ელექტრონული პროდუქტების განვითარების გზით მომხმარებლისთვის კომფორტის შექმნას, მოსახერხებელი მომსახურებასა და ბანკის ოფისების განტვირთვას გულისხმობს.

ფოსტა

# რატომ ჭიანურდება ძველი რექტორების გადაყენება

ყველასთვის ცნობილია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის კანონს "უმაღლესი განათლების შესახებ", რომელიმაც ევროპულ სტანდარტებს უნდა დაგვაახლოვოს. სწორად გამართული და სრულყოფილი განათლების სისტემა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვენი მომენტია განათლებული საზოგადოების შესაქმნელად. განათლებული საზოგადოება კი ძლიერი და მდიდარი სახელმწიფოს აშენების საწინდარია.

შესაბამისად, კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ", რაც შეიძლება, საწრაფად უნდა ამოქმედდეს. მისი ამოქმედება და უმაღლეს სასწავლებლებში ძირეული რეფორმების გატარება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს უმაღლესი განათლების მართვას, სასწავლო და სამეცნიერო მუშაობას, აგრეთვე - კონკურენტუნარიანი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

კანონის მიღებიდან საკმაო დრო გავიდა, მაგრამ უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო წლის მეორე სემესტრი ისევ მოძველებული ფორმითა და წესებით იწყება; არავითარი სიახლე არ შეინიშნება მაშინ, როდესაც პროფესორ-მასწავლებლები ასე მოუთმენლად ელიან დაპირებულ ცვლილებებს.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის ცნობილია, თუ რა ხდებოდა და რა ხდება უმაღლეს სასწავლებლებში; როგორ ყვაოდა კორუფცია; რა დაბალ დონეზე მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, რის გამოც სასწავლებლები, მეტწილად, დაბალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს უშვებდნენ.

უმაღლეს სასწავლებლებში გაჩნდა ეჭვები იმის თაობაზე, თუ რატომ გაჭიანურდა ძველი, კორუმპირებული და ავტორიტეტშელახული რექტორების შეცვლა. ამბობენ, რომ ზოგიერთი რექტორი და მისი გუნდის წევრები, თავიანთი ნათესავების, მეგობრებისა და ნაცნობების მეშვეობით, ყოველმხრივ ცდილობენ, დაუკავშირდნენ პრეზიდენტის წრეს, რომ რექტორობის მოვალეობის შემსრულებლად თავიანთი პროტეჟე დანიშნონ, რათა შემდგომ გარანტირებული ჰქონდეთ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობა ან წარმომადგენლობითი საბჭოს (სპიკერის) წევრის ადგილი და ამ გზით გააგრძელონ თავიანთი უკანონო ქმედებები.

ცხადზე უცხადესია, რომ ძველი წესით არჩეული რექტორები, რომელთა უმრავლესობას ორჯერ არჩევის ვადა გაუვიდა და მესამედ არიან არჩეულები, კანონის შესაბამისად ვერ გაატარებენ რეფორმებს, რაც დაგეგმილ, უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს ფორმალურს გახდის. შედეგად, ქვეყანა მხოლოდ ზიანის მიიღებს.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტის სესიის გახსნაზე აღნიშნა, რომ ქვეყანაში ყველაზე კორუმპირებული სისტემა უმაღლეს სასწავლებლებშია. ამიტომ, მათი ხელმძღვანელობა მთლიანად უნდა შეიცვალოს;

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა კახა ლომაიამ თავის გამოსვლებში არაერთხელ თქვა, რომ კორუმპირებული რექტორების ადგილი ორთაჭალაშია და პროკურატურას მათ შესახებ ყველა დოკუმენტაცია ხელთ აქვს.

გამოიცა წიგნი "კორუფცია უმაღლეს სასწავლებლებში" (ავტორი ქეთევან როსტიაშვილი), სადაც მოყვანილია კორუფციის უამრავი ფაქტი, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სამედიცინო უნივერსიტეტში დაფიქსირდა მისაღებ, სასესიო გამოცდებზე; ასევე - საბიუჯეტო თანხების ხარჯვის თვალსაზრისით.

წიგნში მოტანილი მასალები მოპოვებულია პედაგოგების, სტუდენტებისა და მშობლების გამოკითხვით. წიგნში შეტანილი ფაქტების გარდა, საქართველოს მოსახლეობამ კარგად იცის, თუ რომელ სპეციალობაზე რა ღირდა მოწყობა, ვინ იყვნენ შუამავლები, ვისთან უნდა მისულიყვნენ და რა უნდა გადაეხადათ. ზოგჯერ ღიად, საჯაროდ ხდებოდა ყველაფერი - მშობლების თვალწინ, მისაღები გამოცდების წინა დღეებში.

ასეთი კორუმპირებული ჩინოვნიკები და შუამავლები, რომელთაც იმის მორალური უფლებაც არ აქვთ, თვალებში შეხედონ სტუდენტ ახალგაზრდობას, არ უნდა დარჩნენ უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელ თანამდებობებზე, არ უნდა იდგნენ კეთილსინდისიერი კოლეგების გვერდით.

საინტერესოა, რატომღა შეჩერდა უმაღლეს სასწავლებლებში დაფიქსირებული კორუფციული ფაქტების გამოძიება? ნუთუ კანონს "უმაღლესი განათლების შესახებ" აღსრულება არ უწერია? ეს იქნება უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავეთა აბსოლუტური უმრავლესობის შეურაცხყოფა და სახეში ტალახის შეყრა.

ჩვენ გვჯერა, რომ ბატონ პრეზიდენტზე ვერავინ მოახდენს გავლენას და ძველი კორუმპირებული და ავტორიტეტდაკარგული რექტორები ადგილებს ვერ შეინარჩუნებენ. ვიმედოვნებთ, რომ მათ ადგილზე შეირჩევა ახალგაზრდა, პატიოსანი, პერსპექტიული და საქმის მცოდნე ღირსეული კადრები, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად სრულყოფილად ჩაატარებენ განათლების სისტემის რეფორმას.

*ი.ჭუმბურიძე, პროფესორი;*
*ვ.კაკაბაძე, მეც. დოქტორი;*
*თ.წულაია, პროფესორი;*
*ო.შენგელია, პროფესორი;*
*ე.კაპანაძე, პროფესორი;*
*ჯ.შოშიაშვილი, პროფესორი;*
*ა.ყიფიანი, მეც.დოქტორი.*

# საშინელება

1997 წელს ერთ-ერთ ჟურნალში წავიკითხე რეკლამა პლასტიკური ოპერაციების თაობაზე. რეკლამას აკეთებდა ექიმი გენადი იოსავა. საკონტაქტო ტელეფონის მეშვეობით გავიგე, რომ უნდა მიმემართა ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე სისხლის გადასხმის ცენტრისთვის.

1997 წლის აგვისტოში სისხლის გადასხმის ინსტიტუტში ექიმმა გენადი იოსავამ, ყოველგვარი გამოკვლევებისა და ანალიზების გარეშე, თავის კაბინეტში გამიკეთა მკერდისა და ტუჩების კორექცია. მან მომცა ყველანაირი პირობა იმისა, რომ შპრიცის მეშვეობით მკერდში და ტუჩებში იქნებოდა შეყვანილი ჟელე - სილიკონისაგან განსხვავებით, სამუდამო და არანაირი გართულება არ მოჰყვებოდა. იმ მომენტში ჩემ მიერ გადახდილი თანხა რომ ჩაედო ჯიბეში, მაძლევდა ყველანაირ პირობას და არ აინტერესებდა, რა საფრთხე ელოდა ჩემს ჯანმრთელობას.

პირველი ოპერაციის მსვლელობისას ვიგრძენი საშინელი ტკივილი მარჯვენა მკერდის არეში. მან მითხრა, რომ ჟელე არასწორ ლოკალში შეიყვანა, - გამოვიღე შპრიცით და ნუ გეშინიაო. გამიკეთა ტკივილგამაყუჩებელი და გამომიშვა სახლში. ისევ მივაკითხე იოსავას ერთი კვირის შემდეგ. დამამშვიდა, - ნუ ნერვიულობ, ყველაფერი გაგივლისო; და კვლავ გამიშვა სახლში.

7 წლის განმავლობაში სისტემატურად ვაკითხავდი და ვთხოვდი, სათანადო ყურადღება მოექცია. ამასობაში ჟელემ დაიწყო მკერდიდან ქვემოთ ჩამოსვლა და დაგროვება, ხოლო ტუჩებიდან გაიფანტა ზედა და ქვედა მიმართულებით, რის გამოც შრამებისა და ნაწიბურების შთაბეჭდილება რჩებოდა. ექიმი იოსავა ჯერ მეუბნებოდა, -გეჩვენებაო, - ხოლო როდესაც მოცულობამ საგრძნობლად მოიმატა, მითხრა, - ეს არის კუნთი და არა ჟელეო. ოპერაციის მერე მუდმივად ვსვამდი ძლიერ ტკივილგამაყუჩებლებს. ბოლო ვიზიტის შემდეგ, როდესაც იოსავამ მითხრა, - მე ვერაფერს გიშველიო, - დავიწყე სპეციალისტის ძებნა. მივაკითხე დამწვრობის ცენტრის დირექტორს, ბატონ ბესიკ იაშვილს. მან გამსინჯა და კატეგორიული უარი მითხრა, რადგან ჟელეს ამოღება არანაირი გზით არ მოხერხდებოდა; ამიხსნა, რომ თუ დროზე არ მივხედავდი, მკერდი მექნებოდა მოსაკვეთი. შემდეგ მივაკითხე კლინიკა "კარაპს მედლაინს", მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ექიმ მამოლოგ გია ციხისელს. მან ყველანაირი გამოკვლევებისა და ანალიზების შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, ამოეკვეთა მხოლოდ ის ადგილი, სადაც ჟელე იყო დაგროვილი. მკერდს ვერ შეეხებოდა, რადგან ჟელე გაფანტული იყო წვრილ-წვრილად. გაფანტული ჟელეს ამოღება, მისივე განმარტებით, მხოლოდ მკერდის მოკვეთით შეიძლებოდა. ექიმმა ციხისელმა გამიკეთა ოპერაცია და მითხრა, რომ ცხოვრებაში ასეთი რამ არასოდეს ენახა. ეს იყო მანისმაგვარი ფაფა. სამჯერ მომიწია ჭრილობის გაკერვა, რადგან ხორცი ჟელესგან იყო მოხარშული და ძაფებს ვერ უძლებდა.

ამის შემდეგ სასწრაფოდ გადავფრინდი გერმანიაში. სამი დღე ვიწექი საავადმყოფოში. ჩამიტარდა გამოკვლევები და ყველანაირი ანალიზები, მაგრამ არც იქ არავინ მომკიდა ხელი და გამომიშვეს დიაგნოზით, რომ ორივე მკერდი მოსაკვეთი იყო. მათ მითხრეს, - ვინ იყო ის ვეტერინარი, ვინც ამ მდგომარეობაში ჩაგაგდოო,- და მირჩიეს, სასწრაფოდ დავბრუნებულიყავი თბილისში, - ვინც კორექცია გაგიკეთა, კვლავ მან მოგხედოსო. ჩამოვფრინდი თბილისში და ისევ გია ციხისელს მივაკითხე, რადგან სხვა გზა არ მქონდა. ხელს სხვა არავინ მომკიდებდა. როდესაც გიამ ნახა ანალიზები, მითხრა, - მეც ხომ გეუბნებოდი, ორივე მკერდი მოსაკვეთიაო. მივაკითხე იოსავა გენადის, ვინც ამ მდგომარეობაში ჩამაგდო სისხლის გადასხმის ინსტიტუტში. მან ასეთი სიტყვებით მომმართა: თვალით აღარ დამენახო, სადაც გინდა იქ წადი და ვისთანაც გინდა, იმასთან მიჩივლეო. ახლა ერთი მკერდის ზომა 0-ია, მეორესი - 3. გენადი იოსავა ექიმად არ უნდა მუშაობდეს. იძულებული ვარ, მივმართო შესაბამის სამართლებრივ ზომებს.

*ხათუნა ნაცვლიშვილი*

**გაეროს განვითარების პროგრამა**

აცხადებს ტენდერს

**გაეროსა და საქართველოს მთავრობის მიერ ერთობლივად განხორციელებული პროექტების აუდიტის ჩასატარებლად**

სატენდერო წინადადება და სამუშაოს აღწერილობა შეგიძლიათ მიიღოთ გაეროს განვითარების პროგრამის ოფისის მისაღებში (მისამართი: გაეროს სახლი, ერისთავის ქუჩა 9, თბილისი, საქართველო. ტელ: (995-32) 99-85-58, 25-11-26/28/29/31) 2005 წლის 1 თებერვლიდან სამუშაო საათებში 9:30-18:00 ან გაეროს განვითარების პროგრამის ვებ-გვერდზე: www.undp.org.ge. წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 18 თებერვალი 18:00 საათი. ტენდერში მონაწილეობის გადასახადია 50 ლარი. აღნიშნული თანხა მონაწილეს უკან არ დაუბრუნდება.

UNDP

# სინათლე უსინათლოთა თვალებში

ნონა მაისურაძე

*ისინი ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან, მაგრამ მათი მდგომარეობა სოციალურად დუხჭირ ქვეყანაში განსაკუთრებულად მძიმეა. ამ ადამიანებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებად იცნობენ. სამწუხაროდ, როცა ჯანსაღ ადამიანებს საკუთარი ადგილის პოვნა უჭირთ, მათი დასაქმება პრობლემურია, თუმცა - შესაძლებელი. სწორედ დაბალკონკურენტუნარიანი პირებისთვის შემუშავდა 2003 წელს სახელმწიფო პროგრამა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასაქმებისა და უმუშევრობის პროგრამების სამმართველოში, რომელიც შემდგომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა განახორციელა.*



*სოცუზრუნველყოფის ფონდის ხელმძღვანელობა უსინათლოებთან საამქროში.*

სამუშაო ადგილების სუბსიდირების პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნას ითვალისწინებს. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის, "საქართველოს ბანკისა" და შ პ ს "ტარას" ერთობლივი ძალისხმევით, აღნიშნული პროგრამა წარმატებით განხორციელდა. პროგრამის ფარგლებში 36 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის მუდმივი სამუშაო ადგილი შეიქმნა; მათ შორის 34 - პირველი, ორი კი მეორე ჯგუფის უსინათლო ინვალიდია.

"საქართველოს ბანკის" გარანტიით, რომელსაც პროგრამული უზრუნველყოფა დაევალა, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა შპს "ტარას" 100 000 ლარი გადაურიცხა. ხელფასის სახით, "ტარამ" 10 თვის განმავლობაში 50 400 ლარი გასცა. აქედან, სოცანარიცხების სახით, სახელმწიფო ბიუჯეტში შევიდა 15 624 ლარი. ამასთან, პროგრამის წყალობით, საგრძნობლად გაიზარდა საწარმოს საქონელბრუნვა. პროგრამის ხელშეწყობით, საწარმოს მწარმოებლობა გაზრდილია 30 პროცენტით. უახლოეს მომავალში, კომპანიას ქაღალდის წარმოება აქვს დაგეგმილი.

საწარმო "ტარა," თავის მხრივ, უზრუნველყოფს კორპის საცობების, გოფრირებული მუყაოს, კვერცხის ლანგრების წარმოებას. პროგრამის ფარგლებში იქ დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ხელფასის ოდენობა 120 ლარია. ეს ადამიანები მადლიერებას გამოხატავენ ყველას მიმართ, ვინც მათი დასაქმების, აქტიური ცხოვრების წესის ხელშეწყობისთვის, თუნდაც, მცირედი გააკეთა.

შპს "ტარას" ხელმძღვანელი სიმონ კოპაძე: **"ამ ადამიანების პასუხისმგებლობით, სამუშაოსადმი ერთგულებითა და შრომისმოყვარეობით გაოცებული ვარ. ასეთი მოწესრიგებული მუშაკები ჯანმრთელებშიც კი იშვიათია. ეს ადამიანები სამსახურში მოდიან ფონიჭალიდან, სადაც მათი კომპაქტური დასახლებაა. მოდიან საზოგადოებრივი ტრანსპორტით და არასოდეს აგვიანებენ; თავიანთ ფუნქციასაც პირნათლად ასრულებენ. თუ ეს პროგრამა 2005 წელსაც გაგრძელდება, მათი პირობების გაუმჯობესებასაც შევძლებთ და ტრანსპორტირების საკითხსაც მოვაგვარებთ. დავდებთ, ასევე, ერთ არცთუ უმნიშვნელო პირობას - პროგრამის ფარგლებში, დაბალკონკურენტუნარიანი პირებისთვის 100 სამუშაო ადგილს შევქმნით".**

# მადლობა შრი ლანკადან

"თავისუფლება, გონიერება, ჩვენი ერის უსაფრთხოება" – ასე იშიფრება საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციია Lions Club–ის აბრევიატურა. მართალია, ორგანიზაციის მთავარი ოფისი ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ ჩიკაგოშია, თუმცა მისი ფილიალები მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს. მათ შორის არის საქართველოც.

Lions Club-ი ამერიკაში გასულ საუკუნეში შეიქმნა, ქართველი "ლაიენები" კი არსებობის ერთ წელს ითვლის. მცირე დროის მიუხედავად, მათ უკვე მოასწრეს საქველმოქმედო აქციების მოწყობა. ორგანიზაცია სოციალურად დაუცველ ფენებს ეხმარება და მისი საქმიანობა მხოლოდ თბილისში არსებული ბავშვთა სახლების დახმარებით არ შემოიფარგლება, აქციებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც აწყობენ.

რამდენიმე დღის წინათ Lions Club-ის ქართული ფილიალის პრეზიდენტ თამარ გეგენავას შრი ლანკას Lions Club-ის პრეზიდენტისგან მადლობის წერილი მოუვიდა. შრი ლანკელი ქართველ კოლეგებს მადლობას უხდიდა იმ დახმარებისთვის, რომელიც ქართვე-

თვალსაზრისი

# როგორ მოვემზადოთ პროგრამული აკრედიტაციისათვის

*ინსტიტუციურ აკრედიტაციას ერთი სერიოზული ნაკლი აქვს. იმის გამო, რომ იგი ორიენტირებულია უმაღლესი სკოლის მთლიან შეფასებაზე, შეუძლებელი ხდება მასში მოქმედი პროგრამების ყველა ასპექტის შეფასება. შედეგად კი, ხშირად წარმატებული უნივერსიტეტების "ჩრდილქვეშ" ისეთი ფაკულტეტები იღებენ სახელმწიფო აღიარებას, რომლებიც ელემენტარულადაც კი ვერ აკმაყოფილებენ სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს. ეს ნაკლი, ცხადია, საქართველოში მიმდინარე ინსტიტუციური აკრედიტაციისათვისაც არის დამახასიათებელი. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ მრავალ ინსტიტუციურ აკრედიტაციაგავლილ უმაღლეს სასწავლებელში ძალზე დაბალი ხარისხის მქონე ფაკულტეტებია.*

ბელა გომელაური
*განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აკრედიტაციის კონსულტანტი*

ინსტიტუციურისაგან განსხვავებით, პროგრამული აკრედიტაცია დეტალურად იკვლევს ფაკულტეტისა და მასში მოქმედი პროგრამების ყველა ასპექტს. პროგრამული აკრედიტაცია ახორციელებს სხვადასხვა დარგის (მედიცინის, საინჟინრო ხელოვნების), პროფესიის (ინჟინრის, პედაგოგის) და სპეციალობის (ელექტროინჟინრის, რადიოლოგის, თერაპევტის) პროგრამების ხარისხის შეფასებას. სწორედ ამიტომ ენიჭება დიდი მნიშვნელობა პროგრამულ აკრედიტაციას, ამიტომაა, რომ დასავლეთის ქვეყნებში რიგ პროფესიებში მუშაობის დაწყებისთვის კურსდამთავრებულებს სთხოვენ ცნობას აკრედიტებული პროფესიული პროგრამის გავლის შესახებ.

ცხადია, ახლო მომავალში ასე იქნება ჩვენშიც და ამისათვის ზოგიერთ პროფესიაში ორი წლის ლოდინი სულაც არ არის საჭირო. რატომღაც ზოგიერთს ისეთი წარმოდგენა აქვს, თითქოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ან სხვა უფლებამოსილი სტრუქტურები ორი წელი გულხელდაკრეფილი ისხდებიან და მხოლოდ ამის შემდეგ ერთდროულად დაიწყება ყველა დარგის პროგრამული აკრედიტაცია (მათი რიცხვი, იუნესკოს მონაცემებით, ხომ ოცამდეა). ცხადია, ეს ასე არ იქნება. იმის გამო, რომ პროგრამული აკრედიტაციის განხორციელება კონკრეტული დარგის პროექტის შექმნასთან და სათანადო ფინანსების მოძიებასთანაა დაკავშირებული, რისთვისაც ყველა პროფესიაში არ არის თანაბარი მზაობა, აღნიშნული პროცესი ყველა დარგში ერთდროულად ვერ დაიწყება. ჩემი ვარაუდით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჭირო თანხების მოძიებისთანავე, პირველ რიგში, რეგულირებადი პროფესიების პროგრამულ აკრედიტაციას დაიწყებს. ამ პროცესში არ არის გამორიცხული, სამინისტროს მიერ ნებადართული, სხვა დამოუკიდებელი სტრუქტურების მონაწილეობაც.

ყოველი ქვეყნის კონკრეტული სოციალურ-კულტურული ვითარებიდან გამომდინარე, პროგრამული აკრედიტაციის წინაშე შესაძლებელია სპეციფიკური მიზნები დაისახოს, მაგრამ მთავარი და საყოველთაოდ აღიარებული მიზანია მაღალი დონის სპეციალისტების მომზადებისთვის ხელშეწყობა, ამ უკანასკნელზე საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

პროგრამული აკრედიტაცია აღიარებულია ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს მიერ; უფრო მეტიც, სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურები საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსებას ან სტუდენტებისთვის სესხის გაცემას ხშირად პროგრამული აკრედიტაციის შედეგებს უკავშირებენ. შეერთებულ შტატებში სტუდენტებისთვის შტატის, ფედერალური ან საზოგადოებრივი ფონდებიდან სესხის გაცემა სწორედ პროგრამული აკრედიტაციის შედეგებს უკავშირდება. ფინანსური და მატერიალური დახმარებების მიღება სტუდენტს მხოლოდ აკრედიტებულ პროგრამაში ჩარიცხვის შემთხვევაში შეუძლია.

პროგრამული აკრედიტაციისათვის დამახასიათებელია *დამოუკიდებლობა* და *ინიციატივის* თავისუფლება. ფაკულტეტის პროგრამის აკრედიტაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს "საკუთარი" უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტები როდის აპირებენ ან, საერთოდ, აპირებენ თუ არა პროგრამული აკრედიტაციის გავლას. ფაკულტეტის ხელმძღვანელობას, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, დამოუკიდებლად შეუძლია გადაწყვიტოს ეს საკითხი - ე.ი. მოამზადოს სათანადო დოკუმენტაცია და წარადგინოს განაცხადი პროგრამული აკრედიტაციის შესაბამისი სტრუქტურის ოფისში. სათანადო დონის მქონე ფაკულტეტები ყოველთვის ცდილობენ, გაიარონ პროგრამული აკრედიტაცია, თავიანთ პროგრამებს მოუპოვონ სათანადო სტატუსი, რათა მშობლები, აბიტურიენტები, დამქირავებელი ორგანიზაციები დარწმუნებული იყვნენ მათ მაღალ ხარისხში. მეორე მხრივ, ისიც ფაქტია, რომ პროგრამული კრედიტის არმქონე ფაკულტეტზე სწავლისას სტუდენტებს ექმნებათ პრობლემები ერთი ინსტიტუტიდან მეორეში გადასვლისას.

მე ხშირად მომმართავენ კითხვით, თუ რა ძირითად კრიტერიუმებს დაეყრდნობა პროგრამული აკრედიტაცია. დაინტერესებულ საზოგადოებას მსურს ვუპასუხო, რომ ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი, ჯერჯერობით, არ არსებობს; ჯერ არ შექმნილა ოფიციალური მარეგლამენტირებელი დოკუმენტი. თუმცა, ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პროგრამული აკრედიტაციის სტრუქტურებს მოუწევთ იმ მრავალრიცხოვანი უხეში მეცნიერული შეცდომების "გამოსწორება", რაც დაშვებული იყო ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესში. კარგად მესმის საზოგადოების უკმაყოფილება და ინტერესი ინსტიტუციური აკრედიტაციის შედეგების საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა. ვფიქრობ, დისკუსიები ამ თემასთან დაკავშირებით სამეცნიერო საზოგადოების მონაწილეობით უნდა წარიმართოს.

პროგრამული თუ, საერთოდ, აკრედიტაციის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს შევახსენებ, რომ უფრო ფართოდ ამ საკითხებზე მსჯელობა არის ახლახან გამოცემულ წიგნში "უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ხარისხის მართვა-აკრედიტაცია" (ავტორები, ბელა გომელაური, მამუკა თავხელიძე, 350გვ.). აქ კი, წერილის ფორმატის ფარგლებში, შევეცდები, შევეხო მთავარ კრიტერიუმებს, რასაც, ჩემი აზრით, გვერდს ვერ აუვლის პროგრამული აკრედიტაცია.

პროგრამული აკრედიტაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ფაკულტეტის მთლიანი ფართის შეფარდება სტუდენტთა რაოდენობასთან. ტრადიციულად, ჩვენს უნივერსიტეტებში ეს საკითხი არ იყო აქტუალური. არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე სასწავლო ფართს რამდენიმე ფაკულტეტი იყენებს. უნივერსიტეტებში გასატარებელ მრავალ ცვლილებათა შორის, ვფიქრობ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, სტუდენტთა კონტინგენტის შესაბამისად, ფაკულტეტებისთვის დამოუკიდებელი ფართობის გამოყოფა, კათედრებისა და ფაკულტეტების გამსხვილება გაერთიანება იქნება. ამ მოვლენის დადებითი მხარე ისიცაა, რომ გაიზრდება ფაკულტეტის პასუხისმგებლობა საკუთარი სასწავლო გარემოს ორგანიზებისა და მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების მუშაობის ხარისხის მიმართ; შემცირდება ჩამონგრეული კედლებისა და მტვრიანი აუდიტორიების რაოდენობა. რა თქმა უნდა, დიდი ყურადღება მიექცევა ფაკულტეტის შენობის საკუთრების ფორმას და გამოსწორდება ინსტიტუციური აკრედიტაციის დროს შემუშავებული სრულიად არასწორი ფორმულა, რომლის მიხედვით, საკუთარი შენობის მქონე და სკოლაში განთავსებულ უმაღლეს სკოლებს შორის სხვაობა მხოლოდ 1 ქულაში გამოიხატა.

პროგრამული აკრედიტაციისას აუცილებლად გაითვალისწინებენ ხარისხის ისეთ პარამეტრს, როგორიცაა კვლიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა შეფარდება სტუდენტთა კონტინგენტთან. ვინაიდან დღეისათვის "მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებულია დოქტორის აკადემიურ ხარისხთან" (საქ. უმ. გან. კანონი მუხლი 89, 9), ფაკულტეტზე დასაქმებული ყველა კანდიდატი ითვლება დოქტორად და ამ უკანასკნელთან გათანაბრებული იურიდიული უფლებებით სარგებლობს, პროგრამული აკრედიტაციის პროცედურაში ორივე კატეგორია "კვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა სტატუსით" იქნება განხილული.

პროგრამული აკრედიტაციის პროცედურაში ერთ-ერთი უპირველესი მნიშვნელობა მეცნიერების უახლეს მონაცემებზე აგებულ პროფესიულ სახელმძღვანელო ლიტერატურას ენიჭება. ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცედურაში, სამწუხაროდ, მხედველობაში მიიღებოდა ასეთი პარამეტრი – ბიბლიოთეკის ფონდში დაცული წიგნების რაოდენობის შეფარდება სტუდენტთა რაოდენობასთან. პროგრამული აკრედიტაცია ამ პარამეტრის განსხვავებულ მოდიფიკაციას გამოიყენებს; მას, როგორც უკვე ითქვა, უფრო მეტად უახლესი მეცნიერული მონაპოვრების გათვალისწინებით აგებული სახელმძღვანელოების რაოდენობა აინტერესებს. ამასთან, სახელმძღვანელოს გამოცემის თარიღს კი არ მიექცევა ყურადღება, არამედ მასში მოცემული მასალის სიახლესა და მეცნიერულ დონეს. მაგალითად, პედაგოგიკაში დღეს გამოდის სახელმძღვანელოები, რომლებშიც სიტყვები სოციალისტური, კომუნისტური, მარქსი, ენგელსი ამოღებულია, კონცეფცია კი იგივე რჩება. ასეთი წიგნები, ცხადია, არ ჩაითვლება სახელმძღვანელოების რიცხვში. ვინაიდან სტუდენტების თანამედროვე სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საკითხი მრავალი უმაღლესი სასწავლებლისთვის პრობლემურია, პროგრამული აკრედიტაცია ქულათა გარკვეულ რაოდენობას მიანიჭებს უახლეს მეცნიერულ მონაცემებზე აგებულ ე.წ. "ჰენდაუტების" (იხ. ოქსფორდის ლექსიკონი) მფლობელ ფაკულტეტებს.

პროგრამული აკრედიტაცია უთოოდ დაინტერესება, ფაკულტეტზე სწავლა-სწავლების პროცესი რამდენად არის ინტეგრირებული მეცნიერულ კვლევასთან; როგორია მეცნიერული კვლევის ხარისხი; რამდენად სწორად რეგულირდება სტუდენტთა დამოუკიდებელი სწავლა; რამდენად იყენებს ფაკულტეტი უახლეს პედაგოგიკურ ტექნოლოგიებს, ევროპულთან მიახლოებულ საკვალიფიკაციო მოდელს; რა რაოდენობისა და ხარისხის პარტნიორული კავშირები აკავშირებს ფაკულტეტს ქვეყნის შიგნით მის გარეთ არსებულ შესაბამის ფაკულტეტებთან; როგორია ამ უკანასკნელებთან განხორციელებული ერთობლივი პროექტების რაოდენობა და ა.შ.

ჩემი აზრით, ცალკე კვლევის საგანი იქნება, აგრეთვე, ფაკულტეტზე მოქმედი ისეთი სტრუქტურების მუშაობის პროდუქტიულობის ხარისხი, როგორიცაა ხარისხის თვითშეფასებისა და მართვის სტრუქტურები, პროგრამის გუნდი, მოდულის გუნდი, პროფესორ-მასწავლებელთა შეფასებისა და პროფესიული განვითარების ცენტრები და ა.შ.

დასასრულ, მსურს, იმედი გამოვთქვა, რომ პროგრამული აკრედიტაცია გამოიყენებს შემოწმება-შეფასების ცივილიზებულ მეთოდებს და არ დაემსგავსება საბჭოური კონტროლის ფორმას, როგორც, სამწუხაროდ, მოხდა ინსტიტუციური აკრედიტაციის შემთხვევაში.

# იუსტიციის მინისტრი პენიტენციური სისტემის რეფორმით კმაყოფილია

ინგა ალავიძე

*პენიტენციურ სისტემაში რეფორმის პირველი ეტაპი დაწყებულია. "ახალი ციხეების აშენება და პატიმართა გადანაწილება სწორედ იმის გარანტია, რომ საპატიმროებში მოიშლება პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ პატიმართა ფენები," – აცხადებს იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი, რომელიც ორ დღეში პირველ ახალ ციხეს – ქალთა ციხეს გახსნის.*



*იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი.*

**- ბატონო გიორგი, პენიტენციური სისტემის რეფორმა ახალი ციხეების მშენებლობებით დაიწყო, როდის დასრულდება ეს პროცესი?**

- უფრო ზუსტად, ეს ციხის მშენებლობების დასაწყისია, რადგან მთელი სისტემა მოძველებულია, ინფრასტრუქტურა განუვითარებელია, ფაქტობრივად, სისტემა თავიდანაა შესაქმნელი. ორთაჭალის ციხე თითქმის საუკუნის წინაა აშენებული და საწყობის ფუნქციას ასრულებდა, თავის დროზე, საწყობის დანიშნულებით აშენდა ქუთაისის ციხეც. ანუ, საქართველოში ციხე, თავის კლასიკური გაგებით, არ არსებობს. მართალია, საბჭოთა კავშირის დროს კოლონიების სისტემა აშენდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ესეც მოიშალა. სწორედ, ამიტომაც, ძალზე მნიშვნელოვანი პროცესია, აშენდეს ახალი, ევროსტანდარტების დონის შესაფერისი საპყრობილეები. ჩვენი პირველი ამოცანაა, პატიმარს ნორმალურ პირობებში მოუხდეს ცხოვრება და თავი ადამიანად იგრძნოს, მეორე ამოცანა კი, საპატიმრო ადგილებში უსაფრთხოების მყარი პირობების შექმნაა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით შევადგინეთ ინფასტრუქტურის განვითარების გრძელვადიანი გეგმა. ეტაპობრივად საბოლოოდ გადაწყდება, რომელი ციხე უნდა დარჩეს, რომელი გაუქმდეს და რომელი გაიხსნას.

**- ალბათ, დამეთანხმებით, ნომერ პირველი პრობლემა ორთაჭალის ციხეა, რომელიც დანგრევის პირასაა და თანაც, პატიმრებით გადატვირთული.**

-. ორთაჭალის ციხე ყოველთვის გადატვირთული იყო, მაგრამ ბოლო პერიოდში კიდევ უფრო დაიტვირთა, ამჟამად ციხეში ნორმაზე 1000 პატიმრით მეტია, რაც იმას ნიშნავს, რომ საკნები ისეა სავსე, პატიმრები მორიგეობით იძინებენ. აქედან გამომდინარე, საოცარ ძალისხმევას მოითხოვს ციხის მართვა, რასაც ადმინისტრაცია სასწაულებრივად ახერხებს. სწორედ ამიტომაც, სამწუხაროდ, ციხის ადმინისტრაცია იძულებულია გარკვეულ დათმობებზე წავიდეს "შავი სამყაროს" წარმომადგენლებთან, რომლებიც სიტუაციას აკონტროლებენ და რომელთა ინტერესშიც არ შედის სიტუაციის არევა. ამიტომაც, ყველაზე დიდი პრობლემა ეს საპყრობილეა და მის განსატვირთად უკვე რამდენიმე ღონისძიება გავატარეთ. გაერთიანდა №1 საპყრობილე, ე.წ. "კრიტი" და №5 საპყრობილე, 250 პატიმარი გადანაწილდა ე.წ. კრიტში, სადაც მხოლოდ მისჯილები იმყოფებოდნენ.

**- საუბარია, იმაზეც, რომ უახლოეს დღეებში საპყრობილეს პატიმარი ქალები დატოვებენ.**

- რამდენიმე დღეში გაიხსნება ახალი, ქალთა ციხე და ორთაჭალის ციხეს დატოვებენ პატიმარი ქალები, რომლებიც ევროსტანდარტების დონეზე მოწყობილ საპყრობილეში გადავლენ. საქმე ისაა, რომ ქალთა კოლონიის ტერიტორიაზე არსებობდა მიტოვებული მშენებლობა, რომელიც გადაიხურა, შიდა სამუშაოები ჩაუტარდა და დაზოგილი თანხებით გაკეთდა ახალი, ქალთა ციხე, რომელიც 120 ქალზეა გათვლილი, ბრალდებულებსა და განსასჯელებზე. თავისუფლად შემიძლია თქმა, რომ ახალ ციხეში საუკეთესო, თანამედროვე პირობებია.

გარდა ამისა, მალე ორთაჭალის ციხეს არასრულწლოვნებიც დატოვებენ. ქალთა კოლონიის ტერიტორიაზევე დავიწყეთ არასრულწლოვანთა ციხის მშენებლობა. არასრულწლოვანთა ციხეც უახლოეს მომავალში გაიხსნება და ისიც ასევე, ძალზე მაღალი დონის იქნება. გარდა იმისა, რომ არასრულწლოვნები საუკეთესო პირობებში იქნებიან, უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ მათი კრიმინალური სამყაროსგან იზოლირება მოხდება. თუმცა, ქალთა და არასრულწლოვანთა ციხეების აშენება პრობლემებს საბოლოოდ ვერ გადაწყვეტს. ამიტომაც, იხსნება ევროსტანდარტების დონის ორი დიდი ციხე - მაისში ქუთაისში, ხოლო აგვისტოში რუსთავში.

**- არსებული ინფორმაციით, რუსთავის ციხე ე.წ. შავი სამყაროს ავტორიტეტების სამფლობელო იქნება, ანუ, მოხდება განსაკუთრებული ტიპის კრიმინალების სხვა პატიმრებისგან იზოლაცია.**

- პენიტენციური სისტემა ეტაპობრივად საკნის სისტემაზე უნდა გადავიდეს, საბჭოური კოლონიური სისტემა უნდა მოიშალოს. პირველ ეტაპზე საკნის სისტემაზე განსაკუთრებული კატეგორიის პატიმრების გადაყვანა მოხდება. რუსთავის ციხე, რომლის რეაბილიტაციაც უცხოელ დონორთა დახმარებით მიმდინარეობს, 1000 პატიმარზეა გათვლილი და იქ გადავლენ ე.წ. ავტორიტეტები, მაყურებლები, კრიმინალური სამყაროს სხვა წარმომადგენლები. ანუ, მოხდება მათი იმ პატიმრებისგან დაშორება, რომლებიც ქურდულ სამყაროს არ განეკუთვნებიან. ქუთაისის ციხე, რომელიც სახელმწიფო სახსრებით შენდება, 1500 პატიმარზეა გათვლილი - ერთ კორპუსში მძიმე კატეგორიის 500 პატიმარი გადავა, ხოლო მეორე კორპუსში, რომელიც ასევე, 500 კაცზეა გათვლილი - ჩვეულებრივი პატიმრები, და ისინი იზოლირებული იქნებიან. ასევე, 500-კაციანია ქუთაისის ციხის ის საკნები, სადაც მსჯავრდებულები დაბინავდებიან.

**- ორთაჭალის ციხის განტვირთვის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებაც იქნა მიღებული, საუბარია პატიმრებზე, რომელთა საქმეც საკასაციო წესით განიხილება.**

- 300 საკასაციო პატიმარს ავჭალის ყოფილი ბავშვთა კოლონიის ტერიტორიაზე გადავიყვანთ, იქ ეზოცაა, სათამაშო მოედნებიც და გაცილებით უკეთესი პირობებია, ვიდრე ციხეში. მათი გადაყვანა ციხეს ასევე, საგრძნობლად განტვირთავს. გარდა ამისა, საუბარია ორთაჭალის ციხის ან გაყიდვაზე და თბილისის მახლობლად ახალი კომპლექსის მშენებლობაზე, ან მის სერიოზულ რეაბილიტაციაზე, რადგან ციხე, ფაქტობრივად, ინგრევა და შენობის არსებულ პირობებში დიდხანს გაჩერება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

**- გარდა ციხეების მშენებლობებისა, სხვას სახის რეფორმა თუ მიმდინარეობს? როგორი იქნება მომდევნო ეტაპები?**

- ბარემ აქვე გეტყვით, რომ ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმის ფარგლებში მოხდება ქალთა კოლონიის ტერიტორიაზე კიდევ ერთი კომპლექსის გაკეთება, სადაც ბავშვთა კოლონია გადმოვა. ბავშვთა ამჟამინდელ კოლონიაში ან ხონის საპატიმრო გადმოვა, ან შეიძლება გაიყიდოს და შემოსული თანხა ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდეს.

ახალი ციხეების მშენებლობა ძალზე სერიოზული პროექტია, ევროსტანდარტების დონის საპატიმროები, რომლის საშუალებითაც მოხდება სისტემის დალაგება, ფაქტობრივად, საფუძველია. მართალია, მშენებლობების გეგმა გრძელვადიანია, თუმცა, პარალელურად სხვა ტიპის რეფორმებიც მიმდინარეობს, და წარმატებითაც.

**- თუმცა, პენიტენციურ სისტემაში, ჯერჯერობით, არ შემცირებულა კორუფციის მასშტაბები, განსაკუთრებით, ორთაჭალის ციხეში. ფაქტია ისიც, რომ "შავი სამყარო" სიტუაციას კვლავ აკონტროლებს.**

- კორუფცია ყოველთვის არსებობდა, ეს სენი ახალი არ არის და მას რამდენიმე სერიოზული მიზეზი უდევს საფუძვლად. პირველ რიგში, ეს მწირმა დაფინანსებამ გამოიწვია, რამაც ადმინისტრაციის კონტროლი მოშალა და ეს სისტემა კრიმინალურ ავტორიტეტებზე, მაყურებლებზე დამოკიდებული გახდა. პირველი, რაც ჩვენ გავაკეთეთ, ის იყო, რომ გავაუქმეთ ქურდული საკანი, ადრე ასეთ რამეს ქურდებს ვერავინ გაუბედავდა. და, რაც მთავარია, დაინგრა კორუფციული პირამიდა. სისტემაში ახალგაზრდა რეფორმატორული კადრები მოვიყვანეთ, ადამიანები, რომლებიც ამ სისტემაში გათქვეფილები არ ყოფილან. გარდა ამისა, ძალზე აქტიურად მუშაობს გენერალური ინსპექცია, რომელსაც სერიოზული შედეგები აქვს. 40-მდე საქმე გადაიგზავნა გენერალურ პროკურატურაში და 166 პასუხისმგებელი თანამშრომელი გათავისუფლდა თანამდებობიდან. დახურული სისტემა გამჭვირვალე გავხადეთ და არასამთავრობო ორგანიზაციათა კონტროლი კიდევ უფრო სისტემატურ ხასიათს მიიღებს.

მართალია, ახლა პატიმრები არათანაბარ პირობებში არიან, მაგრამ ახალი ციხეების აშენება და პატიმართა გადანაწილება სწორედ იმის გარანტია, რომ საპატიმროებში მოიშლება პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ პატიმართა ფენები.

**- რეფორმა მიმდინარეობს, საერთოდ, იუსტიციის სამინისტროში, რომელიც საკმაოდ გამსხვილდა, სამინისტროს განმგებლობაში სერიოზული სფეროები გადმოვიდა.**

- საპასპორტოებისა და მმაჩის ბიუროების იუსტიციის სამინისტროსთვის გადმოცემით სერიოზული საქმე გაკეთდა. შეიქმნა ერთი სამსახური, სადაც თავმოყრილია მოქალაქის შესახებ ყველა მონაცემი. საგრძნობლად გამარტივდა პირადობის მოწმობებისა და პასპორტების გაცემის პროცედურა, შესაბამისად, თითქმის ნულამდეა დასული კორუფცია, რომელიც საპასპორტოებში იყო გამეფებული.

სამოქალაქო რეესტრის რეფორმა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. იქმნება თანამედროვე ტიპის სამსახური, რომელსაც ძალიან სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს და რომელიც საბოლოოდ გადაჭრის მოქალაქეთა რეგისტრაციის პრობლემას, ანუ, დადგინდება ამომრჩეველთა ზუსტი, რეალური რაოდენობა და ეს პროცესი გამჭვირვალე იქნება. შეიქმნება ბაზა და ამომრჩეველთა სიების დადგენა, ბოლოს და ბოლოს, ქვეყანაში პრობლემა აღარ იქნება. სამოქალაქო რეესტრის რეფორმა ყველაზე ამბიციური რეფორმაა და ის მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდება.

გარდა ამისა, ამუშავებას იწყებს საზოგადოებრივი ადვოკატის ინსტიტუტი. ჯერჯერობით, საცდელი ვარიანტი ამუშავდება ზესტაფონსა და თბილისში, მოგვიანებით, მთელი საქართველოს მასშტაბით.




# სახალხო დამცველის რწმუნებულები პოლიციის განყოფილებებზე მონიტორინგს აგრძელებენ

ამ დღეებში სახალხო დამცველის რწმუნებულებმა დუშეთის, მცხეთის, თელავის და გურჯაანის რაიონების პოლიციის განყოფილებების მონიტორინგი ჩაატარეს. დაკავებული მხოლოდ თელავის პოლიციაში აღმოჩნდა, რომელსაც ძალადობის ნიშნები არ აღენიშნებოდა და პოლიციის მიმართ საჩივრები არ ჰქონდა.

რწმუნებულთა მიერ ადგილზე მისვლისას ბრალდებული იმყოფებოდა ადმინისტრაციული დაკავების საკანში, რაც კანონდარღვევად ითვლება, თუმცა სახალხო დამცველის რწმუნებულები მიიჩნევენ, რომ ამ შემთხვევაში, ადმინისტრაციის მოქმედება გამართლებულია, რადგან ადმინისტრაციული დაკავების საკანში შედარებით უკეთესი პირობებია, ვიდრე სისხლის სამართალწარმოების საკნებში, სადაც გაუსაძლისი სიცივე და სინესტეა, საკანი კი, ძირითადად, ჩაბნელებულია.

მონიტორინგის ჯგუფის წევრები აღნიშნავენ, რომ მათ მიერ შემოწმებულ, პოლიციის განყოფილებების საკნებში ყველგან ანალოგიური მდგომარეობაა: საკნებში ჩადის წყალი, დაბინძურებულია, არის კანალიზაციის სუნი, არ შედის მზის სინათლე და არ მიეწოდება ელექტროენერგია. ამ მხრივ, ყველაზე სავალალო მდგომარეობაა მცხეთის რაიონის პოლიციის განყოფილებაში.

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა აღნიშნეს, რომ ყველა შემოწმებულ დაწესებულებაში საქმის წარმოების განსხვავებული პრაქტიკა არსებობს. კერძოდ, ზოგ დაწესებულებაში არსებობს წინასწარ დაკავებულთა აღრიცხვის ორი ჟურნალი; მაგალითად, გურჯაანში ერთი ჟურნალი განკუთვნილია, ზოგადად, დაკავებულებისათვის, და მეორე - მათთვის, ვისაც წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. ეს ჟურნალი პოლიციის თანამშრომლებს მიაქვთ საპყრობილეში, სადაც პატიმრის მიღების დამადასტურებელი ბეჭდით აღნიშნავენ. პირველ ჟურნალში კი, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების ყველა სხვა შემთხვევა აღინიშნება.

თელავის განყოფილებებში წინასწარი დაკავების აღრიცხვის ჟურნალის წარმოების განსხვავებული პრაქტიკა არსებობს: არის ერთი ჟურნალი, სადაც აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შედეგები მოსამართლის ბრძანება/დადგენილების მიხედვით აღინიშნება.

ამ მხრივ, ასევე განსხვავებულია მცხეთისა და დუშეთის განყოფილებათა პრაქტიკა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ დუშეთის განყოფილება იარაღის მიმაგრების ჟურნალს არ აწარმოებს. ამასთანავე, ყველა დაწესებულებაში თანამშრომლებს არ აქვთ შესაბამისი ცოდნა იმ აქტების შესახებ, რომლებიც იარაღის მიმაგრების საკითხს აწესრიგებენ.

სახალხო დამცველის რწმუნებულთა მონიტორინგის ჯგუფის წევრების აზრით, მსგავსი დარღვევების მიზეზი ის არის, რომ პოლიციის თანამშრომლებს კანონის უზენაესობის ხელშეწყობისათვის აუცილებელი განათლება არ აქვთ და მათი საქმიანობის მომწესრიგებელ აქტებს არ იცნობენ.

*24 საათი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

სახელი, გვარი..........................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..........................................

საკონტაქტო ტელეფონი..........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი", „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხზე. დარგის სპეციალისტებს და დაინტერესებულ ექსპერტებს, ეკონომისტებს და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

USAID

ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.

# რუსეთის ენერგოსექტორის რესტრუქტურიზაცია - ექსპერტთა თვალით

*მაშინ, როდესაც საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორზე "გარეშე ძალების გავლენის" შესახებ ვსაუბრობთ, როგორც წესი, რუსეთის ან დასავლეთის გავლენას ვგულისხმობთ და სექტორში მიმდინარე პროცესებს, ერთგვარად, ამ ორი ინტერესის გათვალისწინებით ვაანალიზებთ.*
*თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ეტაპზე რუსეთის ელექტროენერგეტიკული სექტორი თავად რეფორმირების პროცესშია. საქართველოს მსგავსად, ენერგოსექტორის რეფორმირების პროცესი დიდ ვნებათაღელვებს იწვევს აქაც. ოღონდ, საქართველოსგან განსხვავებით, რუსეთის ენერგეტიკული კომპლექსი, საქართველოსთან შედარებით, განუზომლად დიდია და, ამდენად, გაცილებით უფრო სოლიდური ინტერესების სფეროშია მოქცეული, ვიდრე ჩვენი გენერაციისა თუ ელექტროგადაცემა-განაწილების ობიექტები.*
*ამის გამო, რუსეთის ენერგოსექტორში რესტრუქტურიზაცია ქვეყნის ეკონომიკისათვის, თავისი მნიშვნელობის და ფინანსური ტევადობის გამო, გაცილებით უფრო მძლავრი კაპიტალის შემოტევებს განიცდის. "რაო ეეს როსიი"-ში წარმოდგენილი ფინანსური ინტერესების სპექტრი კი მეტად ჭრელია. აქ დაბანდებულია როგორც რუსეთის შიდა კაპიტალი, ისე სხვადასხვა ქვეყნების მაღალჩინოსანთა ოფშორული თანხები. აქ "თეთრი" და "შავი" ფინანსური ნაკადები ერთმანეთთანაა გადახლართული, რის გამოც "რაოს" ფინანსური ანგარიშებისა და დოკუმენტაციების კვლევა მსოფლიოს საუკეთესო აუდიტორებსაც უძნელდებათ. სამაგიეროდ, კომპანიას მინორიტარი (აქციათა მცირე რაოდენობის მფლობელი) აქციონერები ჰყავს, რომლებსაც "რაო ეეს როსიის" ანგარიშებში ქექვა ხშირად უწევთ, რადგან კომპანიის მენეჯერების შეცდომები, შესაძლოა, ძალიან ძვირად დაუჯდეთ.*
*მიუხედავად ამისა, "რაო ეეს როსიის" თავკაცი ანატოლი ჩუბაისი, რომელიც დღემდე რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების მთავარ მოლარედ ითვლებოდა, ახლა კი საკმაოდ ამბიციური პოლიტიკური მიზნები გააჩნია, ამ ინტერესთა ბალანსირების გზით რუსეთის ენერგოგიგანტის რესტრუქტურიზებას დასავლეთის მიერ შემოთავაზებული სქემებით ცდილობს.*
*ბუნებრივია, რომ ამ სქემებს რუსი ექსპერტები კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ. ხშირ შემთხვევაში, რესტრუქტურიზაციის პროცესს თავად რუსეთის მთავრობა ბლოკავს. ზოგჯერ ამის მიზეზი "რაოს" ანგარიშებში "ჩაკარგული" ფარული ინტერესები ხდება, ზოგჯერ კი – სოციალური პრობლემა, რადგან ბუნებრივად ფორმირებულ ენერგობაზარზე ტარიფი, როგორც წესი, თავისუფალია, რუსეთის მოსახლეობა კი – ღარიბი და, სოციალური პრობლემებისადმი ერთობ სენსიტიური.*
*ასეა თუ ისე, "რაო ეეს როსიი" – რუსეთის ენერგოგიგანტი – დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მძლავრი კომპანიაა, რომლის მომავალზეც არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცის, არამედ ევროპისა და აზიის ქვეყნების ენერგეტიკული მომავალია გადაჯაჭვული. ამიტომაც, დაპირებისამებრ, დღეს გადავწყვიტეთ, შემოგთავაზოთ ჟურნალ "ექსპერტის" მიმომხილველთა მოსაზრებები რუსეთის ენერგოსექტორის რესტრუქტურიზაციის თაობაზე, საიდანაც ქართულ სინამდვილესთან მრავალი ანალოგიის პოვნა შეიძლება.*

რუსეთის ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე დავა ენერგეტიკის ირგვლივ უკვე კარგა ხანია, მიმდინარეობს. დარგის რეფორმირების საწყისად, შესაძლოა, 2003 წლის 26 მარტი ჩაითვალოს, როდესაც რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონებს "ელექტროენერგეტიკის" და "გარდამავალ პერიოდში ელექტროენერგეტიკის ფუნქციონირების თავისებურებების შესახებ," აგრეთვე, ცვლილებების შეტანას სამოქალაქო კოდექსსა და ფედერალურ კანონებში: "ენერგოდაზოგვისა" და "ბუნებრივი მონოპოლიების შესახებ."

სწორედ ამ კანონებმა მისცეს ძირითადი მიმართულება მოსალოდნელ რეფორმებს და მათი რეალიზაციის მექანიზმებს. მათი მიღებით ენერგეტიკოსებმა დაამუშავეს "რაო ეეს როსიი"-ს სტრატეგიის კონცეფცია 2003-2008 წლებისთვის, რომელიც 2003 წლის 29 მაისს "რაო"-ს დირექტორთა საბჭომ ოფიციალურად დაადასტურა. ამ ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, დარგის რეფორმირების ძირითადი მიზნებია ელექტროენერგეტიკის საწარმოს ეფექტურობის ამაღლება და კერძო ინვესტიციების მოსაზიდად ხელსაყრელი პირობების შექმნა.

სტრატეგია ვარაუდობდა, რომ "რაო ეეს როსიი"-ს რეფორმირებას, დაახლოებით, 3 წელი დასჭირდებოდა და 2006 წლისათვის მისი სტრუქტურებიდან გამოცალკევდებოდა ამ დარგის ყველა ძირითადი სუბიექტი – გენერაციისა და საქსელო კომპანიები, აგრეთვე, სისტემური ოპერატორი. პროექტით გათვალისწინებული იყო კიდევ 2 წელი ახალი კომპანიების ფორმირების პროცედურისთვის და, საბოლოოდ, 2008 წელს რესტრუქტურიზაცია ელექტროენერგეტიკის საცალო და საბითუმო ბაზრის სრული ლიბერალიზებით უნდა დასრულებულიყო.

2003 წლის 1 სექტემბერს რუსეთის მთავრობამ მიიღო რეფორმის გეგმის რეალიზაციისათვის აუცილებელი პირველი დადგენილება - ელექტროენერგეტიკის საბითუმო-მაგენერირებელი კომპანიების ფორმირების შესახებ. სხვათა შორის, ამ დადგენილებაში იმთავითვე იყო განსაზღვრული, რომ ამ კომპანიების რაოდენობა 10 უნდა ყოფილიყო. ექვსი მათგანი, სავარაუდოდ, თბოელექტროსადგურების ბაზაზე უნდა შექმნილიყო, 4 კი – ჰესების ბაზაზე. საბითუმო-მაგენერირებელი კომპანიები იმ ფედერალური ელექტროსადგურებისგან ჩამოყალიბებულიყო, რომლებიც ამჟამად "რაო ეეს როსიის" რეგიონული შვილობილის, სააქციო საზოგადოება "ენერგოს" შემადგენლობაშია. ამისათვის, "ენერგო" ცალკეულ კომპანიებად უნდა დაიყოს, მათი საქმიანობის სფეროების მიხედვით: გენერაცია, გადანაწილება და გადაცემა-დისპეტჩერიზაცია.

ამ გეგმის შესაბამისად, გასული წლის გაზაფხულზე ჩამოყალიბდა პირველი საბითუმო-მაგენერირებელი კომპანია - N5, რომელშიც შედიან "ნევინომისსკის", "რესტინსკის", "კონაკოვსკის" და "სრედნეურალსკის" თეს-ები. ახალშობილი ოგკ-ს აქტივების გადაფასების შემდეგ, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განაცხადა, რომ იგი წარსდგება აუქციონზე ახალი სასტარტო ფასით - 900 მილიონი აშშ დოლარი, მაგრამ ივლისის ბოლოს პრემიერ-მინისტრის მიხეილ ფრადკოვის მოულოდნელმა განცხადებამ გერმან გრეფს იმედები გაუცრუა. ფრადკოვმა გადადო არა მარტო საბითუმო-მაგენერირებელი კომპანიების პრივატიზაციის საკითხი, არამედ, მთელი რეფორმის გატარება წლის ბოლომდე, ანუ "საქმის კარგად გაანალიზებამდე" დააკონსერვა.

"რაო ეეს"-ის ზოგიერთი მაღალჩინოსანი უკმაყოფილებას ვერ მალავს და აცხადებს, რომ რუსეთის მთავრობა მათ ბევრი სხვა მიმართულებითაც ბლოკავს.

## ენერგოობიექტები მაინც კერძო საკუთრებაში იქნება

მიხეილ ფრადკოვის ზედმეტი სიფრთხილე საფუძვლიანი იყო, რადგან სადავო საკითხი საბითუმო-მაგენერირებელი კომპანიების პრივატიზაციის წესთან იყო დაკავშირებული და, ამდენად, ეს მსხვილი რუსული კომპანიების ინტერესებს შეეხო. საქმე ისაა, რომ საბითუმო-მაგენერირებელი კომპანიების პრივატიზაციის საწყისი ვარიანტი ვარაუდობდა სქემას, რომლის მიხედვითაც "რაო ეეს"-ის თითოეული აქციონერი მიიღებდა პროპორციულ პაკეტს ახალ კომპანიებში. ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია "რაო"-ს აქციების გააქტიურებული შესყიდვა საფონდო ბაზარზე, რამაც საგრძნობი ზემოქმედება მოახდინა კომპანიის კაპიტალიზაციაზე. მაგრამ, როდესაც ანგარიშსწორებისა და ენერგოაქტივების კერძო აქციონერებისთვის გადაცემის დრო დადგა, რეფორმატორების ენთუზიაზმმა საგრძნობლად იკლო.

აღმოჩნდა, რომ გადანაწილების პროცესებს წარმართავდნენ არა დასავლეთის სტრატეგიული ინვესტორები, რომლებზეც ასე ოცნებობდა ენერგორეფორმის იდეოლოგი ანატოლი ჩუბაისი, არამედ რუსეთის მძლავრი ფინანსური ჯგუფები: "ემ-დე-ემ"-ი, გაზპრომი, "ბაზოვი ელემენტი", იუკოსი, ლუკოილი, ინტერროსი, სუალ-ჰოლდინგი. თითქოს და რით არიან რუსული მსხვილი კომპანიები დასავლურზე ნაკლები? პასუხი მარტივია - იმით, რომ, როგორც წესი, სწორედ ისინი არიან ელექტროენერგიის მსხვილი მომხმარებლები, ეს კი ნიშნავს, რომ რეფორმის ამ მიმართულებით განხორციელების შემთხვევაში, თავისუფალი კონკურენტუნარიანი ენერგობაზრის ნაცვლად მივიღებთ ისეთ ენერგეტიკას, სადაც მსხვილი კომპანიები თავადვე შეისყიდიან ენერგიას დემპინგურ ფასებში, ხოლო ელექტროდანაკარგების ამოღება მოსახლეობისათვის ტარიფის გაზრდის ხარჯზე მოხდება.

სწორედ ამიტომ, გასული წლის გაზაფხულ-ზაფხულზე რუსეთის ხელისუფლებაში გაჩნდა საბითუმო-მაგენერირებელი კომპანიების პრივატიზაციის ახალი სქემები - აუქციონზე გაყიდვა მხოლოდ ფულზე, ან შერეული სქემა "რაო ეესის" აქციებზე და ფულზე ერთდროულად. ცხადია, რომ საბითუმო-მაგენერირებელი კომპანიების პოტენციური შემსყიდველებისთვის არც ერთი ვარიანტი არ გამოდგა მისაღები. ადვილი წარმოსადგენია, რა ძლიერ ზეწოლას განიცდიდნენ ამ ნიადაგზე სახელმწიფო ჩინოვნიკები. საბოლოოდ, ნაპოვნი იქნა ასიმეტრიული გადაწყვეტილება: გაერთიანდეს ყველა ელექტროსადგური ერთ საბითუმო-მაგენერირებელი კომპანიაში, (ადრე იგეგმებოდა 4 საბითუმო-მაგენერირებელი კომპანიების შექმნა), რომელიც გაკონტროლდება სახელმწიფოს მიერ. ასეთმა სტრუქტურამ, შეიძლება, წამყვანი პოზიცია დაიკავოს ენერგობაზარზე და არ დაუშვას კერძო კომპანიების მიერ ბაზრითა და ტარიფებით მანიპულირება. მას შემდეგ, რაც მთავრობამ და "რაო ეეს"-ის ხელმძღვანელობამ ამ მოდელს მხარი დაუჭირა, საბითუმო-მაგენერირებელი კომპანიების პრივატიზაციის საკითხმა, პრაქტიკულად, სიმძაფრე დაკარგა.

გადაწყდა კიდევ ერთი პოტენციური პრობლემა - საქმე ისაა, რომ მაგენერირებელი კომპანიების მომავალი მეპატრონეები სახალხოდ აცხადებდნენ: საბითუმო-მაგენერირებელი კომპანიების პრივატიზაციის შემდეგ ისინი ერთმანეთში გაცვლიან ზოგიერთ ელექტროსადგურს, რათა მათთვის ყველაზე ხელსაყრელი საბითუმო-მაგენერირებელი კომპანიის კონფიგურაცია შექმნან. სხვა სიტყვებით, საკითხი ეხებოდა ენერგო-მონოპოლიის შექმნას, როგორც რეგიონულ დონეზე, ასევე სათბობის პრინციპით ("გაზპრომი" ხელში იგდებს გაზზე, ნავთობზე და მაზუთზე მომუშავე ელექტროსადგურებს, ალუმინის მწარმოებლები აკონტროლებენ ჰიდროგენერაციას). ამის თავიდან ასაცილებლად, ხელისუფლებამ შეიმუშავა ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უახლოეს წლებში ამ კონფიგურაციის შეუცვლელობას უზრუნველყოფდა.

8 დეკემბერს კი რუსეთის პრემიერმა მიხეილ ფრადკოვმა გამოაცხადა, რომ საბითუმო-მაგენერირებელი კომპანიები იქნება პრივატიზებული მხოლოდ "რაო ეეს"-ის აქციების საფასურად. ამას გარდა, 2006 წლის ბოლოსთვის რუსეთის "რაო ეეს"-ის ლიკვიდაციის გადაწყვეტილების მიღებაც იგეგმება ("რაო ეეს როსიი"-ს რეორგანიზაცია კომპანიის აქციონერებს შორის აქციების პროპორციული განაწილებით მოხდება).

## ჩუბაისი ბაზრის წინააღმდეგ

პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობდა მიხეილ ფრადკოვი, გულისხმობდა ელექტროენერგეტიკის რეფორმის ნახევარი წლით შეეჩერებას მოტივით - ნებისმიერი პრობლემა თავისთავად გადაწყდება, თუ გარკვეული დროით მას არ შეეხები. ამ მიდგომამ გაამართლა: ამასობაში "რაო ეეს"-ის ხელმძღვანელობამ არსებითად შეიცვალა თავისი შეხედულებები ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა ელექტროენერგიის თავისუფალი ბაზრის კონცეფცია.

შეგახსენებთ, რომ: ელექტროენერგიის თავისუფალი ბაზარი რუსეთში 2003 წლის 1 ნოემბერს - 2003 წლის 24 ოქტომბრის (გარდამავალ პერიოდში ელექტროენერგიის სიმძლავრის საბითუმო ბაზრის წესების შესახებ) დადგენილების შესაბამისად ამუშავდა. ამავე დოკუმენტით, ყველა ენერგოკომპანიას უფლება ეძლეოდა, გამომუშავებული ელექტროენერგიის 5-15 პროცენტი თავისუფალ ბაზარზე გაეყიდა. თავისუფალი ბაზრის პირველი შედეგები დამაიმედებელი იყო: 2003 წლის ნოემბერ-დეკემბერში რუსეთში ელექტროენერგიის საბაზრო ფასმა სტაბილურად დაიწია, განსაკუთრებით მკვეთრად დაეცა საბაზრო ფასები მას შემდეგ, რაც 2003 წლის დეკემბერში თავისუფალ ბაზარზე გამოჩნდა "როსენერგოატომი". მაგრამ, 2004 წლის ბოლოსთვის ფასებმა აწევა დაიწყო, რადგან ბაზარზე მყიდველმა იმატა, ელექტროენერგიის რაოდენობა კი შეზღუდული იყო. თუმცა, წლის შედეგებით, ელექტროენერგიის ფასი, სახელმწიფოს მიერ დადგენილ ტარიფთან შედარებით, 16 პროცენტით დაბალი იყო.

როგორც ჩანს, ამ გარემოებამ აიძულა "რაო ეეს"-ის ხელმძღვანელობა განეცხადებინა, რომ თავისუფალმა ბაზარმა მათი იმედები არ გაამართლა.

ყოველ შემთხვევაში, პრეტენზიები ბევრი დაგროვდა. მაგალითად, ითქვა, რომ ბაზარი ვერ ასრულებს მთელ რიგ არსებით ამოცანებს, მყიდველს კი არ ეძლევა არჩევანის საშუალება, სად და რა ფასად შეისყიდოს ელექტროენერგია - თავისუფალ ბაზარზე თუ სახელმწიფო ტარიფით, რაც დიდ ზარალს აყენებს მაგენერირებელ კომპანიებს.

სხვა სიტყვებით, როგორც კი თავისუფალ ბაზარზე ფასი აიწევს, მყიდველი მცირდება.

ასეთ შემთხვევაში, შეუძლებელია განსაზღვრო ელექტროენერგიის რეალური ფასი და მისი პერსპექტივის დინამიკა, რაც აშინებს ინვესტორებს, თუმცა ენერგეტიკის რეფორმა მათ მოსაზიდად განხორციელდა.

თითქოს პრობლემა თავისთავად უნდა მოგვარდეს მას შემდეგ, რაც 2007 წელს შეიცვლება ტარიფების სახელმწიფო რეგულირება. მაშინ მომხმარებელი დაკარგავს რეგულირებულ სექტორში "გაქცევის" შესაძლებლობას და ბაზრის "უხილავი ხელი" მთელი დატვირთვით ამუშავდება. მაგრამ ეს სცენარი რეფორმატორებს, რატომღაც, ხელს არ აძლევთ. შესაძლოა იმიტომ, რომ რუსულ ენერგეტიკაში შემორჩენილია სიმძლავრის ნამატი, ამიტომ ბაზრის ფასის მომატებისაგან მთლიანი გათავისუფლება, შესაძლოა, ელექტროენერგიას არც შეეხოს. ამასთან, ანატოლი ჩუბაისის გუნდი ინვესტიციების მოზიდვის ძირითად პირობად ელექტროენერგიაზე ფასების ზრდას თვლის. ექსპერტთა ვარაუდით, თუ ბაზრის არსებულ მოდელს აქამდე ვერ მივყავართ, მასზე უარი უნდა ითქვას. "თავისუფალი ბაზრის გავრცელება დაკავშირებულია დიდ ფინანსურ ტარიფებთან და ტექნოლოგიურ რის,,კთან" – ასეთია ჩუბაისის პოზიცია. გარდა ამისა, საბითუმო ბაზარს არ გააჩნია უნარი, სტიმული მისცეს ინვესტიციებს ენერგეტიკაში, მაშინ, როცა ეს არის ენერგეტიკის რეფორმის მთავარი ამოცანა.

## როგორი უნდა იყოს სწორად ფორმირებული ენერგობაზარი

ელექტროენერგიის თავისუფალი ბაზრის კონცეფციის შესაცვლელად, რუსეთის "რაო ეეს" გვთავაზობს ენერგობაზრის ახალ მოდელს, რომელიც ორი ტიპის ორმხრივ ხელშეკრულებას ემყარება. პირველი ტიპის ხელშეკრულებას სახელმწიფო არეგულირებს. ამასთან, ენერგიის მწარმოებელი კომპანიის მსხვილი მომხმარებელი, თუ საბითუმო გადამყიდველი, მომარაგდება ელექტროსადგურების და მომწოდებლების გარკვეული ნაკრებისგან. მომწოდებლების ნაკრებში შევლენ სხვადასხვა ტიპის გენერაციის ობიექტები: თბო და ჰიდრო ელექტროსადგურები.

მეორე ტიპის ხელშეკრულებით, მომხმარებელი სახელშეკრულებო ფასის გათვალისწინებით თვითონ ირჩევს მომწოდებელს.

ერთ-ერთი წარმოდგენილი მოდელის თანახმად, ბაზრის საფუძველი იქნება რეგულარული ორმხრივი ხელშეკრულება, რომელშიც დაფიქსირდება მონაწილეების ვალდებულება 3-7 წლის პერიოდში. ამ ხელშეკრულებით, ელექტროენერგიის ფასი მყიდველისთვის განისაზღვრება სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების მიერ მომწოდებლისთვის განსაზღვრული საშუალო ტარიფით. დანარჩენი ორმხრივი ხელშეკრულებები დაიდება თავისუფალი ფასებით, რაც ბაზარმა ერთი დღით ადრე უნდა გაითვალისწინოს, როგორც ეს ხდება დღეს. ამ ეტაპზე მოქმედი მოდელის პრინციპული სხვაობა მდგომარეობს იმაში, რომ მყიდველი ელექტროენერგიას შეიძენს არა რეგულირებად სექტორში, არამედ კონკურენტულ სექტორში - გარანტირებული ტარიფით. ახალ მოდელში მყიდველი უზრუნველყოფილია მოწოდების მოცულობით, დარჩენილ (გაუყიდავ) რაოდენობას კი მონაწილეები ბაზარზე გაასაღებენ. ორმხრივ ხელშეკრულებაში შესაძლებელია წილის შემცირება, რაც ამ სექტორიდან თავისუფალ ბაზარზე გასვლის საშუალებას ხელშეკრულების სისტემაში უკან დაბრუნების უფლების გარეშე იძლევა.

ნათელია, რომ ბაზრის ახალ სქემაში პრინციპულ მნიშვნელობას შეიძენს 3 მომენტი: უპირველესი არის ფასები ელექტროენერგიაზე, რომელსაც დააწესებს სახელმწიფო გრძელვადიან რეგულარულ ხელშეკრულებებში. ყველა შემთხვევაში იგეგმება ელექტროენერგიის ფასის დადგენა დღევანდელი ტარიფით, ყოველწლიური მოსალოდნელი ინფლაციის გათვალისწინებით. ფასების დადგენის განსაკუთრებული პირობები მოსალოდნელია ორი კატეგორიის მომხმარებლისთვის: პირველს მიეკუთვნება ენერგოტევადი საწარმოები, რომელთათვისაც ელექტროენერგიის ღირებულება წარმოადგენს საკუთარი საწარმოს ეფექტურობის შენარჩუნების კრიტიკულ ფაქტორს. მათთვის ხელშეკრულების პირობები ხანგრძლივი (7-10წლის) ვადით განისაზღვრება, რათა მიეცეთ რესურსების კონსოლიდაციის და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საშუალება. მეორე განსაკუთრებულ კატეგორიაში კი შედის საყოფაცხოვრებო ენერგოორგანიზაციები, რომლებიც ენერგიას აწვდიან მოსახლეობას. მათთვის ხელშეკრულებაში ელექტროენერგიის ფასი სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისთვის დაწესებული ტარიფით განისაზღვრება.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია, თუ რა ვადით დაიდება რეგულარული ხელშეკრულებები. თუმცა, აქვე შეიძლება ითქვას, რომ მთავარ ვნებათაღელვას გამოიწვევს მომწოდებლის მიმაგრება მომხმარებელზე. ერთია, თუ "რუსულ ალუმინს" მიამაგრებენ "საიანოშუშენსკოეს" ჰესს და სამიოდე ახლომდებარე ელექტროსადგურს, ხოლო სულ სხვაა, თუ მომწოდებლების რიცხვში მოხვდებიან კავკასიის ჰესები. ამ შემთხვევაში ენერგიის ფასი ქსელური ტარიფის ხარჯზე უფრო მაღალი აღმოჩნდება და საორგანიზაციო დანახარჯიც მეტი იქნება.

ასე რომ, ელექტროენერგიის მომწოდებლების განაწილების საკითხი 2005 წლის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად შეიძლება ჩაითვალოს. ექსპერტთა აზრით, წარმოსადგენადაც კი საშიშია, რამდენი ქრთამის აღება შეუძლიათ ფედერალური-სატარიფო სამსახურის ჩინოვნიკებს (სწორედ ეს უწყება გაანაწილებს ელექტროსადგურებს). შეუძლებელია იმის პროგნოზირებაც, თუ ენერგეტიკის როგორ კონფიგურაციას მივიღებთ საბოლოოდ ასეთი განაწილებით.

ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოში მიმდინარე ენერგეტიკული რეფორმების პროცესში ანალოგიური პრობლემები დღის წესრიგშიც დგება, ოღონდ - შედარებით ნაკლები სიმწვავით. ქართულ სინამდვილეში თბოელექტროსადგურებს შორის გასანაწილებელი მხოლოდ თბილსრესის ჯერ კიდევ გაუყიდავი ბლოკები შეიძლება იქცეს. რაც შეეხება ჰეს-ებს, მათ ხელში ჩასაგდებად მოძრაობა უკვე კარგა ხანია, ჯერ კიდევ ენერგორეფორმებზე საუბრის დაწყების დღიდან მიმდინარეობს.

# დაემატება თუ არა კიდევ ერთი რგოლი ენერგომომსახურების ჯაჭვს

საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში ცვლილებებია მოსალოდნელი. ყოველ შემთხვევაში, როგორც "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრისთვის" გახდა ცნობილი, დარგში აქტიურად განიხილება ენერგოვერტიკალში კიდევ ერთი დამატებითი რგოლის – "მომხმარებლის" შემოტანის საკითხი.

თუ ელექტროენერგეტიკაშიც იგივე მოხდა, ფაქტობრივად, გამოვა, რომ ჯაჭვს - "გენერაცია" – "ელექტროგადაცემა" – "დისტრიბუცია" კიდევ ერთი დაემატება, რაც დენის გამომუშავებიდან მომხმარებლამდე გასავლელ გზას კიდევ უფრო დააგრძელებს და, სავარაუდოდ, გააძვირებს კიდეც. თუმცა, დღეს მთავრობა ამ რგოლის "ჩამატების" ისეთ გზას ეძებს, რომელიც ტარიფს გაძვირებისგან, ხოლო საზოგადოებას – მომსახურების სფეროს დამატებითი კომპონენტის "შენახვისგან" დაიცავს.

ბუნებრივია, იდეა, რომელსაც ქართველი ენერგოჩინოვნიკები ამუშავებენ, საზოგადოებას სწორედ ამ "ძიების პროცესში" მიეწოდება, თუმცა ექსპერტთა ნაწილი შიშობს, რომ ეს გზა, უბრალოდ, არ არსებობს, ვინაიდან ეკონომიკა – ზუსტი მეცნიერებაა. ამდენად, ლოგიკა მარტივია: რაც უფრო მეტი იერარქია უნდა გაიაროს კილოვატსაათმა მომხმარებლამდე, მით უფრო ძვირი ეღირება ის დანიშნულების ბოლო წერტილში, ანუ – უბრალო მომხმარებელთან.

სხვათა შორის, ამ თემაზე მცირე კომენტარი გასული კვირის დასაწყისში ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა მოსკოვში თავისი ვიზიტის წინ გააკეთა.

როგორც მისი სიტყვებიდან ჩანდა, ენერგეტიკის სამინისტრო ენერგოვერტიკალში ამ რგოლის ჩამატებას, დაახლოებით, გაზის სექტორში გატარებული ცვლილებების იდენტურად გეგმავს (შეგახსენებთ, რომ გასული წლის მიწურულს სემეკ-მა ბუნებრივი გაზის მოხმარების ახალი წესები დაამტკიცა, რითაც გაზის სექტორში ლიცენზირების წესები შეცვალა და, გაზის გამანაწილებელი და მიმწოდებელი კომპანიები ლიცენზიების სხვადასხვა კატეგორიებით გაიმიჯნა).

მიუხედავად მრავალჯერადი თხოვნისა, "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ინტერესი თავის გეგმებთან დაკავშირებით სამინისტროს არ დაუკმაყოფილებია. ამიტომაც, ენერგეტიკის მინისტრს ცენტრი ამჯერად კითხვებს, რომლებზე პასუხსაც დიდი ხანია ელის, ღიად – გაზეთის საშუალებით აწვდის.

1. გეგმავს თუ არა ენერგეტიკის სამინისტრო ენერგომომსახურების ჯაჭვისთვის კიდევ ერთი რგოლის დამატებას?

2. რა გზებით აპირებს დაარეგულიროს ელექტროენერგიის მიწოდება-განაწილების ვალდებულებები ელექტროენერგიის მწარმოებელ, მიმწოდებელ და გამანაწილებელ კომპანიებს შორის?

3. აპირებს თუ არა სამინისტრო, მხარი დაუჭიროს ერთიანი ელექტროენერგეტიკული ანგარიშის შექმნას?

## ისეთი წიგნი მინდა დავწერო...



B3

## მსოფლიო თასი ქართულად - სროლით დასრულდა



B5

## ტურინის სუდარა ქრისტეს-დროინდელია



B8

ნოდარ ლადარია



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge




ამჯერად ჩემი პირდაპირი მოვალეობის უშუალო შესრულება მიწევს — 25 იანვარს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა შემდეგი განცხადება:

**გაზეთ "24 საათის" 24 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული სტატიის, "აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ პროექტი უარვყოთ და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმი ავამოქმედოთ", ხელმომწერებს შორის დასახელებული იქნა ჩვენი გვარები, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია როგორც წერილის შინაარსი, ისე მისი შესრულების სტილი.**

ამ უაღრესი ოპერატიულობით მოწოდებულ გამოხმაურებას ხელს აწერენ: **გიორგი ხუბუა**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, **რომან შენგელია**, თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, **გურამ ნაჭყებია**, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სამწუხაროდ, ყოველგვარი უარყოფა ხშირ შემთხვევაში ნაკლებად ხვდება თვალში მკითხველს, ვიდრე შეცდომა, რომლის გამოსწორებასაც მიზნად ისახავს. ამიტომ ამ პატივცემული ადამიანებისა და თვით გაზეთის წინაშე ჩემს მოვალეობად მივიჩნიე მათი გამოხმაურების გამეორება, რომ არავინ აღარ მიათვალოს მათი სახელები ხსენებული გრძელსათაურიანი ტექსტის ავტორებს თუ ავტორს. მართლაც გაუგებარია, ავტორი ჰყავს ამ სტატიას თუ ავტორები... მაგრამ შორიდან დავიწყოთ ანუ, მეცნიერულად რომ ვთქვათ, "სასპენზი" გამოვიყენოთ.

27 იანვარს ხუთშაბათის ტელემიმოხილვამ თავისი მეოთხე სერია შემოგვთავაზა. ასე გასწორდა ანგარიში "მამებსა" და "შვილებს" შორის. იმას ვგულისხმობ, რომ ყოველკვირეულ ანკეტაში ძველი თაობის ორმა (გურამ დოჩანაშვილი, რეზო ესაძე) და ახალი თაობის ორმა (აკა მორჩილაძე, ლაშა ბაქრაძე) წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. ანგარიში კი ორით ნოლია ახალგაზრდების სასარგებლოდ — იმდენად უფრო მწვავე, გასაგები და ჭკვიანურია მათი პასუხები ოთხ წარმოდგენილ შეკითხვაზე. თუ პირველი ორი თითქოს დაზეპირებულად იმეორებს მათი ნოსტალგიური ცნობიერების თაროდან ჩამოღებულ არგუმენტებს (ძალადობა ტელეეკრანზე, უარყოფითი ემოციების სიჭარბე და ა. შ.), "შვილების" პასუხებში მათი პიროვნებაც ჩანს: სიტყვაძვირი განდეგილი აკა მორჩილაძე და ალმოდებული რადიკალი ლაშა ბაქრაძე.

თუმცა "შვილების" თაობაში გამონაკლისებიც გვხვდება, რომლებმაც თავიანთი ნორჩი (თუ უკვე არა?) გონება დაობებული სტერეოტიპების არქივისთვის არ დაინანეს. აი, რას წერს 25 იანვარს **დათო ტურაშვილი** თავის სვეტში: "**იაპონელები ვერასოდეს მიაღწევენ ისეთ ღომსა და ხარჩოს, როგორსაც ცხონებული ბებიაჩემი აკეთებდა**". წინა სამშაბათს წერდა, მეორე დღესვე ვესტუმრე პრეზიდენტსო, თითქოს შესაძლებელი იყოს პრეზიდენტთან შეთანხმებულის გარდა სხვა რომელიმე დღეს "ზაპროსტო" მისვლა. ეს დათოს პირადი პრობლემა იყო და არაფერი მითქვამს, მაგრამ ღომი და ხარჩო უკვე მისი პირადი პრობლემა აღარაა. ეს ბებიაც მხოლოდ მისი ბებია არაა, არამედ კიდევ ვინ იცის რამდენი ათასი ქართველი მოიგონებს უადგილოდ თავის ბებიას მხოლოდ იმიტომ, რომ შეფასების სკალა დარღვევია, მხოლოდ იმიტომ, რომ მსოფლიოს კულტურულ მრავალფეროვნებაში შესაბამისი კრიტერიუმების მოძიება უჭირთ. ნუთუ ასე ძნელია იმის მიხვედრა, რომ ვერც ერთი ბებიის მომზადებული ღომი და ხარჩო ვერ გახდება ისეთი მნიშვნელობის მსოფლიო ბრენდი, როგორიც იაპონური სუშია? რატომ უნდა აგვერიოს საკუთარ ენაზე ამოზრდილი საგემოვნო რეცეპტორების სასიამოვნო გაღიზიანება საკაცობრიო კულტურის მარკერებთან? ეს სულაც არაა უმნიშვნელო საკითხი: სწორედ ამის გამო გვიკვირს, რატომ ჩამორჩება რეიტინგით საქართველოს მეფე, დავით აღმაშენებელი, ტრანსილვანიელ გრაფს, დრაკულას.

ახლა კი მოვიდა დრო, გავერკვეთ, რას გაემიჯნა პუბლიკაციის დასაწყისში ნახსენები სამი იურისტი, რას წარმოადგენს 24 იანვარს გამოქვეყნებული გრძელსათაურიანი წერილი.

მის ქვეშ 52 ხელმოწერაა აღნიშნული. როგორც ვთქვით, უკვე 49 ხელმოწერა უნდა ვიგულისხმოთ. მაგრამ წერილი მაინც ასე იწყება: "**მაქვს პატივი...**". სხვაგანაც ტექსტში წერილის ავტორი საკუთარ თავს მხოლობით რიცხვში მოიხსენიებს — "მე". როგორც ეტყობა, აქაც ძალიან ნაცნობი ქართული სიტუაცია განხორციელდა: ერთმა კაცმა დაწერა წერილი და ჩამოუარა მეგობრებსა და ნაცნობებს. მათაც ხათრით მოაწერეს ხელი, არც წაუკითხავთ, ან მხარზე ხელი მოუტყაპუნეს, ან სულაც ავტორმა იგულისხმა მათი თანხმობა. ეჰ, კიდევ დიდხანს ვერ მიხვდებიან ჩვენში, რა განსხვავებაა პირად და საქმიან ურთიერთობებს შორის. აი, თუ გნებავთ, ერთმანეთის გატანა ქართულად.

მაგრამ საქმეს მივხედოთ. გრძელსათაურიანი წერილი მიმართულია აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის კონცეფციის წინააღმდეგ. როგორც ვიცით, ამ კონცეფციას ხელს აწერენ **კოტე კუბლაშვილი**, **პაატა ზაქარეიშვილი**, **არჩილ გეგეშიძე** და **ივლიანე ხაინდრავა**. 49 სახელის მატარებელი ავტორი გვეუბნება: "**მე ოთხივეს ვიცნობ**". მერე კი ქედმაღლური კეთილგანწყობის შხაპსასხამს თავზე ოთხივეს: "**ეს პირები ნამდვილად ერუდირებული და ნიჭიერი ახალგაზრდები არიან, მაგრამ ეს არ კმარა**". ივლიანე ხაინდრავა, ოთხიდან ყველაზე უფროსი, ჩემზე ახალგაზრდად გამოიყურება, მაგრამ ოთხმოცდაათი წლის მაინც უნდა იყო, მას რომ "ნიჭიერი ახალგაზრდა" უწოდო. ამ ასაკში კი საკუთარ ჭალარას მაინც უნდა სცე პატივი და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში არ ჩაერიო.

ჩვენი კრებითი ავტორი, რომლის ასაკი, უნდა ვიგულისხმოთ, უდრის საქართველოში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობას, გამრავლებულს 49-ზე, ამის მერე ჭკუას გვასწავლის: "**საყოველთაოდ აღიარებული განმარტების თანახმად, ექსპერტი არის პიროვნება, რომელიც აღიარებულია სპეციალისტად ცოდნის შესაბამის დარგში**". თურმე გაკრიტიკებული კონცეფციის არც ერთი შემქმნელი არ აკმაყოფილებს ამ "საყოველთაოდ აღიარებულ" განმარტებას. ალბათ იმიტომ, რომ არც ერთი არაა ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, როგორც, მაგალითად, ქვემორე ხელისმომწერი **ბიძინა სავანელი**. სხვათა შორის, 1990-იან წლებში ერთი ჩემი ძველი ნაცნობი 50 ლარად ყიდდა მისამართს, რომლის საშუალებით შეიძლებოდა ამერიკიდან ნიუ-იორკის აკადემიის წევრობის მოწმობის მიღება... ამ თემას არ გავაგრძელებ, რადგან ამერიკელ აკადემიკოსსა და ქართველ დოქტორს აზრის რიტორიკული გამართვა მაინც უნდა შეეძლოს, რასაც ამ გრძელსათაურიან ტექსტში ნამდვილად ვერ აღწევს. თანაც არც ასეთი გოიმური მსჯელობა მატებს პატივს "არაწითელ" პროფესორს: "**პავლე ინგოროყვას სამეცნიერო ხარისხი არ ჰქონია, მაგრამ ბევრ "წითელ პროფესორს" ერთად აღებულს აჯობებდა**". აი, თურმე რა ყოფილა ჩვენი ქართველი მეცნიერის მთავარი მიზანი: აჯობოს რამდენიმე "წითელ პროფესორს" ერთად აღებულს.

ახლა კი ეს გულუბრყვილობა ნახეთ, რომლითაც ტექსტის კრებითი ავტორი ახასიათებს გასაკრიტიკებელი კონცეფციის შემქმნელებს: "**ავტორებმა გარკვეული შრომა ჩადეს: მოიძიეს ნორმატული მასალა და ლიტერატურა, მოახდინეს მათი სისტემატიზაცია, ჩაატარეს გარკვეული მეცნიერული კვლევა. მაგრამ ეს სრულიად საკმარისი არ აღმოჩნდა**". როგორ ჰგავს ეს ყველაფერი იმ დაშტამპულ ფრაზებს, რომლებითაც ასეულობით აპლიკანტი ავსებს პროექტების ბიზნეს-გეგმებს: პირველი ორი თვე — ლიტერატურის მოძიება, შემდგომი სამი თვე — სისტემატიზაცია და ა. შ. ერთხელ ერთმა უცნობმა მაგისტრანტმა დამირეკა: ხელმძღვანელმა მითხრა მაკიაველიზე დაწერე სამაგისტრო ნაშრომიო. სხვა რა გითხრა-მეთქი, ვკითხე. არაფერიო, მიპასუხა და მთხოვა, მაკიაველის რომელიმე ნაწარმოები მიმეთითებინა "დასამუშავებლად", რომ მერე გამოჩენილიყო სავარაუდო ნაშრომის კონტურები. აი, ასეთი პროფესორის თუ პროფესორების ხელმოწერილ ტექსტთან გვაქვს საქმე. მერე კიდევ განათლების რეფორმას დაუწყებენ გინებას ეს უასაკოთა გამხრწნელები!

კრებითი ავტორი სულ მუდამ ასახელებს რომელიღაც პროექტს, რომელსაც 52 პროფესორი (მათ შორის, 5 აკადემიკოსი) აწერს ხელს და რომელიც საქართველოს მთავრობის წევრებს "უდევთ მაგიდაზე". მაგრამ მოგვიანებით ვგებულობთ, რომ მაგიდაზე უდევთ კი არა, ყურადღებაც არ მიუქცევიათ. კრებითი ავტორი ბობოქრობს: "**ხელისუფლება სდუმს. საერთოდ, მეცნიერების მიმართ, და კერძოდ, დასავლეთზე ორიენტირებული მეცნიერების მიმართ ასეთი უდიერი დამოკიდებულება დამახასიათებელი იყო ოქტომბრის რევოლუციის შემდგომი პერიოდისათვის მაუზერიანი კომუნისტი-კომკავშირელების მხრიდან**". არა, აქ ის კი არაა საინტერესო, რომ "მაუზერიან კომუნისტ-კომკავშირლებთან" აქ შედარებული არიან მიხეილ სააკაშვილი, ნინო ბურჯანაძე, ეთერ ასტემიროვა და გიორგი ხაინდრავა — ამის აღნიშვნა ძალიან მარტივი იქნებოდა — მთავარი ისაა, როგორი სიმსუბუქით წერია ორი სიტყვა: "ოქტომბრის რევოლუცია". მაშინვე იგრძნობა, რა ხშირად და რომელ კონტექსტში იყენებდა ამ ორ სიტყვას ჩვენი კრებითი ავტორი ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ, როგორ ადვილად ემორჩილება ძველ ჩვევას აყოლილი ხელი და ხმა!

არ გჯერათ? ოდნავ ქვემოთ კრებითი ავტორი გაცილებით უფრო ცხად წამოცდენას გვთავაზობთ. ახლა ვნახავთ, რა სტკივა ყველაზე მეტად, როცა "წითელ პროფესურას" აკრიტიკებს: "**ნაწილობრივ ამაზეა გათვლილი განათლების შესახებ ახალი კანონი, რომლის თანახმადაც მეცნიერების კანდიდატები ავტომატურად დოქტორები ხდებიან, ხოლო ენერგიული, გამოცდილი და პროფესიონალი მეცნიერები შეიძლება სახლში გაუშვან**". Провалo парня! — ენერგიული, გამოცდილი და პროფესიონალი მეცნიერი თურმე მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, როცა უფლება გექნება ივლიანე ხაინდრავა ნიჭიერ ყმაწვილად მოიხსენიო. მანამდე კი ни сном ни духом.

ერთი სიტყვით, კრებით პიროვნებაზე წარმოდგენა შეგვექმნა. ახლა კი მისი ნაწერის შინაარსს მივხედოთ.

ავტორს არ მოსწონს აფხაზეთის "განსაკუთრებული სტატუსი". ამიტომაც სვამს კითხვას: "**რა განსაკუთრებული დანაშაული გვაქვს ჩადენილი აფხაზების მიმართ, რომ ბრალის გამოსასყიდად ასეთ განსაკუთრებულ ხარკს უხდით?**". ენერგიულ, გამოცდილ და პროფესიონალ ექსპერტს ჰგონია, რომ განსაკუთრებული სტატუსი დანაშაულის კომპენსაციაა! იმ პროფესორ-აკადემიკოსთაგან ნუთუ ერთიც არ აღმოჩნდა, ვინც საღად აზროვნებს? პირადად მე ემერიტუსის წოდებასაც არ მივანიჭებდი ამ კრებით ავტორს, მართლა სახლში გავუშვებდი 28 ლარიანი პენსიით. მით უმეტეს, რომ ჩვენი სახელმწიფოსაგან ნამდვილად დაჩაგრულ და დავიწყებულ პენსიონერთა შორის ბევრი მინახავს ისეთი, ვინც გაცილებით უფრო მაღალ დონეზე მსჯელობს, ვიდრე ჩვენი კრებითი ავტორი შემდეგ პასაჟში: "**იმის მაგივრად, რომ კარები ვუმტვრიოთ საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებს ქართველთა ეთნიკური წმენდის დაგმობის მოთხოვნით, ერთმანეთს ვუმტვრევთ კარებს: დაკავებული ვართ უნაყოფო დავით საქართველოს სახელმწიფო მოწყობის შესახებ**". მაინც რატომ არ უნდა ჩვენს ავტორს, საკუთარ თავზე დავფიქრდეთ, რატომ გვაგზავნის კარდაკარ სათხოვნელად?

განსაკუთრებულ სტატუსზე უფრო მეტად კრებით ავტორს არ მოსწონს "**აფხაზეთის და აფხაზების ისტორიულად და სამართლებრივად ჩამოყალიბებული გამორჩეულობა**". მისი აზრით, ეს გამორჩეულობა არ არსებობს. არგუმენტი ერთადერთია: არ უნდა, თვალში არ მოსდის, არ ეპიტნავება. სინამდვილეში კი საქართველოს მთელი ტრაგედია სწორედ თვალნათლივი სიცხადის ვერაღიარებაა. რა ვუყოთ რეალური ადამიანების რეალურ თვალსაზრისებს? — განა ეს რეალური თვალსაზრისები გაცილებით უფრო ძლიერ გავლენას არ ახდენს ჩვენს ყოფაზე, ვიდრე ბუმბერაზ მეცნიერთა წიგნებში გამოთქმული აზრები? განა იგივე პავლე ინგოროყვა თავისუფალი იყო პოლიტიკური კონიუნქტურისგან? ნუთუ რეალური აფხაზების სურვილები და მისწრაფებები ისევე ადვილად შეიძლება შევცვალოთ ან უგულებელვყოთ, როგორც თავის დროზე შეცვალეს და უგულებელყვეს აკაკი წერეთლის პერსონაჟების ორიგინალური აფხაზური სახელები ფილმ "აკაკის აკვანის" შემქმნელებმა?

ამის შემდეგ კი ვკითხულობთ: "**ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ აფსუებს ფართო ავტონომია უნდა მიეცეს, რადგან მათ სხვა სამშობლო არა აქვთ. ცხადია, ამ ისტორიკოსებმა, უბრალოდ, არ იციან, რომ მსოფლიოში 700-ზე მეტ ეროვნულ უმცირესობას სხვა სამშობლო არა აქვს. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა ვაკხანალია ატყდება მსოფლიოში მათგან თუნდაც ნახევარმა ავტონომია რომ მოითხოვოს**". ვერ გავიგე, ეს რა არგუმენტია? თუ ითხოვენ, უნდა მიეცეს კიდეც, რადგან სამართალი და რაოდენობა არაა ერთმანეთის თანაზომადი ცნებები. თანაც რას ნიშნავს "მოითხოვოს"? ეს ხომ რთული სოციალურ-პოლიტიკურ-კულტურული პროცესია, როცა ადამიანთა პოპულაცია ერთიან ნებას იძენს. ისე კი, მე საკმარისად ვენდობი ჩემს მკითხველს იმისთვის, რომ ვიფიქრო: თვითონაც მშვენივრად მიხვდება, რა ფასი აქვს ჩვენი კრებითი ავტორის უბადრუკ იწილობიწილოს.

კრებითი ავტორი შეშფოთებულია, რომ კატალონიის ავტონომიის მეთაურის, ხორდი პუიოლის აფიშირება "**საქართველოს მოსახლეობაში ავტომატურად გამოიწვევს სეპარატისტული ტენდენციების აფეთქებას. მაგალითი: საკმარისი აღმოჩნდა აფხაზეთთან მიმართებაში საქართველოს ფედერალიზაციის თემის შემოტანა, რომ მას მყისვე მოყვა მეგრულის, როგორც ქართული ენისაგან დამოუკიდებელი ენის და შეფარულად მეგრული სეპარატიზმის გაძლიერება**". თურმე საქართველოს ფედერალური მოწყობა მეგრულ ენას აძლიერებს(!), თანაც ავტორი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ერთიანობა მოსახლეობის ინფორმაციულ შეზღუდულობაზეა დამყარებული. საკმარისია რაღაც გავაგებინოთ, რომ ყველას გამოყოფა მოუნდება. საიდან ასეთი სიმხდალე? — ხომ ვიცით, ვის ეშინოდა საკუთარი ხალხის.

ბოლოს კი ერთი საგულისხმო ადგილი. აი, რა პასუხი გაუციათ კრებითი ავტორის შემოქმედებისთვის სახალხო დამცველის ოფისიდან: "**სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა თქვენი წერილი. მოგახსენებთ, რომ თქვენ მიერ დასმული საკითხები სცილდება სახალხო დამცველის კომპეტენციას, რის გამოც მოკლებული ვართ შესაძლებლობას, გაგიწიოთ დახმარება**". რამდენიმე ათეული პროფესორი და მათ შორის კი ხუთი აკადემიკოსი სახალხო დამცველის პასუხს შემდეგ შეფასებას აძლევს: "პასუხი თავგასულობის, არაკომპეტენტურობის და უსირცხვილო ბიუროკრატიზმის ნიმუშია". ამას მოსდევს არგუმენტაცია, რომლიდანაც ვიგებთ, რომ ჩვენი კრებითი ავტორი დარწმუნებულია, თითქოს იცავს აფხაზეთიდან დევნილთა უფლებებსა და ინტერესებს. ეს მაშინ, როცა ცოტა ხნით ადრე იწუნებს გასაკრიტიკებელ კონცეფციაში მოცემულ შვიდწლიან გეგმას: ძალიან გაწელილი ეჩვენება! თურმე დევნილთა ინტერესების დაცვა მათი დანგრეულ და მტრულ ქვეყანაში უპირობო და ნაჩქარევი გარეკვა ყოფილა...

თავი შეგაწყინე, ჩემო მკითხველო, მაგრამ ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოში მთავარი არ მომხდარა: ცნობიერების რევოლუცია. ღმერთმაც იცის და სააკაშვილმაც ჩემი კრიტიკული პათოსის შესახებ, მაგრამ ახლა არ შემიძლია არ ვაღიარო: საქართველოს პრეზიდენტმა სტრასბურგში ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა. და თუმცა მას უცნობის ნაჩუქარი შარვლები და აჩი მეფარიძის კლიპები მოსწონს, ამაზე მეტსაც ვაპატიებთ, თუ მისი ხელმძღვანელობით წარმართული პოლიტიკა იმ ასპარეზზე გაგვიყვანს, სადაც ყოველი ჩვენი ნაბიჯი და საქმე სრულიად პირუთვნელად და ყოველგვარი შეღავათების გარეშე შეფასდება, სადაც ბებიის მომზადებული ხარჩოცა და ადმინისტრაციული მოწყობის კონცეფციაც შესაბამისად გაივლის გამოცდას და დღევანდელი საქართველოსთვისაც სამართლიანი იქნება დავითის ისტორიკოსის სიტყვები: "**ნუ უკუე დუხჭირმანცა აბრალოს სარკესა, რამეთუ სახე მისი ცხადად აჩუენის: უხმარნი და უღირსნი ნუ მას, არამედ თავთა თვისთა აბრალებდენ**".

რეპლიკა

# ნაციონალური "ბრენდი" და რეალობა

2005 წლის 28 იანვრის გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებული თეონა ჯაფარიძის სტატიით "ბიზნეს + არტი", აგრეთვე მასმედიის სხვა საშუალებებით საზოგადოებას ზარ-ზეიმით ეცნობა "ხელოვნების ნაციონალური ცენტრის" დაარსება. პრესრელიზი გვაუწყებს დამფუძნებელთა მიზნებს, "ქართული კულტურული მემკვიდრეობის და ხელოვნების კონკურენტუნარიანი და ძლიერი "ბრენდის" შექმნას" - თუმცა რეალობა ძალზე შორსაა ამ დოკუმენტში გაცხადებული მიზნებისაგან. კარგად გვესმის ხელოვნების ზოგიერთი მოღვაწის სიხარული, თუმცა შევნიშნავთ, რომ წარმოდგენილი იდეა სულაც არ არის ახალი - მას უკვე მრავალი წელია სთავაზობს მთავრობას საქართველოს მხატვართა კავშირი.

ინფორმაციული ტერორიზმი, მასმედიის შეცდომაში შეყვანა, საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების მასშტაბური აქცია შეიძლება ეწოდოს სანახაობას, რომელიც "ჯმთ ჯგუფმა" გამართა 2005 წლის 27 იანვარს ყოფილი "მხატვრის სახლის" ტერიტორიის გვერდით, გუდიაშვილის N20-ში.

ისინი შეეცადნენ მოეძებნათ კეთილშობილი შეფუთვა თავისი, რბილად რომ ვთქვათ, მრავალწლიანი არაკეთილსინდისიერი ქმედებებისათვის ქართული მხატვრობის წინააღმდეგ. გამოამჟღავნეს საქართველოს კანონების იგნორირება - საზოგადოებას დიდი პომპით აუწყეს თავიანთი, ვითომ კეთილი მიზნები ტერიტორიის მიმართ, რომელიც დღესდღეობით მათ საკუთრებას არ წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ "ჯმთ ჯგუფის" ქოლგის ქვეშ მყოფი ორგანიზაციის "ხელოვნების ნაციონალური ცენტრის" დაფუძნება და პრეზენტაცია მოხდა მათ მფლობელობაში მყოფ გუდიაშვილის N20-ში, თუმცა "გრანდიოზული იდეების" ხორცშესხმა დაგეგმილია მეზობლად მდებარე ტერიტორიაზე, რუსთაველის N7-ში.

ეს ტერიტორია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს მხატვართა კავშირის საკუთრებას წარმოადგენს. იმავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

"ჯმთ ჯგუფის" და "ხელოვნების ნაციონალური ცენტრის" აქციის მთავარი მიზანი სასამართლოს არსებულ გადაწყვეტილებაზე კიდევ ერთი ზეწოლაა.

საქართველოს მხატვართა კავშირი, 1991-92 წლის განვითარებული მოვლენების ერთ-ერთი უდიდესი მსხვერპლი, დაზარალებულთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელსაც მიღებული ზარალის სანაცვლოდ, სახელმწიფოსგან დღემდე არავითარი კომპენსაცია არ მიუღია.

გარდა ამისა, "თბილისი სიტიმ" თბილისის ომის შემდგომი განუკითხაობის და ქაოსის პირობებში ჩალის ფასად, ან სრულიად უფასოდ (როგორც ზუსტად შენიშნა პრეზიდენტმა სააკაშვილმა) ხელში ჩაიგდო "მხატვრის სახლის" ტერიტორია 99 წლის ვადით, ამასთან 20 წლით გადასახადისაგან გათავისუფლების პირობით - ფაქტობრივად საჩუქრად.

"თბილისი სიტიმ", შემდგომში თბილისის უძრავი ქონების კომპანიამ (რომლის სამართალმემკვიდრე ამჟამად "ჯმთ ჯგუფია), წარსული ხელისუფლების წაყრუებით, ზოგიერთ ჩინოვნიკთან დანაშაულებრივ ალიანსში, ყაჩაღურად, ყოვლად უსამართლოდ წაართვა, დაუნგრია მხატვართა კავშირს რუსთაველის N7-ში განთავსებული, თბილისის ომის დროს დაზიანებული, "მხატვრის სახლი". სწორედ მათი მიზეზით არ განხორციელდა 6 ათასი კვადრატული მეტრი საგამოფენო სივრცის, სახელოსნოების, სტამბის, მხატვართა კავშირის ოფისის აღდგენა-რესტავრაცია. შედეგად, მრავალი წელია, ქალაქის ცენტრში შეიქმნა შავი ხვრელი, კულტურული უდაბნო, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

მხატვართა კავშირმა მრავალი წელია შეიმუშავა კონცეფცია "მხატვრის სახლთან" დაკავშირებით - ამ ადგილას განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე საზოგადოებრივ-კულტურული ცენტრის აგების შესახებ. მავანთა და მავანთა მიერ ამ იდეის ბლოკირების და დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად, კავშირი ახლაც ამ იდეის განხორციელებისთვის იბრძვის.

ჩვენ ბრალს ვდებთ "თბილისი სიტის" და მის სამართალმემკვიდრეებს უცხოელი ინვესტორის შეცდომაში შეყვანაში "მხატვრის სახლის" დაზიანებული შენობის ნამდვილი მფლობელის ვინაობასთან დაკავშირებით.

ჩვენ ბრალს ვდებთ იგივე ორგანიზაციას, "მხატვრის სახლის" შენობის საზოგადოებისგან ფარულად მიტაცებაში და დანგრევაში.

განსხვავება მხატვართა კავშირში დამუშავებულ და "ჯმთ ჯგუფის" მიერ ორიოდე დღის წინ წამოყენებულ იდეას შორის კარდინალურია და ერთნაირად ეხება როგორც ზნეობის, ისე სამართლის საკითხებს "ჯმთ ჯგუფი" აქვეყნებს სხვისი და არა მისი კუთვნილი ქონების გამოყენების გეგმას, სხვის ადრე გამოქვეყნებულ კონცეფციას თავისად წარმოადგენს, და მესამე - ორგანიზაცია, ვისი მთელი ქმედება "მხატვრის სახლთან" დაკავშირებით მთლიანად ტყუილზე, დეზინფორმაციაზეა აგებული, ვერ იქნება გარანტი თავისი სარეკლამო, მთავრობის მოსაწონებელი "გეგმების" განხორციელებისა. მთავარი ბრალდება კი საზოგადოების შეცდომაში შეყვანაა.

რაც შეეხება მხატვრებს, მათი მიზნები არ შეცვლილა. ქალაქისთვის, ქვეყნისთვის აუცილებელი კულტურული ცენტრი, სამუზეუმო კვარტალის იდეა ნამდვილად უნდა განხორციელდეს. სხვადასხვა საკითხებზე განსხვავებული აზრების მიუხედავად "მხატვრის სახლის "დაბრუნების იდეამ შეიძლება გააერთიანოს ყველა დაინტერესებული უკვე არსებული თუ ახლად შექმნილი ორგანიზაცია. ამასთან იგი უნდა განახორციელონ იმ ორგანიზაციებმა და პირებმა, რომელთაც ეს იდეა გულწრფელად აღელვებთ და არა მათ, ვინც კეთილშობილურ იდეას მხოლოდ სარეკლამო ტრიუკად იყენებენ.

სახელმწიფოს ნების შემთხვევაში არ არსებობს არც ინვესტორის, არც პროექტირებაზე საერთაშორისო კონკურსების და ტენდერის გამოცხადების პრობლემა.

ამ მიზნით საქართველოს მხატვართა კავშირი მზადაა ითანამშრომლოს საქართველოს მთავრობასთან ყველა დონეზე, ქართული კულტურის განვითარებით დაინტერესებულ ყველა ორგანიზაციასთან.

სხვა შემთხვევაში, იძულებული გავხდებით, მივმართოთ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

ყველა პრობლემის მიუხედავად, გვაქვს სამართლიანობის აღდგენის იმედი. სხვადასხვა ჩინოვნიკები მიდიან და მოდიან, ხელოვნება კი უკვდავია.

*საქართველოს*
*მხატვართა კავშირი*

# გამოსათხოვარი

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, ქართლოს კასრაძე. 78 წლის მსახიობი საერთაშორისო პრემიების ლაურეატი და ღირსების ორდენის კავალერი იყო. თუმცა, მისი პიროვნება არასდროს გაზომილა ორდენებითა და წოდებებით. მისი მთავარი ღირსება ხალასი იუმორი, კაცთმოყვარეობა და ის დიდი სახალხო სიყვარული იყო, რაც ამ თვისებებმა მოუტანეს.

# შეამოწმეთ კავკასიური პრიმიტივიზმის სიცოცხლისუნარიანობა

## თბილისი პოპულარიზაციას უწევს ნაივურ მხატვრობას

ვერა ნეფარიძე

*გუშინ ეროვნულ გალერეაში გაიხსნა კავკასიური ნაივური მხატვრობის გამოფენა. პროექტის მიზანია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ხელოვანთა შორის აქტიური შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება და კულტურათა გაცვლის პროცესში ჩაბმა. ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხელოვანები ამჯერად მხატვრობაში პრიმიტივიზმის ნიშნით გაერთიანდნენ.*

ამ გამოფენის იდეა ორი წლის წინათ გასჩენიათ; მაშინ, როდესაც ამავე გალერეაში საქართველოს თვითნასწავლ მხატვართა გამოფენა მოეწყო. საქმეც დროში დიდად არ გაწელილა. ყოველ შემთხვევაში, იმ დრომ, რაც იდეის დაბადებიდან მის განხორციელებამდე გახდა საჭირო, 41 ქართველი, 5 აზერბაიჯანელი და 11 სომეხი ავტორის ნამუშევართა თავმოყრამ მოითხოვა.

"საქართველო, კერძოდ, თბილისი, ოდითგანვე იყო კავკასიის კულტურის ცენტრი, სადაც თავს იყრიდა კავკასიელ ხალხთა შემოქმედებითი ძალები. კავკასიელ ხალხთა მრავალი შემოქმედი სწორედ თბილისმა აღზარდა", - გვაუწყებს გამოფენის ორგანიზატორი თვითნასწავლ მხატვართა და ხალხური რეწვის ოსტატთა შემოქმედებითი კავშირის "ელეონის" პრეზიდენტი ცისანა მარინდაშვილი და კავკასიელი ხალხის კულტურათა გაცვლის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის გაგრძელებას ზემოხსენებული გამოფენის მოწყობით გვთავაზობს.

ექსპოზიცია ორასზე მეტ ნამუშევარს აერთიანებს. ორგანიზატორთა თქმით, ეროვნულ გალერეაში წარმოდგენილია ნაივური მხატვრობის როგორც დღევანდელი, ისე გუშინდელი ნიმუშები. თუკი გამოფენის მასპინძელს, ეროვნული გალერეის დირექტორს, მხატვარ თემო გოცაძეს დავეყრდნობით, იმის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის მოშლილი იყო შემოქმედებითი კონტაქტები, შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპის გამოფენა პირველად ეწყობა.

"რითი გვიზიდავს ნაივი? აქ ადამიანები ისეთები არიან, როგორც ბავშვობაში - ან ძალიან კარგები, ან ძალიან ცუდები. აქ სიკეთე ყოველთვის ამარცხებს ბოროტებას, სინათლე - სიბნელეს, მეფობს სიყვარული და ჰარმონია, ფერები კი ისეთი სუფთა და ჟღერადია, როგორიც მხოლოდ ოცნებაში არსებობს. სწორედ ამიტომ გადაიქცა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაბადებული ნაივი დიდი ხელოვნების ერთ-ერთ უმთავრეს მიმდინარეობად. უკვე მეორე ასწლეულია, ის ტრიუმფალურად მეფობს ადამიანების სულსა და გულებში და ბევრად უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე ადამიანის ფანტაზიის დახვეწილი გამოგონებების მრავალრიცხოვანი "იზმები", - ამბობს ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი დილარა ვაჰაბოვა. სომხური ნაივის ისტორიის შესახებ მოგვითხრობს სომხეთის ესთეტიკის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მანველ ბაგდასარიანი: "სომხური ნაივის ისტორია თბილისურ-სომხური ფერწერული სკოლიდან მოდის და თავისი სულიერების კოლორიტით მთლიანად აპირობებს მე-19 საუკუნის მრავალეროვან თბილისურ ფერწერულ კულტურას".



კავკასიური ლომი

ლევან ხერხეულიძის ფოტო

რაც შეეხება საქართველოს, მხატვრობაში პრიმიტივიზმი, პირველ რიგში, ფიროსმანთან იგივდება (ეროვნულ გალერეაში გახსნილ გამოფენაზე მხატვრის ოთხ ნამუშევარს იხილავს დამთვალიერებელი). თუმცა, როგორც "ელეონის" წარმომადგენლები გვაუწყებენ, ნაივურ მხატვრობაში სერიოზული მიღწევები საქართველოს მოგვიანებითაც ჰქონია. საქართველოს თვითნასწავლ მხატვართაგან თორმეტი მსოფლიო ნაივური ხელოვნების ენციკლოპედიაშია შესული. "დღეს, კონიუნქტურისა და სახელმწიფო ცენზურის არარსებობის პირობებში, შესაძლებლობა მოგვეცა, მეტი ყურადღება დავუთმოთ და პოპულარიზაცია გავუწიოთ ნაივურ მხატვრობას", - ამბობს "ელეონის" წარმომადგენელი ნათია შალამბერიძე. ერთი სიტყვით, საქმე დაწყებულია. ახლა დამთვალიერებელს 6 თებერვლამდე (ექსპოზიციის დახურვამდე) თავად შეუძლია შეამოწმოს კავკასიური ნაივის სიცოცხლისუნარიანობა და ისიც, თუ რამდენად ღირდა სპონსორების (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო; კავკასიის კულტურული პროგრამების საერთაშორისო ბიურო) მხარდაჭერა ამ პროექტისთვის.

# რა ენატრება მეფეს

## ნოსტალგია 70-იანების ფანკზე

ვერა ნეფარიძე

*რას მოიმოქმედებთ, როდესაც მეფე წვეულებაზე მიგიპატიჟებთ? რასაკვირველია, მოემზადებით რამდენიმე დღით ადრე, გამოეწყობით საუკეთესო სამოსში და ეცდებით, ამაღლებული განწყობით ეწვიოთ სასახლეს. სწორედ ამგვარად მოიქცა გუშინ ჩვენი, თბილისური საზოგადოების გარკვეული ნაწილი, ვისაც მეფის მიწვევის პატივი ერგო. მეფის კარი, იგივე სასახლე წუხელ კლუბი "ნოა ნოა" იყო, მეფე კი, უკვე კარგად იცით, ვიზეცაა საუბარი...*

დავასწრებ მოვლენებს და თავიდანვე ვიტყვი: ნიკუშა შენგელაიას ვიდეოკლიპი ირაკლი ჩარკვიანის სიმღერაზე - "მოდი აქ", საუკეთესოა ამ მუსიკოსის ვიდეორგოლებს შორის. ვფიქრობ, ამით გარკვეული მინიშნება მიცემულია თავად კლიპის დონეზე და საკმარისი საფუძველია, რომ ჩვენს მუსიკალურ ტელეეთერში მართლა ინტერესით დაელოდოთ მის გამოჩენას, რაც უახლოესი დღეების ამბავია. ახლა კი, გუშინდელი საღამოსა და მისი გმირების შესახებ.

გუშინდელი საღამოს მთავარი გმირი, უდავოდ ირაკლი ჩარკვიანი იყო. მუსიკოსი, რომელიც დიდი ხანია, თანამედროვე ქართული მუსიკის მნიშვნელოვანი ფიგურაა, მაგრამ საზოგადოების ძირითადმა ნაწილმა ეს მაშინ დაინახა და ირწმუნა, როდესაც ირაკლიმ საკუთარ თავს მეფე უწოდა; მაშინ გაუჩნდა ცხოველი ინტერესი მუსიკოსის ცხოვრების (და არა შემოქმედების) მიმართ. როდესაც ერთ, ბევრისთვის საკრიტიკო და ბევრისთვის ქართველი "მეგასტარების" საწარმო ტელეეთერში ირაკლის "რეალითი-შოუ" გავიდა; სინამდვილეში კი, ირაკლი ჩარკვიანის ყოველი ახალი სიმღერა, კლიპის გადაღება თუ ალბომის ჩაწერა, ყოველთვის იყო საინტერესო და მნიშვნელოვანი ჩვენი საზოგადოების ამა თუ იმ ნაწილისთვის; განსხვავება იმაშია, რომ ეს ნაწილი დღეისათვის საკმაოდ გაზრდილია და შეიძლება ითქვას კიდეც, რომ - გამრავალფეროვნებული. ამიტომაც, გუშინ "ნოა



ირაკლი და ქეთათო მეგობრებთან საუბრობენ.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ნოაში" გამართულ, მუსიკოსის მორიგი კლიპის პრეზენტაციას ესწრებოდნენ: კოლეგები, ტელესახეები, მსახიობები, იურისტები, სატელევიზიო მუსიკალური მოდის მოკარნახეები, ბევრიც სხვა და შენგელაიების ოჯახი... ეს უკანასკნელი ჩამონათვალიდან, ყველაზე ბუნებრივია - გუშინ ნიკუშა შენგელაიას დებიუტი ჰქონდა.

"რატომ შევარჩიე კლიპის გადასაღებად ეს სიმღერა? - იმიტომ, რომ მომეწონა", - მიპასუხა ვიდეორგოლის ავტორმა; თუ რატომ შეარჩია ირაკლიმ მორიგი კლიპის რეჟისორად შენგელაია, ამაზეც მივიღე პასუხი: "ეს სიმღერა, ფაქტობრივად, ნოსტალგიაა 70-იანი წლების ფანკზე, რასაც ჩემს მეგობრებში ყველაზე კარგად ნიკუშა იცნობს. კლიპი როგორი გამოვიდა, ამაზე მაყურებელმა იმსჯელოს, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია მუსიკალური სტილისტიკა და ეს ეპოქალური მომენტი კლიპში კარგად ჩანს", - მპასუხობს ირაკლი.

კლიპის გადაღებას რეჟისორმა ერთი თვე მოანდომა. ამ ჩანაფიქრის განხორციელებისას, შენგელაიას ერთი იდეა ამოძრავებდა: "მინდა, ყურნაკლულებმა ისწავლონ კლიპის ყურება, ამისათვის ტექსტი გადმოტანილია ეკრანზე". აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ რეჟისორს სასურველი შედეგის მისაღწევად პროფესიონალი მსახიობების მთელი წყება დაეხმარა: ზურა ყიფშიძე, ნიკა თავაძე და ნატა მურვანიძე; ასევე სააგენტო "ნატალის" გოგონები, პატარა გიორგი შენგელაია და გიორგი და ანკა - რომელთაც რეჟისორმა კლიპის მშვენება უწოდა; კლიპის ავტორებმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს თემურ უგულავას, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი გახდა ნიკუშა შენგელაიასა და ირაკლი ჩარკვიანის ტანდემის განხორციელება.

სიმღერა "მოდი აქ" ირაკლის მორიგ, რიგით მეხუთე ალბომში შედის; ალბომი შემოდგომაზე გამოვა; მას შემდეგ, რაც გადაიღებენ მორიგ ვიდეორგოლს სიმღერაზე "ძირს მეფე!". მანამდე კი, "მოდი აქ" შეგიძლიათ მოისმინოთ ირაკლის სინგლზე - "მეფე და ქეთათო". აქვე იმასაც ვეტყვი დაინტერესებულ მსმენელს (რომელიც ვიცი, რომ ბევრია) - გუშინ კლუბში Svan Songs-ის კომპაქტ-დისკებს მოვკარი თვალი (იყიდებოდა) - ეს მათთვის, ვინც წლების წინათ ამ ალბომის აუდიოკასეტების შეძენა ჩემსავით ვერ მოახერხა, რადგანაც მალე გაქრა აუდიოდახლებიდან.

# მიგვიშვან ღუმელთან, ბატონო...

დესი დაშკოვა

*დათო ხურცილავა 25 ფილმშია გადაღებული, თეატრის სცენაზე ოცი წლის შემდეგ გამოჩნდა და ბოლო წელიწადში მესამე სპექტაკლშია დაკავებული. "ეტყობა, მას სასცენო განათლება აქვს", გავიგონე ანტრაქტის დროს ვაკის სარდაფის სპექტაკლზე "გველისმჭამელი". დათო ხურცილავა ის "ჯაპანაა", რომელსაც დუტა სხირტლაძე "რეკლამას" უკეთებს. ის თავისი თაობის ყველა "კის" და "არას" ატარებს. თაობა მისთვის გაშინაურებული პრობლემაა. მასთან ერთად გაიარა და გაიზიარა ცხოვრების ორომტრიალი. ორმოცი წლის მსახიობი აქტიურ ხანაში შედის. დღეს, როცა ისტორიული ფილმის გადაღებასთან დაკავშირებით, საზოგადოება აღელვებულია, საინტერესოა ერთ-ერთი ქართველი მსახიობის შეხედულება ამასთან დაკავშირებით.*


ლევან ხერხეულიძის ფოტო

**- როგორი გამოვა ფილმი დავით აღმაშენებელზე? ამბავი ამტყდარია, ამდენი მსჯელობა...**

- როგორ შეიძლება მინუსებზე ილაპარაკო, როცა ფილმი ჯერ არ არსებობს. საოცარი რამ ვიცით: არ არის ჯერ არაფერი, ფილმის გადაღების პროცესი ჯერ არ დაწყებულა, სცენარიც არ არსებობს და ვამბობთ, რომ ფილმი არ ივარგებს. მე დათოსაც და აკასაც პატივს ვცემ. დიდაქტიკოსობაში არ ჩამომართვათ, მაგრამ დათოს ადგილზე მე ახლა არაფრის მტკიცებას და ლაპარაკს არ დავუწყებდი არავის. ჯერ არაფერი არ ვიცით. არ ვიცით, ვინ არის დავით აღმაშენებელი, ვინ არის რეჟისორი, სასაცილოა, რაზე ვკამათობთ. მით უმეტეს, დაფინანსება არსებობს, გვეუბნებიან, რომ კერძო პირები დააფინანსებენ. ღვთის შეწევნით, არის ადამიანი, იმ კაცს კი თავისი გვარის დასახელება არ უყვარს, იმერელი კაცია, იძახის მე დავაფინანსებო. არ დააკლდება ეს სახელმწიფო ბიუჯეტს. შემოწირულობები 10-15 მილიონს კი შეკრებს და რა გამოვა, რა ვიცი. პლიუსი კი ის არის, რომ ფილმს დავით აღმაშენებელზე ვიღებთ. ჩემთვის ეს წმინდა გიორგის ტოლფასი ადამიანია.

პრობლემა იქნება, მაგრამ უნდა გადავწყვიტოთ ეს პრობლემები. ეს პრობლემები არსებულ რეალობას დაგვანახებს. ფიქტიურ მართვას, გაჯახირებულ კინოწარმოებას და ფიქტიური განათლების პრობლემებს ნათელს მოჰფენს. სწორედ ამისთვისაც არის საჭირო, ერთი კარგი ბლოკბასტერი გადავიღოთ - ვნახოთ, რა შეგვიძლია. დავიწყოთ ჩემი პროფესიის ხალხით, მსახიობებით. უკვე რამდენი თაობა ველარ არის მსახიობი. მაგალითად, რამდენმა ბიჭმა იცის ცხენზე ჯდომა? ეს არის ისტორიული, კოსტუმირებული ფილმი, ცხენოსნები - ეს აუცილებელი საჭიროებაა. ახლა, რამდენმა იცის ხმლის დაჭერა და ხმალაობა? ჩვენ ვსწავლობდით თეატრალურ ინსტიტუტში კენჭნაობით დაწყებული და შპაგით დამთავრებული. ახლა რომ დამჭირდეს, გავიხსენებ. ვისაც არ უსწავლია, უნდა ასწავლონ.

**- მასწავლებლები არიან?**

- აღარ არიან, გაიქცნენ. მე მყავდა შოთა სხირტლაძე. არსებობდა ლეგენდარული ტრიუკების და სასცენო მოძრაობების მასწავლებელი კოწო ბადრიძე, ტანმოვარჯიშე. 80 წლის ასაკში ისე გალახა 6 კაცი თეატრალური ინსტიტუტის წინ, ხელი არც ერთს არ შემოაბრუნებინა. ამ ხნის კაცი მესამედან მეორე სართულზე ჩახტა, ცნობილი ფაქტია. იმიტომ, რომ ლექციაზე არევა დაუწყეს. მისი მოსწავლე იყო შოთა სხირტლაძე, ჩემი პედაგოგი. ეს ადამიანები ჩვენ გვასწავლიდნენ, როგორ უნდა დავეცეთ, როგორ გადმოვვარდეთ ცხენიდან, როგორ დავგორდეთ კიბეებიდან, გაქანებული მანქანიდან, მეორე სართულიდან. რა ვიცი, ამას ყველაფერს გვასწავლიდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ქალებსაც კი და დღეს ვინ რას ასწავლის? გვასწავლიდნენ ეტიკეტს, ნათელა იონათამიშვილი - ცილინდრის, ფრაკის, ტროსტის, ხმლის ტარებას, კაბის ტარებასაც კი. ამას ყველაფერს გაიხსენებ, მაგრამ რაც არ იცი, რა უნდა გაიხსენო. კასკადიორები აღარ არიან. ერთი ცხენი აღარ არის კინოსტუდიის საჯინიბოში. საჯინიბოც აღარ არის, ფანჯარა აღარ არის. 2-3 კერძო მესაკუთრის ცხენი დგას, ორი-სამი გალოთებული "ტრუკაჩილა" ზის. დანარჩენებიდან ზოგი ტაქსის მძღოლია, ზოგიც მოკვდა სმისგან. არადა გვყავდა ძალიან სერიოზული გუნდი, გვყავდა არაბული ჯიშის ცხენები. ამაში ვხედავ პრობლემას. თუ ეს ყველაფერი, ცხენ-კაციანად ჩამოსაყვანი გახდა, მაშინ დიდძალი ფული გახდება საჭირო. რუსები ხომ დიდ თანხას იღებენ, იმისიქითელები კიდევ უფრო მეტს. აქაურები კი 100 დოლარად ისეთ რამეს გაუკეთებდნენ, ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ.

აი, ბევრი ფული რომ აქვთ დახარჯული სხვადასხვა რაღაცეებში და იმ ადამიანებს რომ ვაღმერთებთ და ვართ ერთ ამბავში, იმ საჯინიბოსთვის რომ მოევლოთ, პატარა საჭმლის ფული ჰქონოდათ იმ ბიჭებს და ცხენებს მოუვლიდნენ და იარსებებდნენ. ყველაფრის ასე მიტოვება... აი, ამაში ვხედავ მე პრობლემას. უამრავი მასიური, ბატალური სცენა იქნება. გასაგებია, ფილმი ისეთი რამეა, რომ 20-30 ცხენოსანს გამოაჩენს ასად, მაგრამ ეს 30 ხომ საჭიროა. თან ესენი ძალიან ცოტაა იმ ფილმისთვის, რომლის გადაღებასაც აპირებენ. ალბათ, უნდა იყოს 60 ცხენოსანი, რომ ათასი გამოაჩინო და ა.შ. ეს ჩვენთვის ძალიან ბევრია.

თუ ფული იქნა და იქნა რეჟისორი, ითამაშებენ ქართველი მსახიობები, არაქართველებიც, სწორი კასტინგი უნდა შედგეს, მე ვერ ვხედავ აქ გადაულახავ სირთულეებს. ჩვენთან გაცილებით იაფი ჯდება ფილმის წარმოება, ტრიუკები, პიროტექნიკა, მუშახელი და ჩვენთვის 10-15 მილიონი კარგი ბლოკბასტერისთვის საკმარისია. დაახლოებით 20 მილიონი დაჯდა "ლეონ კილერი", რომელიც ვთვლი, რომ ჟანრის შედევრია, ეს არ არის მხოლოდ ტექნიკა. ასე რომ, პრობლემათა ციტადელს ვერ ვხედავ, ჯერჯერობით, არიან ყველა თაობის მსახიობები, მათ შორის ახალგაზრდებიც, ჩემი თაობისაც, რომ შეავსონ ფილმი. უამრავი როლი იქნება სათამაშო. ბავშვი არ დაბადებულა და აბრამს არქმევდნენო. რა გვაკივლებს, რა შეფასებებს ვაკეთებთ. ფულს თუ არ დახარჯავ, გამოვა "წიგნი ფიცისა". ბლოკბასტერი რა არის - ცხენის ფლოქვი, ბოლი, ისრების შხუილი... აი, ეგ არის რა, "ტროა", "ალექსანდრე". სცენარიო, მორჩილაძე და ტურაშვილი, რა, ფანქრის წვერს დაასველებენ და ისე დაწერენ, მოიგონებენ თუ რა? დაეყრდნობიან გამსახურდიას, 25 წელი რომ მუშაობდა რომანზე, აგერ "ქართლის ცხოვრებაა", მილიონი ისტორიკოსია და სად წაუვლენ. და ბლოკბასტერია, ფულს თუ დახარჯავ ცხენს გადმოაყირავებ, იხმალავებ, გამოვა. ყულარის ცხენსაშენიდან გამოიყვან ცხენებს, გაქცეულ `ტრიუკაჩს" მოძებნი, 100 დოლარს გადაუხდი, რასაც გინდა, იმას გაგიკეთებს.

**- საუბრისას რამდენჯერმე ახსენეთ თანამედროვე კადრები, განათლება. რა ინფორმაცია გაქვთ, რა ხდება ინსტიტუტში?**

- მძიმე მდგომარეობაა. გაიხსნა უამრავი ფაკულტეტი. მე ამაში მაინც დილეტანტი ვარ და ვერ ვილაპარაკებ, სუფრაზე თამადობა არ მნდომებია და მით უმეტეს, რექტორობისა რა გამეგება, არც ლიდერობა მიტაცებს.

ვინც გახდება თეატრალურის რექტორი, იქ რაღაც ბრძოლა მიდისო, მე ბედნიერი ვიქნები, თუ ყოველწლიურად 280 მსახიობს არ მიიღებენ. აქედან ათი თუ გააკეთებს თავის საკეთებელს. იმიტომ კი არა, რომ ისინი ჩემი კონკურენტები, ჩემი "დამღუპველები" გახდებიან, ისინი თავად იღუპებიან. ადრე თხუთმეტი რომ ვაბარებდით, იქიდან ამ საქმეს ხუთი ვრჩებოდით. ჩემი ჯგუფიდან ნახევარზე მეტი სხვა საქმეს მოეკიდა. შემდგარი მსახიობი ბაზრობაზე ფეხსაცმელს ჰყიდის და მგონი, იქიდანაც გამოუშვეს. 280 მსახიობი რომ აბარებს, 16-17 წლის ადამიანები რას აცნობიერებენ, სად მიდიან, რას აპირებენ. იქ მარიაჟული ელემენტიც ერთვება და მერე, ელემენტარულად იკარგებიან. როგორც არ უნდა წაგიკითხონ და იკითხო სტანისლავსკი და მიხეილ ჩეხოვი, თეორიით ვერც მსახიობი გამოხვალ და ვერც რეჟისორი. ადრე იყო სასწავლო კინოსტუდია. ის დიდი ხანია, ისეთ პირობებშია, რომ იქ ვერც საკურსოებს, სადიპლომოებს იღებენ და როგორ გაიზრდებიან? რა ვიცი, თუ ვინმე საკუთარი სახსრებით იღებს ფილმს, თორემ... თხუთმეტი წლის წინ ეს ხერხდებოდა. ახლა ვიცი, რომ საერთოდ აღარ მუშაობენ. არსებობს კინოოპერატორების, კინორეჟისორების, სცენარისტების განათლებისა და პროფესიული ზრდის დიდი ინტერვალი - ისინი აღარ იზრდებიან. რომ დაამთავრებენ, მერე ხომ არა და არ არსებობს არც სამუშაო და არც პროფესიული ზრდის საშუალება, გამორიცხულია. გამოდის, რომ თეატრალური ინსტიტუტი მთლიანად ტყუილია - სწავლობს, ამთავრებს ადამიანი და არაფერი არ ხდება. მე იქ არ ვპედაგოგობ, მაგრამ ხმები მომდის, რომ არაფერი არ ხდება. კიდევ არიან შემორჩენილი მოჰიკანები და რაღაცას ჯახირობენ, მაგრამ რომ დაამთავრებენ ამ ჯახირში ინსტიტუტს და ის ბავშვი ვერსად ვერ მოეწყობა?!

**- ვინმემ ხომ უნდა დაიჯეროს, რომ თეატრში, კინოში ჩადებული ფული ქვეყანას წაადგება?**

- რა თქმა უნდა. მე აპოლიტიკური ვარ, შეიძლება ზედმეტადაც, არ მიყვარს ეგ საქმე, არ მაინტერესებს, პოლიტიკურ ტელევიზორსაც არ ვუყურებ. ამაზე მთავრობამ უნდა იფიქროს. დაიჯეროს - რას ჰქვია, ყველაფერი კარგად აქვთ "დაჯერებული".

იმ იმერელს მე აღტაცებაში მოვყავარ. ერთადერთი კაცია, რომელმაც გამაოცა. ეს არის ჩემი თაობის ადამიანი, რომელსაც სახეზე ვერ ვცნობ, ფოტოც არ მინახავს. მის მოქმედებას ჰქვია - მადლი ჰქენი ქვაზე დადე. იმიტომ, რომ მეცენატობა ეგ არის. სხვა დანარჩენი კი ვინც არიან, მე მათთან მეცენატობა ვერ დავინახე. ეგ არის უკვე სპონსორობა, რაღაცას ელი შენ იქიდან. ის კაცი არ ლაპარაკობს, არ იძახის, ჩემი გაკეთებულიაო. მე მომდის ხმები, ეს გააკეთა, ის გააკეთა, სამების ტაძრის მშენებლობაში უდიდესი წვლილი აქვსო და ასე სხვა, ჩამოსათვლელი, იცოცხლე, არის . არ ისახელებს ეს კაცი თავს. მეცენატობას უწევს და დასახელებას უკრძალავს. რომ მშველის, იმასაც მეუბნება არ თქვა, თორემ შეგიწყვეტო. გამიგონია ზუბალაშვილები, სარაჯიშვილი... ჩვენს სინამდვილეში ეს კაცია. ახლა ამ კაცმა 280 მსახიობს რატომ უნდა უხადოს სტიპენდია? ათს რომ იღებდეს ინსტიტუტი, დარწმუნებული ვარ, იმათ მიხედავდა. 280-ს ტყუილად რატომ უნდა უხადოს? თეატრებს უხდის.

**- თეატრები? პატარა თეატრების დინამიკა კარგია?**

- კარგია. ჯანსაღი კონკურენციის საშუალება კარგია. სიჯანსაღის კრიტერიუმი კი მაყურებელია. ამდენი კომერციული თეატრი, ჩვეულებრივი "კაპიტალისტური გადმონაშთია". აი, ჩვენი სარდაფი ნორმალურად ირჩენს თავს. არიან თეატრები, რომლებიც თავს ვერ ირჩენენ, დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერიათ. ათი წელია, სარდაფი არსებობს და ჩვეულებრივად თავისი მაყურებელი ჰყავს, არსებობს "სარდაფის მაყურებელი" და აქედან გამომდინარე, თეატრი თავს ირჩენს, უხდის მსახიობებს, დგამს სპექტაკლებს, ასეთმა თეატრებმა უნდა იარსებონ - ეს მაყურებელზეა დამოკიდებული. არსებობს სახელმწიფო აკადემიური თეატრები, იმას მთავრობამ უნდა მიხედოს და კიდევ ისეთმა ხალხმა, როგორზეც ვსაუბრობდით. ხელოვნებაში დღეს ფული თუ არ ჩადე, ერთი კაცი ამას მარტო ვერაფერს უშველის, ღმერთმა ბევრი მისცეს, მაგრამ რამდენი შეიძლება იმ კაცს ჰქონდეს, რომ კინო, თეატრი და სხვა ყველაფერი შეინახოს?

**- დღემდე შენი პროფესიული ხარჯვით კმაყოფილი ხარ?**

- თეატრში სულ ერთი წელია, მოვედი, 20 წელი არ ვყოფილვარ. მანამ ვმუშაობდი კინოში. ალეკო ცაბაძის ფილმში "ლაქა" ძალიან საინტერესო ადამიანებთან ვიმუშავე. რეჟისორი ნიჭიერი კაცია, ბევრს შრომობს და რაც გადაიღო, არც ერთი არ ჩავარდნია. ერთის გარდა, მის ყველა ფილმში ვმონაწილეობდი. ახლა რუსეთში მუშაობს და ვერ ხერხდება მასთან მუშაობა, თორემ მე ყოველთვის ბედნიერი ვიქნები ალეკო ცაბაძესთან მუშაობით.

მას შემდეგ ბევრ ფილმში ვითამაშე და პირველი ნაბიჯი იმდენად კარგი იყო, რომ შეიძლება ამანაც განაპირობა, რომ კინოს მივეჯაჭვე და თეატრში მოსასვლელად ოცი წელი დამჭირდა. ახლა ვხვდები, რომ თეატრი ძალიან სერიოზული ტრენინგია მსახიობისთვის: ყოველდღიური რეპეტიციები და თუ საღამოს სპექტაკლშიც ხარ, მით უმეტეს. მე ახლა უკვე მესამე სპექტაკლზე ვმუშაობ. კინოში კარგად დავიწყე და მერე რამდენჯერმე შევწყვიტე, ჯერ ჯარი, მერე 90-იანი წლები, ოჯახი სარჩენი და რა დროს გაზაფხული იყო, ათი წელი სწორ ნაწლავში ვცხოვრობდით. ეს ბოლო ორი-სამი წელი გაცოცხლდა და მე დაუკავებლობას არ ვუჩივი. მსახიობი აუცილებლად უნდა მუშაობდეს. ერთი წელია, ჭოლასთან ვმუშაობ და შესანიშნავია.

**- გუშინ ედიშერ მაღალაშვილი დაკრძალეს...**

- მე ამ თაობაზე ძალიან კარგის გარდა ვერაფერს ვიტყვი, ეს გულიდან მოდის. ძალიან სერიოზული პროფესიონალები არიან - ჩვენი მამების თაობა. ეს უნიკალური ადამიანები - მსახიობები არიან: რამაზ ჩხიკვაძე, გოგი გეგეჭკორი, გურამ საღარაძე, მედეა ჩახავა, სალომე ყანჩელი... არ დამთავრდება.

საოცარი რამ არის, აღარაფერი რომ არ ვთქვათ მათ წინა თაობაზე - ვერიკო, სესილია, აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარიაძე... აღარ თავდება. ესენი იყვნენ უდიდესები, მსოფლიო მნიშვნელობის მსახიობები. დღეს რომ ვუყურებ ალ პაჩინოს, დე ნიროს, ჯეკ ნიკოლსონს, ჩვენ ასეთები და უკეთესები ბევრი გვყავდა. ეს ხალხი დილიდან ღამემდე მუშაობდა. მე ჩემს თაობაში, ნურავინ მიწყენს და, ჯერ ამას ვერ ვხედავ, მაგრამ დროცაა სხვა. ისინი სხვა განზომილებაში იყვნენ, სხვა იყო მაყურებელიც, დამოკიდებულებაც, რა ვიცი, იქნებ იმიტომ, რომ მათ სერიოზული პედაგოგები ჰყავდათ, ან საერთოდ სხვა, ძვირფასი ხილი იყო თეატრი და კინო. ათი წელი კინოში რომ არ გადაგიღებენ და ოცი წელი სცენაზე არ დადგები, რაზე უნდა ილაპარაკო?! აბსოლუტური სიბნელეა. ყველაფერს სჭირდება სტაბილურობა და მუშაობა.

რაღაც ინდოეთივით ვვითარდებით - ცოტაა ძალიან მდიდარი და ძალიან ბევრი - ძალიან ღარიბი. ინდოეთში მილიარდი არიან და მათ მიწაზე ბევრი გველია, თავის სარჩენად ათასი ჯურის "კომპრაჩიკოსებს" აწარმოებენ, რა ადამიანის უფლებები, რის უფლებები. თურმე იქ ბავშვებს სპეციალურად ასახიჩრებენ, აჭრიან ხელ-ფეხს, მიდის კონკურენცია, ვინ უფრო ორიგინალურ სახიჩარს მოიფიქრებს, რომ ტურისტის გული შეაფრთხიალოს... ჩვენ ხომ არა გვყავს ამდენი გველი და ჯერ არც სახიჩარწარმოება არ დაგვიწყია, ადამიანის უფლებების დამცველებიც გვყავს.

ძალიან მაინტერესებს ბრიტნი სპირსმა ნოტი არ იცისო და ქართველმა მსახიობებმა, გინდათ თუ არა, "მარშრუტკით" იარეთო და ქუჩაში მშიერი ბავშვი რომ მოგაშვერს თითს, "აი, ბაში აჩუკიო", იმას "ბულკი" ვერ უნდა უყიდოო. მიგვიშვან ღუმელთან და ნახავენ, რომ მსოფლიოს ტოლს არ დავუდებთ.

ალბათ, მოვა დრო და თუ არ მოვა, მაშინ ვაი, ჩვენს პატრონს.

ნესტან კვინიკაძის სვეტი

## ისეთი წიგნი მინდა დავწერო...



გადავიფიქრე, მოგიყვეთ იმის შესახებ, თუ როგორ კარგავს სახეს ევროპა; როგორ დუღს "პომპიდუს ცენტრი" ულტრათანამედროვეობით; როგორ გამოიყურება პარიზი ახალი წლის შემდეგ.

მინდა, შევეხო თანამედროვე ქართული ლიტერატურის პროცესს.

2003 წელს ანა კორძაია-სამადაშვილს საუკეთესო დებიუტისთვის ლიტერატურული პრემია "საბა" გადასცეს. ბაგეზე ღიმილმოდებულმა ანამ, გვერდით მდგომ ორ მწერალ მამაკაცს უთხრა: ახლა მაინც ამიყვანეთ ხელშიო. ერთმა თქვა დისკი მაქვს ამოვარდნილი, მეორემ ხელი მტკივაო. არაფერი მსმენია ამაზე უფრო სასაცილო და იმავდროულად სიმბოლური.

არც ის ყოფილა შემთხვევითი, ამას წინათ, სრულიად დაუგეგმავად, ერთ-ერთი ჩინებული მწერლის წიგნის პრეზენტაციაზე რომ აღმოვჩნდი. აღშფოთება ვერ დავმალე - ასეთი პრეზენტაციების დრო რომ წავიდა, ეს ხომ ფაქტია?! მწერალს მოქნილობას ვერ ატყობდე; სადღეგრძელოს ფორმით მოწოდებული საქებარი სიტყვები, ეს ყველაფერი ადრესატს ხომ ფიზიკურად ვეღარ პოულობს?

ორი ომი; დუხჭირი ცხოვრება; ზოოპარკში ატირებული ცხოველები; მთაში სტერილურად შემონახული ტრადიციების ფანტასმაგორია; ბარში ხელთათმანიანი ხელით შევსებული კროსვორდები; შიში; შიმშილობა; "გოდოს მოლოდინი" და კიდევ უამრავი დეტალი, რაც რატომღაც საკმარისი ვერ აღმოჩნდა იმისთვის, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე უახლეს ლიტერატურაში სათქმელს ფორმა მოეძებნა და ენერგეტიკით ის მუხტი გამოეწვია, რაც ჩვენამდე კარგა ხნით ადრე უშფოთველ საზღვარგარეთში აღმოცენდა.

როდესაც სხვაგან გმირის ხასიათი აპოკალიპსის მოასწავებდა, ჩვენთან "ზაპოის" შედეგად ინერციით მოსული მოჩვენებები დადიოდნენ. ჩვენი გმირები ძალიან "არამოდურები" აღმოჩნდნენ, არა მარტო "უცხოელების" ფონზე, გნებავთ, ალუდა ქეთელაურთან გაავლეთ პარალელი. ისე რა საჭიროა შედარებები, საკუთარ გულებში ჩავიხედოთ.

ჩვენთან შესანიშნავად წერენ. ასე იყო ყოველთვის. სამ მილიონამდე დათვლილ ქართველში ოცზე მეტი კარგი მწერალი შეიძლება ზედმეტიც კი იყოს, მაგრამ რა ითქვა?

გასულელებული, გროტესკში გატარებული გმირების ამბები; თბილისელების თავგადასავლები; აზიაში მოგზაურობის სახელმძღვანელოები; ცოტაც ავტობიოგრაფია და პერცებციები...პერცებციები...

ეს ყველაფერი შესანიშნავად იყო შესრულებული. მაგრამ ახლა არც ის დრო დგას, მწერლობა ფეხს რომ იდგამდა და საშემსრულებლო მანერით ხიბლავდა მკითხველს, და არც ის - მკითხველთან გარიგება ორიგინალური გზით აქტუალური რომ იყოს: გნებავს, ბოლოდან დაიწყე კითხვა, გნებავს შუიდან.

დღეს ბევრს კამათობენ პაოლო კოელიოს არნახული წარმატების შესახებ. ფაქტი ერთია: მილიარდ, განწირულობით შეშინებულ მკითხველს კოელიოში ყველაზე მეტად ხიბლავს ოპტიმიზმი. ოპტიმიზმი როგორც ხელმოსაკიდი ხავსი. ეს კი სულაც არ გახლავთ ერთ დროს როკით გატაცებული ბრაზილიელის დადებითი სვლა. მილიონერი მწერალი, რომელმაც არც კი იცის რაში დახარჯოს ეს ფული, რადგან ასაკი არც ახალი სასიყვარულო სამკუთხედის, არც კოკაინით თავის გართობისთვის უწყობს ხელს, ზის კოპაკაბანაში კეთილი ჯადოქარივით, წერს წიგნებს სიყვარულზე და ამასობაში სრულიად გაუაზრებლად გემოვნებას უფუჭებს მათ, ვის ენაზეც ითარგმნა ეს წიგნები. და თუ რამდენ ენაზეა თარგმნილი, ერთი სიტყვით, დიდი სიყალბე, ნებისმიერ საიტზე მოიპოვებთ ინფორმაციას.

რა შუაში იყო ასეთ სიღრმეზე გადახვევა, არც კი ვიცი, მაგრამ იმას მოგახსენებდით, რომ სიტყვები, რომელსაც ხშირად ვისმენთ წვეულებებზე სადღეგრძელოს ფორმატით, ისე გვიჩუყებს გულს, რომ ჩვენივე სენტიმენტალობის ჩვენვე გვეუხერხულება, სათქმელმა კი მაინც ვერ გადაკვეთა გულის რადიუსი.

დრო დაჩქარდა და არავის ელოდება. ადრე ბერდებიან მშობლები და ვიდეო იმიჯებივით იცვლება პოლიტიკური, ეკონომიკური თუ დაპირისპირებული მხარეების პოზიციები. სანამ ჩვენ ამ ტემპს დავეწევით, უკვე დაიკავებენ "პოეტურ სამეფოს", დაიკავებენ ყველაზე აყვავებული და აუყვავებელი პროვინციებიანად, და ის ქვეყნები, საუკუნეების წინ ომებს რომ ვუგებდით, დღეს რომ ჩვენზე კარგად გრძნობენ თავს, კიდევ უფრო გაძლიერდებიან და წარსულიანად მუშახელად გვაქცევენ.

როგორ კი არა, რა დავწეროთ?

ტექსტის დასაწყისში ანა კორძაია-სამადაშვილის ამბავი მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ მოვიყვანე, რომ სიმბოლო შეგვეგრძნოთ და თან გაგღიმებოდათ, რადგან როგორც ამ ამბის მთხრობელისაგან შევიტყვე, "საბას" ლაურეატ ქალბატონს ეს სრულებითაც არ სწყენია.

როცა არ იცი, რა დაწერო, ჯობია, შეყვარებულის სახელით გაავსო რვეული, ეს უფრო შთამბეჭდავი მგონია, ვიდრე იმ უცხოელი ტურისტის ისტორიის კითხვა, საქართველოში რომ მოხვდა შემთხვევით, და უშუქობა ეგზოტიკად აღიქვა. ჰა, ჰა, ჰა, ძალიან სასაცილოა.

ჩემთვის "მათი" ქვეყნებია ეგზოტიკა, რომელთა შესახებ, მათგან განსხვავებით, იმდენი ინფორმაცია მაინც მომეპოვება, რომ იქ ჩასულს არაფერი გამიკვირდეს.

მერე ვიფიქრე - რაღა ამ შემოქმედ ხალხს უყენებ ბრალდებას, წერა-კითხვის მეტი არაფერი რომ უკეთებიათ. ავდგები და მე თვითონ დავწერ ასეთ წიგნს! აი, რატომ აღარ გიყვებით პარიზული ვოიაჟის შესახებ. მინდა, თავი მოვუყარო ყველაფერს, რაც იყო და უმარტივესი ფორმით მოგართვათ. ერთი სიტყვით, "ისეთი წიგნი მინდა დავწერო", თქვენც რომ ელოდით.

ინფოთეკა

## "არსენალს" ზურგში დანა ჩასცეს

ლონდონის "არსენალის" ვიცე-პრეზიდენტმა დევიდ დეინმა აღშფოთება გამოხატა ეშლი კოულის საქციელის გამო. საქმე ის გახლავთ, რომ გასულ კვირას ინგლისის ნაკრების მცველი თავისი ამჟამინდელი კლუბისგან ფარულად მოლაპარაკებებს აწარმოებდა "ჩელსის" ხელმძღვანელობასთან. უფრო კონკრეტულად კი, კოული, რომელსაც "მეთოფეებთან" კონტრაქტის ვადა 2007 წლამდე აქვს, რამდენჯერმე შეხვდა "ჩელსის" ვიცე-პრეზიდენტს პიტერ კენიონსა და მთავარ მწვრთნელს ჟოზე მოურინიოს. როგორც ჩანს, საუბარი ეშლის შესაძლო გადასვლას შეეხებოდა. გაზეთ "News of the World"-ის ცნობით, ფეხბურთელმა, რომელიც "არსენალში" კვირაში 27 ათასს გირვანქა სტერლინგს იღებს, "ჩელსის" თანხის სამჯერ გაზრდა მოსთხოვა.

ეს ამბავი "არსენალმა" მაინც გაიგო და საშინლად გაბრაზდა.

"ჩვენ ძალიან სერიოზულად ვეკიდებით ამ ინფორმაციას. კარგი იქნებოდა, კოულისა და "ჩელსის" შეხვედრის სამხილები მოგვეპოვებინა," - განაცხადა დეინმა.

## მსაჯს თანამზრახველებიც ჰყოლია

გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ტეო ცვანციგერმა განაცხადა, რომ შესაძლებელია, გერმანელი არბიტრის რობერტ ჰოიცერის ირგვლივ ატეხილ სკანდალში ფეხბურთელებიც იყვნენ გარეულები.

"ჩვენდა სამწუხაროდ, არ შემიძლია, ეს ვერსია გამოვრიცხო," - განაცხადა ცვანციგერმა გერმანულ გაზეთ "Stuttgarter Nachrichten"-თან საუბარში.

კონკრეტული გვარები ჯერჯერობით არ სახელდება.

## რონალდო გულისხმიერებას ითხოვს

მადრიდის "რეალის" ფორვარდმა რონალდომ ერაყელ მებრძოლებს ტყვედ აყვანილი ბრაზილიელი ინჟინრის ჟუან ჟოზე ვასკონსელუს გათავისუფლებისკენ მოუწოდა.

ბრაზილიის ერთ-ერთი წამყვანი არხის საინფორმაციო გადაცემაში ფეხბურთელმა იმედი გამოთქვა, რომ "მისი მიმართვა აუცილებლად მიაღწევს გამტაცებელთა გულებს". ისინი ადამიანობას გამოიჩენენ და მის თანამემამულეს ტყვეობიდან გამოუშვებენ.

რონალდოს მიმართვა არაბულ ტელეარხებზე უკვე ტრიალებს.

გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობს პელესა და რონალდინიოსთანაც, რათა მათაც მიბაძონ რონალდოს და თანამემამულეს დაეხმარონ.

## რა მოელის კლუბს?

2003-2004 ფინანსურ წლებში ლონდონის "ჩელსის" ზარალმა მისი ისტორიის მანძილზე რეკორდული თანხა შეადგინა - 88 მილიონი გირვანქა სტერლინგი (166 მილიონი დოლარი). ამ პერიოდში კლუბის შემოსავალი 152 მილიონი გირვანქა სტერლინგი იყო.

გაიზარდა "ჩელსის" ხარჯები. მხოლოდ ფეხბურთელების ყიდვისთვის 175 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაიხარჯა. ორჯერ გაიზარდა მათი ხელფასებიც - 115 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინა (შედარებისთვის - "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელებს იმ პერიოდში 77 მილიონ გირვანქა სტერლინგს უხდიდნენ).

"ბიბისის" ცნობით, "რომელიმე სხვა ბრიტანული კლუბისთვის მსგავსი მასშტაბის ფინანსური დისბალანსი დამღუპველი იქნებოდა, მაგრამ "ჩელსი" სხვაა. იგი უფრო ძლიერია".

დღესდღეობით გულშემატკივრებს ერთი მეტად მნიშვნელოვანი შეკითხვა აწუხებთ: რა ეშველება კლუბს იმ შემთხვევაში, თუ რუსი ბიზნესმენი დაკარგავს მის მიმართ ინტერესს. თუმცა, "ჩელსის" აღმასრულებელი დირექტორი პიტერ კენიონი დარწმუნებულია, როცა რომან აბრამოვიჩმა კლუბის შეძენის გადაწყვეტილება მიიღო, მას უკვე გაცნობიერებული ჰქონდა ის, რომ იგი ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად უნდა ექცია. "რომანი კლუბში დიდი ხნით მოვიდა," - განაცხადა მან და ასევე დაამატა, რომ ხარჯების შესაკვეცად ხელმძღვანელობამ გუნდში შემავალი ფეხბურთელების რაოდენობა ოცდაოთხამდე შეამცირა: "ჩვენი გუნდი ძალიან დიდი და ძვირად ღირებული იყო".

ფეხბურთი

# მესამე მარცხი

## "დინამო" სამშობლოში დაბრუნდა

მიხეილ აბაიშვილი




გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*კვიპროსულ შეკრებაზე "დინამომ" ერთადერთი გამარჯვება მოიპოვა.*

თბილისის "დინამომ" დაასრულა პირველი საზღვარგარეთული 10-დღიანი საწვრთნელი შეკრება კვიპროსის ქალაქ აიანაპაში და გუშინ სამშობლოში დაბრუნდა. გამომგზავრების წინ გეგუჩაძის გუნდმა მეხუთე მატჩი გამართა, ამჯერად რუმინეთის უმაღლესი ლიგის კლუბთან "არჯეშ რომენიასთან". "დინამო" ამ შეხვედრაშიც დამარცხდა და მკვეთრად უარყოფითი ბალანსით დაბრუნდა შინ.

**დინამო - არჯეშ რომანია 2:3 (1:2)**

**გეგუჩაძემ ტაიმები სხვადასხვა შემადგენლობით ჩაატარა. პირველ ტაიმში "დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მამალაძე, შაშიაშვილი, გიგაური, ჭიჭვეიშვილი, ხმალაძე, კაშია, კანკავა, გრიგალაშვილი (შალამბერიძე, 20`), კაკალაძე, დვალიშვილი, მელქაძე.**

**"დინამოს" შემადგენლობა მეორე ტაიმში: ზოიძე, ჭელიძე, სილაგაძე, სალუქვაძე, კვირკველია, ნოზაძე, კანდელაკი, ნემსაძე, ქუცურუა, რომერო, დვალი. მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე. ტაქტიკური განლაგება: 4-3-3**

მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ქართველი ფეხბურთელები უფრო აქტიურობდნენ და თამაშსაც აკონტროლებდნენ. თუმცა, ეს მატჩის შედეგზე ვერ აისახა. პირველი სახიფათო შეტევა "დინამომ" განახორციელა, თუმცა, გრიგალაშვილის კარგი დარტყმა რუმინელთა მეკარემ მოიგერია. მე-20 წუთზე კი ანგარიში გაიხსნა: "არჯეშის" თავდამსხმელმა ტანასამ "დინამოს" საჯარიმო მოედანთან მიიღო ბურთი, კორპუსით კარგადაც დაფარა და მამალაძისგან შორს, კუთხეში ძლიერად დაარტყა. კიდევ ხუთ წუთში კრეპერიცამაც გაიტანა გოლი და მასპინძლები ორბურთიანი სხვაობით დაწინაურდნენ. 34-ე წუთზე "დინამოს" ლამაზი და შედეგიანი შეტევა გამოუვიდა: კაკალაძის ჩაწოდების შემდეგ მელქაძემ მოიგო საჰაერო ორთაბრძოლა, ბურთი თავით დაუგდო შალამბერიძეს, რომელმაც ზუსტად დაარტყა. ასე დასრულდა პირველი ტაიმი, რომელშიც "დინამომ", იმის გარდა, რომ ორი გოლი გაუშვა, ერთი ფეხბურთელითაც იზარალა: გრიგალაშვილმა, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ მოირჩინა ფეხი, ისევ მტკივანი ფეხი იღრძო - ის გაურკვეველი ხნით გამოაკლდება გუნდს.

მეორე ტაიმში მსაჯმა "დინამოს" კარში საეჭვო თერთმეტმეტრიანი დანიშნა: მან ჩათვალა, რომ მაღალი ბურთისთვის ბრძოლისას სალუქვაძემ წესი დაარღვია. პენალტი ზუსტად შეასრულა სალამ და ორბურთიანი სტატუს კვოც აღადგინა. ეს 62-ე წუთზე მოხდა. დარჩენილ დროში "დინამომ" ისღა მოახერხა, რომ ისევ მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა. კერძოდ, 81-ე წუთზე კვირკველიას და ქუცურუას მიერ წამოწყებული კომბინაცია დვალმა გოლით დააგვირგვინა.

შეგახსენებთ "დინამოს" მიერ კვიპროსზე ჩატარებული წინა მატჩების შედეგებს: "დინამო" - "ცრვენა ზვეზდა" (ბელგრადი) 1:5, "დინამო" - "ლუჩ ენერგია" (ვლადივოსტოკი) 1:2, "დინამო" - "სარტიდი" (სერბეთი) 0:0, "დინამო" - "აელი" (ლიმასოლი) 2:1.

3 თებერვალს "დინამო" მეორე უცხოურ საწვრთნელ შეკრებაზე, ესპანეთში გაემგზავრება. იქ "დინამო" მონაწილეობას მიიღებს "მარბელას თასად" წოდებულ საერთაშორისო ტურნირში და საკმაოდ სერიოზულ მეტოქეებს - მოსკოვის "სპარტაკს", დონეცკის "შახტარს" და სანკტ პეტერბურგის "ზენიტს" დაუპირისპირდება. ტურნირს მალიორკა უმასპინძლებს.

ჩოგბურთი

# საფინი პირველია... უილიამსიც





**ვაჟები, ფინალი:**

| | |
|---|---|
| მარატ საფინი (რუსეთი, 4) - ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 3) | 1:6, 6:3, 6:4, 6:4 |

**ქალები, ფინალი:**

| | |
|---|---|
| სერენა უილიამსი (აშშ, 7) - ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1) | 2:6, 6:3, 6:0 |

რუსმა მარატ საფინმა მესამე ცდაზე მაინც მოახერხა და ავსტრალია დაიპყრო. ის მწვანე კონტინენტის ჩემპიონი გახდა. ფინალში რუსეთის საუკეთესო ჩოგბურთელმა ოთხ სეტში,

1:6, 6:3, 6:4, 6:4 დაამარცხა მესამე ნომრად განთესილი ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი.

ავსტრალიის ღია ჩემპიონატის წლევანდელი ფინალი რუსისთვის რიგით მესამე გახდა. პირველი ორი ცდა 2002 და 2004 წლებში წარუმატებლად დასრულდა. პრინციპში, ჰიუიტთან შეხვედრამდე თვითონ საფინმაც აღიარა, რომ ორივე მარცხი სავსებით კანონზომიერი იყო.

"პირველად, უბრალოდ, გამოცდილება არ მეყო იმისთვის, რომ ფსიქოლოგიური პრესინგი დამეძლია, - განაცხადა საფინმა, - არ მეგონა, რომ იუჰანსონთან მომიწევდა დაპირისპირება. ფავორიტად ყველა ერთხმად მასახელებდა და მეც დავიჯერე. სწორედ ამან დამღუპა. შარშან კი ძალიან დავიღალე და თავიდანვე არ მწამდა, რომ გავიმარჯვებდი. ამჯერად ისტორია ცოტა სხვაგვარი იყო".

ისტორია მართლაც ცოტა სხვაგვარად განვითარდა. ამის ნათელი დასტური იყო საფინის გამარჯვება მსოფლიოს პირველ ჩოგან როჟე ფედერერზე, რომელსაც 26-მატჩიანი შთამბეჭდავი, წაუგებელი სერია შეუწყდა. ამ გამარჯვებით აღფრთოვანებას ვერც მარატ საფინი ფარავდა. ის ამბობს, რომ მატჩს დიდხანს ვერ დაივიწყებს. "მე გავიმარჯვე ერთ-ერთ ყველაზე უხერხულ მეტოქესთან, - აღნიშნავს საფინი, - შემიძლია ვთქვა, რომ ფედერერი სამართლიანად მიიჩნევა მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელად".

თუმცა, საფინის ბოლო ოპონენტი არა ფედერერი, არამედ ტურნირის მასპინძელი ლეიტონ ჰიუიტი იყო. ეს ჩოგბურთელები 10-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და 5-5-ჯერ გაიმარჯვეს. მათი ბოლო რანდევუ გასული წლის ნოემბერში შედგა. მაშინ საფრანგეთის მასტერსის მეოთხედფინალში გამარჯვება საფინს დარჩა (მან ტურნირი მოიგო).

კაცმა რომ თქვას, კვირას მწვანე კონტინენტის წარმომადგენელს უპირატესობა ჰქონდა. ის მშობლიურ კორტებზე, გულშემატკივართა მხურვალე მხარდაჭერის პირობებში თამაშობდა. საფინი ამ მხარდაჭერის ფონზე ცდებოდა, მაგრამ ჟინი ერთი წუთითაც არ დაუკარგავს.

არადა, საფინს გული უნდა გასტეხოდა. ძნელი სათქმელია, რამ გამოიწვია შეცდომები. შეიძლება ის, უბრალოდ, თამაშში ვერ ჩაერთო, მაგრამ პირველი სეტი აშკარად ჩააგდო. გაახერხა რა ბრეიკი, პირველივე გეიმში ჰიუიტმა რუსს გასაქანი აღარ მისცა და სადებიუტო პარტია თავის სასარგებლოდ - 6:1 დაასრულა. საფინმა 13 უნებლიე შეცდომა დაუშვა და არც განთქმული მოწოდებები მისდიოდა მაინცდამაინც ზუსტად.

მეორე სეტში სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. საფინმა თამაშის რიტმი შეიგრძნო და მეტოქე აიძულა, შეცდომები დაეშვა. ბოლოს და ბოლოს, საფინმა მოწოდებების ხარისხიც გამოასწორა და თავისი თამაში დაიწყო. სეტში გადამწყვეტი გამოდგა მეხუთე გეიმი, როცა საფინმა მეტოქის მოწოდება მოიგო.

რუსი სულ უფრო ემსგავსებოდა სამი დღის წინანდელ საფინს, რომელმაც თვით როჟე ფედერერი დაამარცხა, ახლა კი ჰიუიტიც აიძულა, პოზიციები დაეთმო. მეორე სეტის ანგარიშია - 6:3 საფინის სასარგებლოდ და მატჩში წონასწორობა აღდგა.

მესამე სეტი გადამწყვეტი აღმოჩნდა მთლიანად მატჩის მსვლელობაში. ჰიუიტმა ჯერ ბრეიკი გაახერხა, შემდეგ თავისი მოწოდებებიც მოიგო და - 3:0 დაწინაურდა. შემდგომში ანგარიში - 4:1 იყო ავსტრალიელის სასარგებლოდ. თითქოს ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ ამჟამინდელი საფინი სწორედ იმით განსხვავდება შარშანდელისგან, რომ თითქმის გამოუვალ მდგომარეობაშიც გამოსავალს პოულობს. ადრე საფინი ასეთ მატჩს უბრალოდ ჩაამთავრებდა. ახლა კი ყოველი ქულისთვის შეუპოვრად იბრძოდა და შედეგსაც მიაღწია.

რუსმა ანგარიში გაათანაბრა. ასეთ სიტუაციაში კი ის, უბრალოდ, დაელოდა, როდის უმტყუნებდა ნერვები ჰიუიტს, რომელსაც სეტი უკვე მოგებული ეგონა. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი გამოდგა მერვე გეიმი, რომელშიც ჰიუიტმა ორმაგი შეცდომა დაუშვა და საფინს მოწოდება დაუთმო. ამ ნერვების ბრძოლაში რუსმა ზედიზედ ხუთი გეიმი და მასთან სეტიც მოიგო - 6:4.

მეოთხე სეტის დაწყების წინ ჰიუიტმა გადაწყვიტა, შეესვენა და ტაიმ-აუტი აიღო, მაგრამ ამან ავსტრალიელს ხეირი ვერ დააყარა. ჰიუიტმა თავისი პირველივე მოწოდება დათმო. თუმცა, გამარჯვების მისაღწევად საფინს ჯერ კიდევ დიდი ოფლისღვრა ელოდა. ანგარიში ჰიუიტისთვის დიდად მნიშვნელოვანი არ იყო. მისთვის ღირსეული თამაში გადავიდა წინა პლანზე. თუმცა, საფინი სეტის ბოლოს უფრო იღბლიანი გამოდგა. მან მატჩი პირველივე მატჩ-ბოლით მოიგო. ეს გამარჯვება მარატ საფინისთვის მეორე იყო "დიდი სლემის" ტურნირებში. 2000 წელს რუსმა ჩოგბურთელმა აშშ-ის ღია ჩემპიონატი მოიგო.

დიდი მოულოდნელობები დატრიალდა ქალთა ერთეულის ფინალშიც. აქ ამერიკელები სერენა უილიამსი და მსოფლიოს პირველი ჩოგანი ლინდსი დევენპორტი შეხვდნენ ერთმანეთს. უმცროსმა უილიამსმა აშკარად დაჯაბნა თავისი სახელოვანი თანამემამულე და ღირსეული გამარჯვება მოიპოვა - 2:6, 6:3, 6:0, მაგრამ თავიდან ისე ჩანდა, რომ შავკანიანს არაფერი ეშველებოდა.

მატჩის დებიუტში ვერავინ იფიქრებდა, რომ სერენას მოგება შეეძლო. ლინდსის უძლიერესი დარტყმების წინაშე მას არგუმენტები არ ჰქონდა. შედეგად დევენპორტმა პირველი სეტი უაღრესად იოლად - 6:2 მოიგო.

სამაგიეროდ მეორე სეტში სერენა თითქოს გამოცვალესო, აბსოლუტურად სხვაგვარად ათამაშდა. ანგარიში 3:3 იყო და დევენპორტი - 40:0-ს იგებდა, მაგრამ სერენამ არა მარტო ქულა გადაარჩინა, არამედ ზედიზედ მოიგო მომდევნო სამი გეიმი. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ლინდსი დევენპორტმა თამაშის სადავეები დათმო. უილიამსი კი კორტზე იმას აკეთებდა, რაც სურდა - 6:3.

სერენა თვითონ ამბობდა, რომ მატჩის დროს მას ძალიან სტკიოდა ზურგი. ამის გამო ის ერთხანს თამაშის შეწყვეტაზეც კი ფიქრობდა, მაგრამ ბოლოს ტკივილი მაინც მოითმინა. "ამ ტკივილს გავუძელი და გამარჯვება მოვიპოვე," - ღიმილით განაცხადა უილიამსმა.

მესამე სეტში კი ბრძოლა საერთოდ არ შედგა. - 6:0 და სერენა უილიამსმა ლინდსი დევენპორტი გაანადგურა. უმცროსი უილიამსი ავსტრალიის ღია ჩემპიონატის გამარჯვებულია. შეგახსენებთ, რომ 2003 წლის შემდეგ ეს სერენა უილიამსისთვის "დიდი სლემის" პირველი ტიტულია. ბოლოს მან უიმბლდონის ტურნირი მოიგო. სწორედ 2003 წელს გაიმარჯვა უილიამსმა ავსტრალიის ღია ჩემპიონატზეც. ასე რომ, ეს მისთვის პირველი გამარჯვება არ არის მწვანე კონტინენტზე.

ინფოთეკა

## საბერძნეთი ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის იბრძვის

საბერძნეთის ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ჩატარების უფლების მოსაპოვებლად ფეხბურთის ასოციაციის ინიციატივას.

მოსალოდნელია, რომ ოფიციალური განცხადება უახლოეს დღეებში გაკეთდება. სხვა კანდიდატებისგან განსხვავებით, საბერძნეთს შემდეგი უპირატესობები აქვს: 2004 წლის ოლიმპიადაზე მოპოვებული წარმატებები, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, თანამედროვე სტადიონების არსებობა. გარდა ამისა, საბერძნეთის ეროვნულმა ნაკრებმა გასული წლის ივლისში სენსაცია მოახდინა, როცა ევროპის ჩემპიონატი მოიგო და ელიტარულ ევროპულ გუნდთა რიგებში შევიდა.

## ბექჰემის ბურთი იყიდება

ბურთი, რომლითაც ინგლისის ნაკრების კაპიტანმა დევიდ ბექჰემმა ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩის დროს პორტუგალიელთა კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა წარუმატებლად შეასრულა, ინტერნეტ-აუქციონზე "Ebay" გასაყიდადაა გამოტანილი. ასე რომ, გულშემატკივრებს საშუალება მიეცემათ, საკუთარი კერპის ბურთს ფეხი დაარტყან.

## რომარიო უკმაყოფილოა

1994 წლის ჩემპიონი, ბრაზილიელი ფეხბურთელი რომარიო თავისი ყოფილი გუნდის "ფლუმინენსეს" ხელმძღვანელობას 500 ათასი დოლარის გადახდას სთხოვს. ბრაზილიის სპორტული გაზეთის "Lance"-ს ცნობით, ფეხბურთელი კლუბს 2003-2004 წლებში კონტრაქტის მიერ გათვალისწინებული რამდენიმე პირობის დარღვევაში ადანაშაულებს.

ცნობილია, რომ რომარიომ "ფლუმინენსე" 2004 წელს დატოვა.

## "ვალენსია" ედუს მოსაპოვებლად დაცდას ამჯობინებს

"Tribalfootball"-ის ცნობით, "ვალენსიას" მთავარმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ განაცხადა, რომ ბრაზილიელი ნახევარმცველი ედუ სეზონს "არსენალში" დაასრულებს. "99 პროცენტით დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში ედუ "ვალენსიაში" არ გადმოვა. "არსენალი" ნახევარმცველში დიდი თანხის გადახდას ითხოვს, ჩვენ კი ამდენს ვერ გადავიხდით. სეზონის დასასრულისთვის ედუ დამოუკიდებელი გახდება. აი, მაშინ შევეცდებით მის ყიდვას," - აღნიშნა რანიერიმ.

## წყლის არხში მოლივლივე 150 ათასი დოლარი

ცამეტი წლის იაპონელმა ბიჭმა ფეხბურთის თამაშის დროს 150 ათას დოლარი იპოვა და მაშინვე შეატყობინა მწვრთნელს, რომელმაც, თავის მხრივ, პოლიცია ჩააყენა საქმის კურსში. მწვრთნელის თქმით, თავიდან ფული ყალბი ეგონა, თუმცა, მოგვიანებით პოლიციამ საპირისპირო დაამტკიცა.

თუ ნახევარი წლის განმავლობაში ფულის ნამდვილ მფლობელს ვერ იპოვიან, მაშინ თანხის ნაწილი მპოვნელს გადაეცემა.

## ანელკა თურქეთშია

ამჟამად 25 წლის "მანჩესტერ სიტის" ყოფილი თავდამსხმელი ნიკოლა ანელკა, რომელიც სტამბულში იმყოფება, "ფენერბახჩესთან" კონტრაქტის გაფორმებას ელოდება. თურქული გუნდი მზადაა, ფეხბურთელში შვიდი მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს.

## ჯერარდი მომავალზე ფიქრობს

"ლივერპულის" ფეხბურთელი სტივენ ჯერარდი დაუბრუნდა სხვა კლუბში გადასვლის თემას. ნახევარმცველმა "ბიბისისთან" ინტერვიუში განცხადა, რომ აპირებს, თავის მომავალთან დაკავშირებით სერიოზული გადაწყვეტილება მიიღოს.

"რა თქმა უნდა, ჩემთვის სასიამოვნოა, რომ ჩემით წამყვანი ევროპული კლუბები დაინტერესდნენ. თუმცა, ამჟამად არანაკლებ ღირსეულ გუნდში ვთამაშობ. ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია, სად გავაგრძელებ კარიერას, მაგრამ სეზონის დასასრულისთვის, ალბათ, უკვე მეცოდინება".

შეგახსენებთ, ანელკას ყიდვის მოსურნე კლუბებს შორისაა ლონდონის "ჩელსი" და მადრიდის "რეალი".

*ინფოთეკა*

### ელბერი "ლიონიდან" მიდის

გერმანული კლუბის "ბავარიას" ყოფილმა ფეხბურთელმა, ცნობილმა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ჯოვანე ელბერმა საფრანგეთის "ლიონთან" გაფორმებული კონტრაქტი გაწყვიტა და თავისუფალი აგენტის სტატუსი მოიპოვა.

ამჟამად 32 წლის ბრაზილიელი შეთავაზებების მოლოდინშია.

### ბურდულმა "ალანიასთან" კონტრაქტი გააფორმა

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ლადო ბურდულმა ვლადიკავკაზის "ალანიასთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ქართველმა ფეხბურთელმა გუნდთან ერთად პირველი ვარჯიში გამართა. "ალანია" ამჟამად ინტენსიურად ემზადება რუსეთის ჩემპიონატისთვის და დღეში ორჯერად ვარჯიშებზეა გადასული.

### "მიდლსბრო" ჯერემისთვის იბრძოლებს

ინგლისური "მიდლსბროს" მთავარმა მწვრთნელმა სტივ მაკლარენმა განაცხადა, რომ დიდი იმედი აქვს ლონდონის "ჩელსის" მცველის ჯერემის ხელში ჩაგდების. ეს ტრანსფერი სატრანსფერო დერეფნის დახურვამდე უნდა განხორციელდეს.

"ჩვენ მთელი ორი დღე გვაქვს და ამ ტრანსფერზე დაძაბულ რიტმში ვმუშაობთ. "მიდლსბროს" აუცილებლად სჭირდება ახალი სისხლი, რადგან გუნდში ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელია".

### ბერბატოვი "ბაიერში" დარჩება

ბულგარეთის ნაკრების ფორვარდმა დიმიტარ ბერბატოვმა კონტრაქტი განაახლა ლევერკუზენის "ბაიერთან". შეთანხმება ორ წელიწადზეა გათვალისწინებული. ამ შეთანხმების მიხედვით, ფორვარდი, რომელსაც 24 წელი შეუსრულდა, ლევერკუზენში, სულ ცოტა, 2009 წლამდე დარჩება. "მე ბედნიერი ვარ და მთავარიც სწორედ ეს არის," - განაცხადა ფეხბურთელმა.

### ბოჟინოვს "ჩელსი" აწყობს

იტალიის "ლეჩეს" ფორვარდი ვალერი ბოჟინოვი აცხადებს, რომ მზად არის, ზაფხულში მოსკოვის ცსკა-ში გადავიდეს, ოღონდ იმ პირობით, თუ შემდგომში ლონდონის "ჩელსიში" აღმოჩნდება. "მე არ მინდა, ცსკა-სთან კონტრაქტს მოვაწერო ხელი და შემდეგ საშუალება არ მქონდეს, რომელიმე იტალიურ გრანდში ან ლონდონის "ჩელსიში" გადავიდე. მე ასეთ ვარიანტს დავთანხმდებოდი - ხელი მომეწერა "ჩელსისთან" კონტრაქტზე და შემდეგ მოსკოვის ცსკა-ში იჯარით გადავსულიყავი. მაშინ მეცოდინება, რომ ოდესმე საშუალება მექნება, ლონდონურ კლუბში მოვსინჯო ჩემი ძალა," - განაცხადა ბოჟინოვმა. ცსკა ფეხბურთელის სანაცვლოდ 8,3 მილიონ გირვანქა სტერლინგს იძლევა.

### ჰინგისი დასაბრუნებლად ემზადება

შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი მზად არის, კორტებს დაუბრუნდეს. ის აპირებს, ძალა მოსინჯოს Volvo Women's Open-ის ტურნირში, რომელიც დღეს იწყება. აღსანიშნავია, რომ ჰინგისი კორტზე 2002 წლის შემდეგ აღარ გამოჩენილა. პირველ შეხვედრაში ის გერმანელ მარლენ ვაინგარტნერს დაუპირისპირდება.

### პარიზი ფავორიტი არ არის

ლონდონი 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის იბრძვის. საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა ლორდმა სებასტიან კოემ განაცხადა, რომ ორგკომიტეტის წევრები დეპრესიაში არიან იმის გამო, რომ ესმით, პარიზს ფავორიტობაში ვერავინ შეეცილება.

ინკოგნიტო წყარომ კი გაავრცელა ინფორმაცია, რომ პარიზი ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის ბრძოლაში ძალიან წინ წავიდა. ამიტომ ისინი ელოდებიან, რომ ბრძოლას სწორედ საფრანგეთის დედაქალაქი მოიგებს. "პარიზი მართლაც ძლიერი მეტოქეა, მაგრამ ლონდონსაც აქვს კარგი პოზიციები. ჩვენ მოსამზადებლად კიდევ ექვსი თვე და ძალიან კარგად მოტივირებული გუნდი გვყავს. ჩვენ სწორი მიმართულებით მივდივართ", - განაცხადა კოემ.

*ძიუდო*

# მსოფლიო თასი ქართულად - სროლით დასრულდა

A1 გვერდიდან

თბილისური XXXII ტურნირი, რომელიც აქამდე A კატეგორიისა გახლდათ, ამიერიდან კი მსოფლიო თასად იწოდება, სპორტის სასახლე პირთამდე გაავსო - გულშემატკივართა დიდ ნაწილს პირველად მიეცა ზურაბ ზვიადაურისა და ნესტორ ხერგიანის ხილვის საშუალება.

პირველი დღე 60, 66 და 73 კილოგრამ წონით კატეგორიებს დაეთმო. გუშინ კი 81, 90, 100 და მძიმეწონოსნები ჩაერთნენ საქმეში. საქართველოს ნაკრები, როგორც მასპინძელი, თითოეულ წონაში ოთხი ძიუდოისტით გამოდიოდა. ვიხილეთ ქართული ფინალებიც და ილეთების კასკადიც.

რაც შეეხება სტუმრებს, ისინი ჩამოვიდნენ იაპონიიდან, საფრანგეთიდან, საბერძნეთიდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, ლიტვიდან, სომხეთიდან, კონგოდან, ბოსნია და ჰერცეგოვინიდან, ისრაელიდან, ყაზახეთიდან, უკრაინიდან. თუმცა, ძლიერი შემადგენლობებით გვეწვივნენო, ვერ ვიტყვით. იაპონიის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი იუკიმასა ნაკამურა კი, რომელიც ოლიმპიური ვერცხლის მედალოსანი და მსოფლიო ჩემპიონია, თბილისური ტურნირის დაწყებამდე აცხადებდა: პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის ვემზადებით და ამიტომ ჩამოვედით ახალგაზრდული შემადგენლობითო. თუმცა, იქვე დასძინა, ჩემი ბიჭები არაფრით ჩამოუვარდებიან ნაკრების იმ წევრებს, რომლებმაც ათენის ოლიმპიურ ტატამზე იასპარეზესო. ნაკამურას სიტყვებში, ალბათ, ეჭვიც არ შეგვეპარებოდა, რომ არა ის შედეგები, რასაც მათ მიაღწიეს. შედეგი კი ასეთი გამოუვიდათ. მძიმე წონაში ბრინჯაო და 81 კგ-ში გრიგოლ მამრიკიშვილთან წაგებული ფინალი. ნუგეშად გამოდგება თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ ჟურნალმა "გამბიტმა" მამრიკიშვილის მეტოქე ეიგო ნოსე კარგი ტექნიკისთვის დაწესებული სპეციალური პრიზით - ხმლით დაასაჩუქრა. სპეციალური პრიზი სხვაც ბევრი იყო, მაგრამ ამ მხრივ ყველაზე უხვი აღმოჩნდა ქვემო ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ მელიქიშვილი, რომელმაც ზვიად ჩინჩალაძეს, გრიგოლ შინჯიკაშვილსა და დავით კუპრაშვილს (პარლამენტარ გია ხევიაშვილის ხელით) ტელევიზორები გადასცა.

ბუნებრივია, ყველაზე მეტი ყურადღებით ხერგიანი და ზვიადაური სარგებლობდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბევრი მათ საცქერლად მივიდა სპორტის სასახლეში. ხერგიანმა ყველა ორთაბრძოლა ისე ჩაატარა, მეტოქეთათვის ქულა არ დაუნებებია. ცოტა ფინალი გამოდგა ჭირვეული და სანერვიული... ისიც, ალბათ, გულშემატკივართა წნეხის გამო, რომლებიც ხერგიანს უკიჟინებდნენ.



ბოგიტა ბუხაიძის ფოტო

პირველ დღეს ორი "ოქრო", ერთი "ვერცხლი" და ოთხიც "ბრინჯაო" მოვიპოვეთ. გუშინ ორი ქართული ფინალი გაიმართა, ჯერ 90 კგ წონაში, შემდეგ - მძიმეში. მძიმეწონოსნებმა ალექსი დავითაშვილმა და ლაშა გუჯეჯიანმა ურთიერთობის გარკვევას მეგობრულად ხელის ჩამორთმევა ამჯობინეს. საქმე ისაა, რომ წინა შეხვედრაში გუჯეჯიანმა ხელის მტევანი დაიშავა და ტრავმის გამიზეზებას მოერიდა.

რაც შეეხება 90 კგ წონითი კატეგორიის ფინალს, რაც მსოფლიო თასის კულმინაციაც გამოდგა, ზურაბ ზვიადაურს საკმაო ოფლის ღვრა დასჭირდა თანაგუნდელ ირაკლი ცირეკიძეზე გამარჯვებისთვის. ოლიმპიურმა ჩემპიონმა რამდენჯერაც ილეთი წამოიწყო, იმდენჯერვე თავი დაიძვრინა ცირეკიძემ. პირველი მოძრაობისას კი ზვიადაური კინაღამ საკუთარ ხაფანგში გაება. ის კი არა, ზვიადაური გააფრთხილეს კიდეც. დაპირისპირებამ 4 წუთსა და 19 წამს გასტანა და ზვიადაურის იპონით დასრულდა. მოგვიანებით ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა თქვა: "დარწმუნებული ვიყავი, რომ ზვიადაური მოიგებდა. ის, რომ ორთაბრძოლა საკმაოდ გაიწელა, მხოლოდ იმიტომ, რომ დასაწისში მეტოქეს ზვერავდა და ხელსაყრელ დროს ელოდა. თუმცა, ისე არ გაიგოთ, თითქოს ცირეკიძის შემართებას ვაკნინებდე. ირაკლი, უდაოდ, კარგი ძიუდოისტია და 80 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ ევროპის ჩემპიონატზე სწორედ მას ვაჭიდავებთ". საქმე ისაა, რომ ზვიადაური ევროპის პირველობას გამოტოვებს და მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოემზადება. ერთი გამონაკლისის გარდა - ხაბარელს ზვიადაური პარიზის სუპერთასზე მიჰყავს.

თავის მხრივ, ზვიადაურმაც დააფასა მეტოქე: "კარგი იქნებოდა, ფინალში თანაგუნდელს კი არა, უცხოელს დავჭიდებოდი. მე და ირაკლი ერთად ვჭიდაობთ და, აქედან გამომდინარე, ერთმანეთის ავ-კარგიც ვიცით. ამიტომაც გამიჭირდა მასთან ბრძოლა. გამარჯვებაში კი მაინც გამოცდილება დამეხმარაო".

სპეციალური პრიზის გარეშე არც ზვიადაური დარჩენილა. ბეჭდაუდებელი ფალავნის არსენ მოკოკიშვილის ვაჟმა გიორგიმ ოლიმპიურ ჩემპიონს დიდი თასი გადასცა. სახელმწიფო ტექნიკურმა უნივერსიტეტმა კი ქართული ხმალი უსახსოვრა.

რაც შეეხება "მაკაროვებით" ბათქაბუთქს, სრულიად შემთხვევით შევესწარი. ვერ გეტყვით, ვინ იყვნენ და რას აკეთებდნენ, მაგრამ ფაქტია: როცა იქაურობას ვტოვებდი, სპორტის სასახლიდან ვიღაც გაკოჭილი გამოაქანეს და ჯიპში ჩატენეს. შესაძლოა, ბევრს ეს ყველაფერი შეუმჩნეველი დარჩენოდა, მაგრამ იმ ვილაცებმა (ფორმა არ ეცვათ და ამიტომ მოვიხსენიებ ასე) იყვირეს, არ მოგვეკაროთო და ჰაერში რამდენჯერმე გაისროლეს. უცნაური იყო ისიც, რომ მომხდარს გაკვირვებული შეჰყურებდნენ პატრულის თანამშრომლები.

**ტექნიკური შედეგები:**

**60კგ.**
1. ნესტორ ხერგიანი
2. ნიჯათ შიხალიზადე (აზერბაიჯანი)
3. დავით ასუმბანი
3. დავით სიმონიშვილი

**66კგ.**
1. ზაზა კედელაშვილი
2. რამილ გასიმოვი (აზერბაიჯანი)
3. ზეზვა ებელაშვილი
3. აჰმედ ოულ საიდი (საფრანგეთი)

**73კგ.**
1. რომან მიშურა (რუსეთი)
2. დავით კუპრაშვილი
3. ტარიელ მინაშვილი
3. მუსეიბ ჯაფაროვი (აზერბაიჯანი)

**81კგ.**
1. გრიგოლ მამრიკიშვილი
2. ეიგო ნოსე (იაპონია)
3. ენტონი როდრიგესი (საფრანგეთი)
3. გიორგი ბაინდურაშვილი

**90კგ.**
1. ზურაბ ზვიადაური
2. ირაკლი ცირეკიძე
3. მინდია ბოდაველი
3. დავიდ ბოზუკლიანი (საფრანგეთი)

**100კგ.**
1. ასხაბ კოცოევი (რუსეთი)
2. გიორგი გუგავა
3. დიმიტრი ტურაშვილი
3. ლევან რაზმაძე

**მძიმე**
1. ალექსი დავითაშვილი
2. ლაშა გუჯეჯიანი
3. ჰიროაკი ტაკაჰაში (იაპონია)
3. ივერი ჯიქურაული

*სათხილამურო სპორტი*

# სუპერგიგანტებმა მსოფლიო ჩაისრიალეს

გიგა გურასაშვილი

*მსოფლიო ჩემპიონატის პირველობისთვის ალკაზმული სამთომოთხილამურეთა დესანტი შაბათიდან მოყოლებული ბორმიოსა და სანტა კატერინას ფერდობებზე ასპარეზობს. ამასობაში ამ დესანტს ორი გამარჯვებული გამოეყო, ჯერ - ვაჟებში, შემდეგ კი - ქალებში. შაბათს და კვირას სუპერგიგანტი გათამაშდა და სამეულებიც იმათ დაიკავეს, ვისაც უნდა დაეკავებინათ. რაკი ჩემპიონატი ვაჟებმა დაიწყეს, ჩვენც მათით დავიწყოთ. მსოფლიო ჩემპიონატები კი 1931 წლიდან იღებს სათავეს.*



მილერს აგრესიულობამ "ოქრო" მოუტანა.

იმას, თუ ვისგან უნდა ველოდოთ კვარცხლბეკზე ასვლას, შორს წასვლა და დიდი მისნობა არ სჭირდება. თუ ჩემპიონატის გამო შესვენებაზე გასულ მსოფლიო თასის გათამაშებათა ეტაპებს გადავხედოთ, აღმოვაჩენთ, რომ ვაჟთა შორის საუკეთესო სამეულები თორმეტ ქვეყანაზე მოდის. რა თქმა უნდა, იმ თორმეტეულსაც ჰყავს თავისი ზესახელმწიფო, რომელიც მკვეთრად გამოირჩევა სხვათაგან. ეს ავსტრიული სკოლაა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბორმიოს ფერდობებზე ავსტრიელები ისე დასრიალებენ, როგორც მშობლიურ ტრასებზე, ნუ გაგიკვირდებათ, თუ საუკეთესო სამეულების გვარების გასწვრივ ავსტრია იქნება მითითებული. დასტური: 29 დეკემბერი, ბორმიო, მე-5 ეტაპი დაშვებაში. მოწინავეთა ოთხეული ავსტრიელებზე მოდის. განსაკუთრებულ სიჩაუქეს კი დაშვებასა და სუპერგიგანტში იჩენენ.

როდესაც ავსტრიულ სკოლაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ჰერმან მაიერს, მსოფლიოში ალბათ ყველაზე გამორჩეულ მოთხილამურეს, რომლისკენაც ყოველთვის განსაკუთრებული მზერაა მიპყრობილი. ვინაიდან ავსტრიელი ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე "ვერცხლის" ამარა დარჩა, აშკარა იყო, რომ ბორმიოში უწინდელი "ვერცხლის" "ოქროზე" კონვერტირებას შეეცდებოდა, მაგრამ...

მაიერს და მთლიანად ავსტრიის ჩქაროსნულ დისციპლინათა დიდოსტატებს მსოფლიო თასის საერთო ჩათვლის ლიდერისგან, ამერიკელ ბოდე მილერისგან დიდი წინაღობა ელოდათ.

"ბოდეს იმედი გვაქვს, - მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე აცხადებდა ამერიკის ვაჟთა ნაკრების მწვრთნელი ფილ მაკნიკოლი. - როგორც წესი, სეზონის ამ მონაკვეთში მოთხილამურეები ცოტა გადაღლილები არიან, მაგრამ ის იმათგანია, ვინც მასზე დაკისრებულ ნებისმიერ მოვალეობას ართმევს თავს. ასე რომ, ვფიქრობ, მსოფლიოს ჩემპიონატზე საკუთარ სიტყვას იტყვის".

სუპერგიგანტის დაწყებამდე სწორედ მაიერსა და მილერს შორის დუელს მოელოდნენ, ისევე როგორც ავსტრიელთა ტრიოსგან - მიხაელ ვალშოფერის, შტეფან გერგლისა და ბენიამინ რაიხის სახით.

მილერმა კი ნამდვილად თქვა საკუთარი სიტყვა. სტელვიოს ტრასას გამძვინვარებული ხარივით ეკვეთა და ჩვეულ სტილში, აგრესიულად დაუყვა ფერდობს. თუმცა, აგრესიულობა კინაღამ ძვირად დაუჯდა. ზღვარზე მქროლავი, ტრასის ზედა მონაკვეთში ერთხელ თოვლსაც შეეხო ხელით, მაგრამ მაინც მოახერხა წონასწორობის შენარჩუნება და საუკეთესო შედეგსაც მიაღწია. მაიერმა კი, რომელმაც ორი წლის წინათ მილერთან ერთად სენტ მორიცში საზიარო მეორე ადგილი დაიკავა, მეოთხე შედეგით დაასრულა, თუმცა, ავსტრიელები რომ უმედლოდ არ დარჩებოდნენ, წინდაწინვე განსაჭვრეტი იყო. ზემოხსენებული ტრიოდან მეორე-მესამე ადგილები მიხაელ ვალშოფერმა და ბენიამინ რაიხმა დაიკავეს.

რაც შეეხება სანტა კატერინაში მოასპარეზე ქალებს, საუკეთესო გახდა შვედი ანია პერსონი, რომელიც, სხვათა შორის, აქამდე ტექნიკური დისციპლინებით იყო პოპულარული. ასე რომ, მისი სახით ჩემპიონატის პირველი მოულოდნელობის მოწმენი გავხდით. მეორე-მესამე ადგილები მასპინძელმა ლუცია ლეჩიამ და ამერიკელმა ჯულია მანკუზომ დაიკავეს. ავსტრიელებმა კი სირცხვილი ჭამეს. გუშინდლამდე რენატა გიოჩლსა და მიხაელა დორფმაისტერს მიიჩნევდნენ აშკარა ფავორიტებად. პირველმა 23-ე ადგილი დაიკავა, ხოლო მეორემ საერთოდ ვერ დაასრულა ასპარეზობა.

*ინფოთეკა*

### დიეპამ ტიტული დაიცვა

WBO-ის ვერსიით 48,988 კგ. წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონმა ნელსონ დიეპამ (პუერტო-რიკო) წარმატებით დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და მე-11 რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა თანამემამულე ალექს სანჩესი. AllBoxing-ის ცნობით, ნოკაუტი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ სანჩესი რინგიდან საკაცით გაიყვანეს, ხოლო შემდეგ საავადმყოფოში გააქანეს.

### ზღვარის დაწესება აუცილებელია

NHL-ის კომისარმა გარი ბეთმენმა განაცხადა, რომ ლიგა უარს არ იტყვის ხელფასების მაქსიმუმის დაწესებაზე. "ლიგის წარმომადგენლები ტორონტოში დაბრუნდნენ, თუმცა, მოლაპარაკებების გაგრძელების საშუალება რჩება. თუ პროფკავშირები კვლავ მოითხოვენ, ზღვრის დაწესებაზე ხელი ავიღოთ, არაფერი გამოვა. ამ საკითხში კომპრომისზე არ წავალთ," - განაცხადა ბეთმენმა.

### კანადამ უნგრეთი დაამარცხა

ბურთის ჰოკეიში ყაზანში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი მატჩი დასრულდა. კანადის ნაკრებმა გაანადგურა უნგრეთი ანგარიშით - 9:2.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

*TV-სპორტი*

### ორშაბათი. 31 იანვარი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 იტალიის ჩემპიონატი. "პარმა" - "უდინეზე"
14:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. "მონაკო" - პსჟ
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 გერმანიის ჩემპიონატი. "ჰერტა" - "ბავარია"
18:00 ესპანეთის ჩემპიონატი. "ვალენსია" - "ატლეტიკი"
19:45 საფეხბურთო უიკ-ენდი
20:30 სახვალიო ტელეპროგრამა
20:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:30 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:25 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:25 იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "ბოლონია"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:00, 18:55 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25, 12:40 "ჰარმონიის ფორმულა"
10:40 ჭადრაკი. სუპერტურნირი ვეიკ-ან-ზეეში
11:10 ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ტუნისში. ვაჟები. სლოვენია - რუსეთი
13:15 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
14:00 მძლეოსნობა. "Sparkassen Cup". დიდი პრიზი გერმანიაში
16:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. გადამწყვეტი მატჩები
19:10 "რკინის ფაქტორი". "არმრესტლინგის ისტორია"
19:40 "ორშაბათამადე მივატანთ"
20:10 ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ტუნისში. ვაჟები. ძირითადი წრე. პირდაპირი ტრანსლაცია
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 "ჰოკეი-პლუს"
22:10 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. არტურო გატი - ჯესი ჯეიმს ლეიხა
00:15 ახალი ამბები
00:30 ჰოკეი ბურთით. მსოფლიო ჩემპიონატი ყაზანში. ფინეთი - რუსეთი

**EUROSPORT**

10:30 სამთო თხილამურები. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
11:45 მულტისპორტი. იტალია-2006
12:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი პოლონეთში
13:30 მულტისპორტი. იტალია-2006
13:45 სამთო თხილამურები. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
15:45 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში
17:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი პოლონეთში
18:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. ჰოლანდიისა და იტალიის კლუბების საუკეთესო მატჩები
19:30 ფეხბურთი - ევროგოლები
20:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
21:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. გერმანიისა და საფრანგეთის კლუბების საუკეთესო მატჩები
22:00 მულტისპორტი. იტალია-2006
22:15 მებრძოლთა კლუბი
00:30 ფეხბურთი - ევროგოლები
01:30 ახალი ამბები
01:45 მულტისპორტი - აი, მესმის!
02:15 ფრისტაილ - მოტოკროსი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში
02:45 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
03:15 ახალი ამბები

# უნიტარიზმი თუ ფედერალიზმი

დიმიტრი შველიძე

რაც ჩვენში ხდება, კანონზომიერი და ბუნებრივია ქვეყნისათვის, რომელიც სხვა სახელმწიფოსა და სისტემაში მრავალი ათეული წლის განმავლობაში იმყოფებოდა. დღეს ჩვენში ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ: ე.წ. მონობაგამოვლილნიც და თავისუფლებიც, სოციალური თანასწორობის მომსწრენიც და სოციალურ კონფრონტაციაში დაბადებულებიც, დამხობილებიც და პუტჩისტებიც. მედასავლეთეებიც და მეჩრდილოეთელებიც, ალა პუგაჩოვას მოთაყვანეებიც და ბობ დილანის ფანატებიც, გამაძღარებიც და მშივრებიც, პატრიოტ-ფსევდოპატრიოტებიც და დემოკრატ-ფსევდოდემოკრატებიც, ზვიადისტებიც, შევარდნაძისტებიც და სააკაშვილისტებიც...

ისევე როგორც სხვა უამრავმა საკითხმა, ამ პრობლემის განხილვამაც ორ ბანაკად დააჯგუფა ჩვენი საზოგადოება. ერთნი - ფედერალისტები, თავს წმინდასისხლიან პროგრესისტებად მიიჩნევენ და საქართველოში, სხვა ყველას, ბნელეთის მოციქულებად, რომელნიც მეხუთე საუკუნის მკვდარი ტექსტების უკუნს ვერ გამოსცილებიან. მეორენი - უნიტარისტები, ერთადერთ ჭეშმარიტ მამულიშვილებად, შობის დღიდანვე არიან მოწოდებულები. ვინც მათს "დაწერილს" გადაუხვევს, უმალ "ერის მოღალატის" იარლიყით ჯილდოვდება და სოროსის აგენტად ცხადდება.

ეს არ ხდება იმიტომ, რომ ან ცუდი ქვეყანა გვაქვს, ან გამორჩეულად უარყოფითი თვისებების მატარებელი ხალხი ვართ. რაც ჩვენში ხდება, კანონზომიერი და ბუნებრივია ქვეყნისათვის, რომელიც სხვა სახელმწიფოსა და სისტემაში მრავალი ათეული წლის განმავლობაში იმყოფებოდა. დღეს ჩვენში ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ: ე.წ. მონობაგამოვლილნიც და თავისუფლებიც, სოციალური თანასწორობის მომსწრენიც და სოციალურ კონფრონტაციაში დაბადებულებიც, დამხობილებიც და პუტჩისტებიც. მედასავლეთეებიც და მეჩრდილოეთელებიც, ალა პუგაჩოვას მოთაყვანეებიც და ბობ დილანის ფანატებიც, გამაძღარებიც და მშივრებიც, პატრიოტ-ფსევდოპატრიოტებიც და დემოკრატ-ფსევდოდემოკრატებიც, ზვიადისტებიც, შევარდნაძისტებიც და სააკაშვილისტებიც...

ამგვარ ჭრელ საზოგადოებაში, სადაც, ფაქტობრივად, უკანასკნელი 15 წლის მანძილზე, ვინც პოლიტიკურ სარბიელზე შედგა ფეხი, დანაშაულს თითქმის ვერავინ დააღწია თავი, ბუნებრივია, საჩხუბარი უფრო მეტია, ვიდრე საერთო. მაგრამ ხელს ნუ ჩავიქნევთ. საშველად მოვიხმოთ ოსკარ უაილდის ბრწყინვალე პარადოქსი - როდესაც ყველანი დამნაშავეები არიან, არავინ არ არის დამნაშავე, - და როცა უმნიშვნელოვანეს პრობლემებზეა საუბარი, შევეცადოთ ერთმანეთს დროებით მაინც დავუვიწყოთ ძველი წინააღმდეგობები და ვინ რომელი ბანაკის წარმომადგენელია.

ჩვენთვის საინტერესო პრობლემის შესახებ მოკამათენი საწყის არგუმენტად ისტორიულ წარსულს და ტრადიციას იშველიებენ ხოლმე. უნიტარისტები ამტკიცებენ, რომ ტრადიციულად, ქართული სახელმწიფო უნიტარული გახლდათ. ფედერალისტებმა კი დაწერეს, რომ "საქართველოს უნიტარიზმის ტრადიცია თითქმის არ ჰქონია". ჩვენც გადავხედოთ წარსულს და დამოუკიდებლად დავაფიქსიროთ ქართული სახელმწიფოების ხასიათი.

## ისტორიის პასუხი

პირველყოფილობიდან სახელმწიფოებრიობისაკენ გარდამავალ პერიოდში ადამიანთა გაერთიანებების ორგანიზაციის ფორმა ავტონომიურ ტომთა კავშირიდან უნიტარიზმისაკენ განვითარებად პროცესს წარმოადგენდა ჩვენშიც და სხვაგანაც. დიაოხი და კოლხა ცალკეული ტომების გაერთიანებები გახლდათ. ეს იყო ავტონომიური ტომების თავისებური ფედერაციები, რომლებშიც დროთა განმავლობაში ტომთა თვითმმართველობა თანდათან სუსტდებოდა ცენტრალური ხელისუფლების - ერთი მეფის გაძლიერების ხარჯზე. პირველყოფილი თემურ-ტომობრივი ფედერალიზმის ხანა მსოფლიოს ყველა განვითარებულმა ქვეყანამ და ხალხებმა გაიარეს.

ძვ. წ. აღ. VI-IV საუკუნეებში ქართულ სახელმწიფოებრიობას საბოლოოდ ეყრება საფუძველი. მესამე საუკუნის დასაწყისში დამოუკიდებელი ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა ქვეყანა რვა საერისთაოდ და ერთ სასპასპეტოდ დაჰყო. თანამედროვე ფედერალისტები ამ ფაქტში ქართული სახელმწიფოს ფედერაციულ ხასიათს ხედავენ. ეს სრული გაუგებრობაა ან გამიზნული ტენდენციურობა. მეფობის დაწესებამდე და სახელმწიფოს საბოლოოდ დაფუძნებამდე ქართლის ტერიტორია მართლაც იყო მოფენილი ტომობრივ-თემობრივ მცირე ერთეულებად. "არა ვინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს". ამ თავისებური ავტონომიური ერთეულების ფედერაციას სიმბოლურად მეთაურობდა მცხეთაში მჯდომი მამასახლისი (ბელადი). ლეონტი მროველის განმარტებით, იგი "არცა სახელდებოდა მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდა". ეს ჯერ კიდევ პირველყოფილი ფედერალიზმის ხანაა.

როცა ფარნავაზი გამეფდა, მამასახლისობის ტომობრივი ინსტიტუტი ერისთაობის სახელმწიფოებრივ-სამოხელეო ინსტიტუტით შეცვალა. ტომობრივი ერთეულები საერისთაოებმა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულმა ოლქებმა შეცვალეს, ხოლო მათი მეთაურები - ერისთავები, როგორც მოხელეები, მეფის ცენტრალურ ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ. ადრინდელ პირველყოფილ ფედერაციულ-ტომობრივ წარმონაქმნებს ბოლო მოეღო და მათი ადგილი - ერთიანმა სამეფომ - ქართლ-იბერიის უნიტარულმა სახელმწიფომ დაიკავა. ის გარემოება, რომ კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, წუნდის, კლარჯეთის, არგვეთისა და ეგრისის საერისთაოებს ყოფილი მამასახლისები ან მათი შთამომავლები ედგნენ სათავეში, არაფერს არ ცვლის. თვით ეგრისის ერისთავი ქუჯი, რომელიც, შესაძლოა, ნებაყოფლობით შევიდა ქართლის სამეფოში, ჩვეულებრივ მოხელეერისთავად იქცა. ერთი სიტყვით, პირველი აღმოსავლურ-ქართული სამეფო - უნიტარული სახელმწიფო გახლდათ. ანალოგიური პროცესები განვითარდა, ცოტა უფრო ადრე, კოლხეთის სამეფოშიც, სადაც ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს, სტრაბონის ცნობით, სკეპტუხიები ეწოდებოდა.

შემდგომ საუკუნეებში სახელმწიფო სულ უფრო მტკიცდებოდა. ქართლის სამეფო უნიტარულ სახელმწიფოს წარმოადგენდა სულ ცოტა, VI საუკუნის დასაწყისამდე - ე.ი. 8-9 საუკუნის მანძილზე. VI-IX საუკუნეების პერიოდში საქართველო ჯერ ბიზანტია-ირანის, შემდეგ არაბთა ბატონობის ქვეშაა. უკანასკნელებთან ბრძოლის პროცესში იქმნება არაბთაგან განთავისუფლებული ქართული სამეფო-სამთავროები. ყველა ისინი: კახეთისა და ჰერეთის სამეფოები, აფხაზთა სამეფო, ტაო-კლარჯეთის სამთავრო ანუ ქართველთა სამეფო - მცირე უნიტარულ და ერთმანეთისაგან განცალკევებულ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ.

იქნებ ბაგრატ მესამიდან (975-1014) გიორგი მეორემდე (1172-1089) შეიცვალა რამე? ხომ არ შეიძლება რომ ქართველი მეფეების ტიტულატურა ან აფხაზთა და ქართველთა სამეფოების გაერთიანება, მაშინდელი საქართველოს ფედერაციული მოწყობის მადასტურებელ ნიშნად მივიჩნიოთ? საქართველოს გაერთიანება სამეფო-სამთავროებს შორის განუწყვეტელი ორსაუკუნოვანი ბრძოლის შედეგად მოხდა. აფხაზთა დასავლურ-ქართული სახელმწიფოსა და ქართველთა (ტაო-კლარჯეთის) სამეფოს გაერთიანება კი ტაოს მეფის დავით მესამისა და მისი მოკავშირეების სამხედრო ძალების მხარდაჭერით მოხდა. ეს არ იყო ნებაყოფლობითი აქტი. ნებაყოფლობითი პროცესი მაშინ იქნებოდა, თუ ცალკეული სამეფო-სამთავროები სუვერენობას შეინარჩუნებდნენ. პირიქით მოხდა. ჯერ აფხაზთა მეფეების დინასტიამ შეწყვიტა არსებობა, ხოლო აფხაზთა მეფის ტიტული ბაგრატ მესამემ შეითავსა. იგივე ითქმის კახეთ-ჰერეთის მეფეთა ტიტულებზეც, რომელნიც ასევე - გაერთიანებული საქართველოს ერთპიროვნულმა თვითმპყრობელმა ბაგრატ მესამემ მიისაკუთრა. მისი მონოტიტულატურაც შესაბამისად გამოიყურებოდა: "მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა".

იმის განცხადება, რომ საქართველო უნიტარული სახელმწიფო მხოლოდ დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალის მეფობის "მცირე მონაკვეთებში" იყო, სრული სიყალბე და საკუთარი მკითხველ-მსმენელის მოტყუების გულუბრყვილო ცდაა. დღეს თუ ვინმეს ფედერალიზმი დასჭირდა, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ისტორია ჩვენივე ნება-სურვილების ყურმოჭრილ ყმად ვაქციოთ. ნაწილობრივ მართალია, რომ XV საუკუნის შემდეგ, საქართველო არასდროს ყოფილა უნიტარული, მაგრამ მხოლოდ - ნაწილობრივ. აქაც მკითხველ-მსმენელის მოტყუების ცდაა. XV საუკუნის შემდეგ საქართველო მართლაც არასდროს ყოფილა - გაერთიანებული, მაგრამ დაშლილი პატარა "საქართველოები" - ე.ი. კახეთის, ქართლის თუ იმერეთის სამეფოები - მცირე უნიტარული სისტემის სახელმწიფოები იყო.

> რაც ჩვენში ხდება, კანონზომიერი და ბუნებრივია ქვეყნისათვის, რომელიც სხვა სახელმწიფოსა და სისტემაში მრავალი ათეული წლის განმავლობაში იმყოფებოდა. დღეს ჩვენში ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ: ე.წ. მონობაგამოვლილნიც და თავისუფლებიც, სოციალური თანასწორობის მომსწრენიც და სოციალურ კონფრონტაციაში დაბადებულებიც, დამხობილებიც და პუტჩისტებიც. მედასავლეთეებიც და მეჩრდილოეთელებიც, ალა პუგაჩოვას მოთაყვანეებიც და ბობ დილანის ფანატებიც, გამაძღარებიც და მშივრებიც, პატრიოტ-ფსევდოპატრიოტებიც და დემოკრატ-ფსევდოდემოკრატებიც, ზვიადისტებიც, შევარდნაძისტებიც და სააკაშვილისტებიც...

მკითხველთან ბოდიშს ვიხდით, რომ ქართული ისტორიოგრაფიისათვის კარგად ცნობილ ფაქტებს ადგილი დავუთმეთ, მაგრამ როგორც ჩანს - ცნობილი რეალიების გახსენება-დაფიქსირებაც ხანდახან საჭირო ხდება. ასე რომ, ისტორიის პასუხი ერთია - საქართველო თუ ქართული სახელმწიფოები, წარმოქმნიდან გაუქმებამდე, უნიტარულ ხასიათს ატარებდნენ.

## ფედერალიზმის თეორია და პრაქტიკა საქართველოში

ტერმინი "ფედერალიზმი" ქართულ პრესაში "საქართველოს მოამბემ" შემოიტანა, განმარტა და დაამკვიდრა. 1863 წლის XI-XII ნომრებში, ჟურნალში "თერგდალეულის" ფსევდონიმით დაიბეჭდა კირილე ლორთქიფანიძის კომპილაციური თხზულება: "ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეები".

სხვა ტერმინთა შორის, კ. ლორთქიფანიძის აღნიშნულ წერილში განმარტებულია "ფედერაციისა" და "ფედერალისტის" ცნებები. კერძოდ, ვკითხულობთ: "რამოდენიმე სახელმწიფო ერთად შეერთებული, ისე, რომ თვითოეული მათგანი საკუთარს საქმეებს თვითონ სწყვეტდეს, მაგრამ საზოგადო საქმეებისთვის კი ჰქონდესთ მათ დანიშნული საერთო მმართველობა, არის ფედერაციული სახელმწიფო ანუ ფედერაცია. ვინც ამ გვარის სახელმწიფოს შედგენას სცდილობს იმას ფედერალისტი ჰქვიან".

პოლიტიკური ტერმინების განმარტება და შემოღება-ხმარება, ქართულ პრესაში, ილია ჭავჭავაძის სახელთანაა დაკავშირებული. მან რუსულიდან თარგმნა და ჟურნალ "საქართველოს მოამბის" პირველ ნომერში გამოაქვეყნა ნ. დობროლიუბოვის სტატია, რომელიც ეძღვნებოდა იტალიელი პატრიოტის ალექსანდრე გავაცის მოღვაწეობას. ილიამ სტატიას დაურთო პოლიტიკური ტერმინების განმარტება, იმ ტერმინებისა, რომელნიც იმჟამინდელი ქართველი საზოგადოებისათვის სიახლეს წარმოადგენდა, მათ შორის იყო აგრეთვე ტერმინი "კონფედერაცია".

მთარგმნელი წერილის სქოლიოში განმარტავდა: "კონფედერაცია - კავშირი, შეკრულობა სახელმწიფოების ერთმანეთს შორის".

მთავარია ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ეროვნული სახელმწიფოს კონფედერაციული მოწყობისადმი - იგი მკვეთრად უარყოფითია. მისი პოზიცია არაპირდაპირი გზით უნდა გავიაზროთ, იტალიელი პატრიოტის გავაცის პოზიციის მიხედვით. გავაცი იტალიელებს მოუწოდებდა: "ჩვენ გვინდა ერთობა, - ერთობა და არა შეკრულობა. შეკრულობა კონფედერაციას ჰქვიან... შეკრულობა თავის დღეში, თავის დღეში ნუ გვენდომება!... ერთობა, ერთობა, ერთი იტალია კი ყოველთვის".

ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძის პოზიცია კონფედერაციის, როგორც ქვეყნის მოწყობის ფორმისადმი - გავაცის პოზიციის ანალოგიურია. იმხანად, როგორც ცნობილია, იტალია რამდენიმე წვრილ პოლიტიკურ ერთეულად იყო დაყოფილ-დაქსაქსული. ევროპის გარკვეული პოლიტიკური ძალები ყოველნაირად ცდილობდნენ, რათა იტალიის ცალკეული სახელმწიფოები კონფედერაციის საფუძველზე გაერთიანებულიყვნენ. კონფედერაციის სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ იტალიელი პატრიოტები. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ალექსანდრე გავაცი, რომლის ქადაგებანი ილია ჭავჭავაძემ შეფარული აღტაცებით თარგმნა, რათა იტალიელი ბერის სიტყვებით - თავად მას - "საქართველოს მოამბის" რედაქტორსა და ახალი თაობის თავკაცს, ესაუბრა ქართველ საზოგადოებასთან.

პირველად ქართულ სინამდვილეში - ფედერაციის, როგორც პოლიტიკური პრინციპის წამოყენება - 1874 წელს მოხდა. ამ წელს, ჟენევაში შეიკრიბა ე.წ. კავკასიელ და ქართველ მოღვაწეთა კონგრესი, რომელსაც ესწრებოდნენ შვეიცარიაში მყოფი ქართველი საზოგადო მოღვაწეები და სტუდენტები: გიორგი წერეთელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ოლღა გურამიშვილი, კატო მიქელაძე, დები ნიკოლაძეები, ალექსანდრე ციციშვილი, ივანე ჯაბადარი, მიხეილ ჩიკოიძე და სხვები. კონგრესში მონაწილეობას იღებდნენ დაღესტნელი დომგატი, სომეხი ალიბეკოვი, კავკასიელი რუსი დომბროვსკაია, ხოლო ესწრებოდნენ ფრანგი კომუნარები: ბაბიკი, ლეფრანსე, მონტელსი, რომელნიც სტუმრების სტატუსით იყვნენ მოწვეულნი.

კონგრესმა წამოაყენა კავკასიის ფედერაციის მოთხოვნა.

ჟენევის პრეცედენტი განმეორდა 1892 წელს, როცა შეიქმნა ქართველ სტუდენტთა პატრიოტული ორგანიზაცია "საქართველოს თავისუფლების ლიგა". ამ ორგანიზაციამაც, მთავარ პოლიტიკურ მოთხოვნად - კავკასიის ფედერაციის პრინციპი წამოაყენა. "ლიგა" ხაზს უსვამდა, რომ ვიდრე კავკასიის ერთიანი ფედერაციული სახელმწიფო შეიქმნებოდა, თავდაპირველად კავკასიელ ხალხებს საკუთარი ეროვნული სახელმწიფოები უნდა აღედგინათ ან დაეფუძნებინათ, რის შემდეგაც უნდა მომხდარიყო სასურველი ფედერაციული გაერთიანება.

1904 წელს შეიქმნა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, რომელიც ცდილობდა თეორიულად დაემუშავებინა ფედერალიზმის იდეა. პარტიის მიზანი იყო სახელმწიფოებრიობის აღდგენა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ფორმით. ავტონომიური საქართველო უნდა გაერთიანებულიყო კავკასიის ფედერაციაში, ხოლო ეს უკანასკნელი რუსეთის კონფედერაციულ სახელმწიფოში. ფედერალისტები ფედერალიზმის მომხრეები კი იყვნენ, მაგრამ ამგვარი ფორმა მათთვის საქართველოს გარე-სახელმწიფოებრივი მოწყობის საშუალებას წარმოადგენდა. ფედერალისტები საერთოდ არ განიხილავდნენ საქართველოს შიდა-სახელმწიფოებრივი მოწყობის პრობლემას, რაც მხოლოდ იმას მეტყველებს, რომ ფედერალური სისტემა მათ საქართველოსათვის მიუღებლად მიაჩნდათ.

სხვა პოლიტიკური პარტიებიდან ფედერალიზმს ყველაზე მეტ ადგილს ანარქისტები უთმობდნენ. მიუხედავად ამისა, ისინიც საქართველოს წარმოიდგენდნენ, როგორც ერთ ეროვნულ-ტერიტორიულ მთლიანობას, რომელიც სხვა ხალხების ფედერაციულ კავშირში უნდა შესულიყო (კავკასია, რუსეთი, მსოფლიო). ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივად შემოსაზღვრული ერები, იდეალურ მომავალში ჩამოაყალიბებდნენ ჯერ ევროპის, შემდეგ კი - მსოფლიო კონფედერაციას. "იდეა ევროპის შეერთებული შტატებისა, რომელმაც თავი იჩინა ჩვენ საუკუნეში, დიდი და ღრმა პოლიტიკური იდეა არის" - წერდა 1905 წელს სოციალისტ-ფედერალისტების მთავარი იდეოლოგი არჩილ ჯორჯაძე, რომელიც ანარქიზმის გავლენას განიცდიდა იმხანად.

ერთი სიტყვით, ქართულ პრესაში ფედერალიზმის ნაირ-ნაირ პროექტებს ადგენდნენ: როგორ გაერთიანდებოდა აღდგენილი ეროვნული სახელმწიფო - კავკასიის ფედერაციაში, რუსეთის კონფედერაციულ სახელმწიფოში თუ "ევროპის შეერთებულ შტატებში", მაგრამ არსად არ იყო საუბარი თვით საქართველოს ფედერაციული მოწყობაზე. სოციალისტ-ფედერალისტი თევდორე ღლონტი 1917 წელს წერდა: "დემოკრატია ჰგულისხმობს ეროვნული რესპუბლიკების კავშირს. ეს კავშირი ევროპას შეერთებულ შტატებად გადააქცევს". აქაც "ეროვნულ რესპუბლიკაში" საქართველოს მთლიანობა იგულისხმებოდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომმა მოვლენებმა ქართველი საზოგადოება საკუთარი სახელმწიფოს აღდგენის შესაძლებლობამდე მიიყვანა. როცა პრაქტიკულად დადგა საკითხი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა, საქართველოს ყველა წამყვანმა პოლიტიკურმა პარტიამ დემოკრატიულ და უნიტარულ სისტემას დაუჭირა მხარი. ამ საკითხზე კამათი არ ყოფილა. ნოე ჟორდანია აღნიშნავდა, რომ საქართველოში იქმნებოდა "უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკა".

უნვიტარულ სახელმწიფოს "ცალსახად დაუჭირეს მხარი ფედერალისტებმაც". ცნობილი ქართველი სოციალისტ-ფედერალისტი, პირველი სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი იოსებ ბარათაშვილი, 1919 წელს საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე აცხადებდა: "მე დღეს მხარს ვუჭერ უნიტარულ სახელმწიფოს, თუმცა ფედერალისტი ვარ". მისი აზრით, ფედერაციული მოწყობა მიუღებელი იყო საქართველოსთვის "ტერიტორიის რაოდენობის", "ისტორიულ-კულტურული ტრადიციის", "ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობისა" და სხვა გარემოებების გამო. ფედერალისტ იოსებ ბარათაშვილის სოლიდარული გახლდათ ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი ვასილ წერეთელი, რომლის მტკიცებითაც: "ისტორიულად ფედერაციული სახელმწიფო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანებას წარმოადგენდა. საქართველოს კი ყოველთვის ერთმეფობა ან ერთმეფობისაკენ სწრაფვა ე.ი. მთლიანობისაკენ მისწრაფება ახასიათებდა" (იხ.: მალხაზ მაცაბერიძე - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია).

ქართული სახელმწიფოს უნიტარული ისტორიული ტრადიცია გააგრძელა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის კონსტიტუციის პირველივე მუხლიც იუწყებოდა, რომ "საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო".

## თანამედროვე რეალობა

მაგრამ ის, რომ ქართული სახელმწიფო ათასწლეულების მანძილზე უნიტარული იყო, მაინც არ ნიშნავს, რომ მომავალშიც ეს ფორმა მარადიულ დოგმად მივიჩნიოთ. ერთადერთი დოგმა და არგუმენტი რეალობაა. ფედერალური მოწყობის საკითხი - აფხაზეთის პრობლემის მოგვარების აუცილებლობამ დააყენა დღის წესრიგში. ზემოსაუბრიდან გამომდინარე, ფედერალიზმი და მის პრინციპებზე სახელმწიფოს მოწყობა შეიძლება ორი გზით განხორციელდეს - ნებაყოფლობით და იძულებით. პირველ შემთხვევაში ფედერაციის სუბიექტები თვით და დამოუკიდებლად წყვეტენ საკუთარი სახელმწიფოს ფორმას, როგორც ეს მოხდა აშშ-ს, შვეიცარიის ან ავსტრალიის ფედერალური სახელმწიფოების ფორმირების დროს. მეორე შემთხვევაში - უცხო სახელმწიფოები ძალით ახვევენ თავს სუსტ ქვეყანას თავის ნებას, როგორც ეს მოხდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის დროს.

ნებაყოფლობითი ფედერალური მოწყობა ქვეყნის შინაური პრობლემაა და იგი ქვეყნის მოწესრიგებას, სტაბილიზაციას და განმტკიცებას ისახავს მიზნად. იძულებითი ფედერალიზმი უცხო და აგრესიული ქვეყნების მიერ არის შემოთავაზებული და მსხვერპლ-სახელმწიფოს დასუსტებას, დაშლას ან პოტენციურად მისთვის ტერიტორიის ნაწილის ან ნაწილების წართმევას ისახავს მიზნად. თუ გარედან მომდინარე ფედერალიზმს მხარს დავუჭერთ - საქართველოს ტერიტორიების შემდგომ დანაკარგებს ჩავუყრით სამართლებრივ საფუძველს. ასეთი ხელისუფალნიც ჰყავდნენ საქართველოს. სამცხის ზოგიერთმა რენეგატმა ათაბაგმა ხელი შეუწყო მესხეთ-ზემო ქართლის ოსმალთა მიერ მიტაცებას.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საქართველოს იძულებითი ფედერალიზაციის მეტი შანსი დღეს უფრო არსებობს, ვიდრე გამსახურდიას ან შევარდნაძის პერიოდში, რამდენიმე გარემოების გამო: 1. იძულებითი ფედერალიზაციის საგარეო ფაქტორი გაძლიერდა. კერძოდ, იზრდება აფხაზეთის თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობის ლეგიტიმაციის ხარისხი. ერთი მხრივ, ძლიერდება რუსეთის ზეწოლა აფხაზეთში და ყოველთვის მოსალოდნელია მის მიერ აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფის სასურველი ფორმით იურიდიული ცნობა; მეორე მხრივ, საერთაშორისო თანამეგობრობის ყურიც თანდათან ეჩვევა აზრს, რომ აფხაზეთი შეიძლება აღარ იყოს საქართველოს ნაწილი. 2. რუსეთის ბიზნეს-ეკონომიკური პოზიციები არნახულად ძლიერდება საქართველოშიც, ეს კი თავისთავად ნიშნავს, რომ აღნიშნული ფაქტორი გამოყენებული იქნება მომავალში, როგორც კრემლის პოლიტიკური ბერკეტი საქართველოს შინაურ საქმეებში ჩასარევად. 3. ჩვენი საზოგადოების წინააღმდეგობის ხარისხიც, შესაბამისად კლებულობს. იგი დაიღალა, მოდუნდა, არსებობისათვის ბრძოლის ყოველდღიურ საზრუნავში ჩაეფლო. გახსოვთ, როგორ შეეგუა და აღიარა მეფე კონსტანტინე მეორის დარბაზმა საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების ფაქტი? როცა მეფე შეეკითხა დარბაზს, რა ვიღონოთ გამდგარი იმერეთის, კახეთისა და სამცხეს შემოსაერთებლადო, დიდებულებმა კონსტანტინეს ურჩიეს: "ვინადგან მტკიცედ სდგან ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა იმერნი და კახნი და კვალად ათაბაგისა სამცხელნი, ამისთვის არ განგიზრახავთ ბრძოლასა... ხოლო იხილა რა ესე ვითარება თვისთაგანცა მეფემან, ამისთვის აღირჩია მშვიდობა" - მშვიდობის არჩევა კი ქვეყნის დაშლის აღიარებას ნიშნავდა.

სამწუხაროდ, იძულებითი ფედერალიზმის მიუღებლობაც არაა პრობლემის გადაჭრისათვის საკმარისი. პრობლემა ღია დარჩება. თუ სახელმწიფომ თავად არ გამოძებნა გამოსავალი, კვლავ პირველი გზა - იძულებითი ფედერალიზაციის ვარიანტი გაიმარჯვებს. ამიტომ სწორია ამჟამინდელი ხელისუფლებისა და სამთავრობო ორგანიზაციების ზოგადი პოზიცია და პრინციპი - სანამ სხვები გადაგვიწყვეტდნენ, ჩვენ ვიპოვოთ როგორმე ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ორი ერის თანაცხოვრების გზები. ერთ-ერთი გზა შეიძლება ნებაყოფლობითი ფედერალიზაციაც იყოს, ოღონდ, რამდენიმე წინაპირობის გათვალისწინებით, ე.ი. პერსპექტივაში, ნებაყოფლობითი ფედერალიზაციის საკითხის დაყენება დღის წესრიგში შესაძლებელი უნდა გახდეს რამდენიმე წინაპირობის განხორციელების შემთხვევაში:

1. ლტოლვილთა და დევნილთა უპირობო დაბრუნება აფხაზეთში; 2. სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაცია; 3. რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან და სხვა კომპონენტების გათვალისწინება, რომელთა მიზანია - რუსეთის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის ნეიტრალიზაციის უზრუნველყოფა აფხაზურ-ქართული ურთიერთობის მოგვარება-გადაწყვეტის საკითხში.

სულ ცოტა, აი ამ პრობლემათა გადაწყვეტის შემდეგ შეიძლება ორი ხალხის - ქართველებისა და აფხაზების წარმომადგენლებმა, მოლაპარაკებები დაიწყონ - ნებაყოფლობითი ფედერალიზაციისა თუ თანაცხოვრების სხვა ფორმების შესაძლებლობის შესახებ და თავისუფლად, დამოუკიდებლად, იძულების გარეშე გადაწყვიტონ ორი ერის შემდგომი თანაარსებობის ბედი.

სახელი ______ მისამართი ______

გვარი ______

ასაკი ______ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ______

სიმაღლე ______

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სატელევიზიო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა ____________ თარიღი ________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვარათ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

[illegible]

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:
[illegible]

თქვენი ფოტოსურათი

[illegible]

## TV პროგრამა

31 იანვარი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელელიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.30** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "შერლოკ ჰოლმსი" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელელიპუცები **18.30** პატრული **19.00** ქართული ფეხბურთი **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** დოკ. ფილმი "პატარა ანგელოზები" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "13 გვამი" (18) (ლორენცო ლამასი) **01.55** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.50(შვეიცარია), 03.15(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.40** აკუსტიკა. **07.05** სიძულვილზე უფრო მეტი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** ნაცისტების მიერ მოპარული. დოკ. ფილმი. **12.15** სამხრეთის ანარეკლი. ბურკინა ფასო. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** სამოთხე. ემანუელ ბურდიე. 2003. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** გადაცემა: თალასა. **23.00** გადაცემა. თვალსაზრისი. 04.25მაშველები. ტელესერიალი.

### პირველი არხი

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დიეტა ან სიკვდილი" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" - მუსოლინი **16.30** "არტე" წარმოგიდგენთ - მთელი ეს ცირკი **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "მედიატორი" **19.30** "გზაჯვარედინი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "პერსი პიტცერის მფრინავი მანქანა" **23.00** მრწამსი **23.30** მხ. ფილმი "რიტმი" (12) **01.45** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ბრძოლა გადარჩენისთვის" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დიელი და პასკო **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "მის ფეირვერკი" (გ) (ჰოლი ჰატნერი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ზღვის რაჯა" **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **20.30** სერიალი "უშიშარნი" მე-11 ს. **20.55** დოკ. ფილმი "სიკვდილს გადარჩენილნი" **21.45** კონცერტი **22.45** კინოსეანსი "საბუდარელი ჭაბუკი"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **12.20, 17.10, 04.15** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.45** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია. "ჰიუსტონი"-"მაიამი" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.35** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **17.10** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.25** "ვაკაჭი-ნიუსი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "კამენსკაია-6" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** "არ იდარდო" **00.25** სპ. პროგრამა "გოლი" **00.55** მხ. ფილმი "დენთის კასრი" (18) **02.40** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** მუსიკა **09.30** სათავ. ფილმი "როგორც მაიკი" **11.10** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** კომედია "შოუ იწყება" **13.20** დოკუმენტური ფილმი **14.45** ფანტასტიკა "სიღრმეში" **16.25** მულტფილმი **17.45** მუსიკა **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** დრამა "ბაჭიების გალია" **21.00** კომედიური დეტექტივი "რვა ქალი" **23.00** "სტარტი" **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** მისტიკა "იდენტიფიკაცია" **01.20** მუსიკა

### კავკასია

**11.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **12.30** საბავ. გადაცემა "ინკოგნიტო" **13.30** ინდ. მხ. ფილმი "უკვე შენს გვერდით ვარ" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.00** ტუწ-ემ **22.30** საქმე და ეკონომიკა **23.30** მხ. ფილმი "შემოვლა" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკა **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუსიკა **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** სერიალი "დიდი სახლი" **22.30** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე

### OPT

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сергей Никоненко в фильме **"ИНСПЕКТОР ГАИ" 11.00, 18.40** Сериал **"КЛОН". 12.20** Размер имеет значение в супербоевике **"ГОДЗИЛЛА". 15.20** "Угадай мелодию" **15.20** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ". 16.30** "Пять вечеров". Понедельник. **17.30** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ". 19.40** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Андрей Соколов в многосерийном фильме **"БЛИЗНЕЦЫ". 22.40** Спецрасследование. "Черные копатели". **23.30** Ночное "Время". **23.50** Искатели. "Пропавший бункер". **00.20** "Идолы". Элизабет Тейлор и Ричард Бартон. **00.50** "Русский экстрим". **01.20** Адам Болдуин в фильме **"ГАРГАНТЮА"**. Биолог Джек Эллвей, специализирующийся на изучении морской фауны, вместе со своим сыном Брэндоном приезжает на одинокий полинезийский остров, чтобы изучить эффекты недавних землетрясений в этой местности. Вместе с доктором Элисон Харт они начинают исследования затопленной океаном территории и вскоре делают такое открытие, о котором не могли даже помышлять. **02.40** Рутгер Хауэр в триллере **"МИСТЕР СТИТЧ"**. Доктор Ру Уэйкмэн проводит эксперименты как доктор Франкенштейн. Из 80 различных человеческих тел, он создает уникальное существо и называет его "Лазарус". Предполагалось, что новое творение будет идеальным солдатом с чистой памятью. Однако Лазарус неожиданно впитал в себя качества всех людей, из которых был "сшит". А вскоре ему удается сбежать из лаборатории. **04.10** Молодежная премия.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Анджела Лэнсбери в сериале **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: НОВЫЙ ПОВОРОТ СТАРОГО ДЕЛА". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Анатомия преступлений. **10.55** Сериал **"МАНГУСТ-2". 13.35** Роберт Вагнер в комедии **"СУПРУГИ ХАРТ: ГОРЯЧАЯ ПОРА" 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Андрей Соколов в сериале **"ЛИНИЯ ЗАЩИТЫ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ПАРНИ ИЗ СТАЛИ". 20.45** Сериал **"КАРУСЕЛЬ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"ЛАНДЫШ СЕРЕБРИСТЫЙ". 23.45** Чрезвычайное происшествие. **00.15** Премьера. "Пир коммунизма". Фильм Ильи Зимина из цикла "Новейшая история". **01.05** Особо опасен! **01.40** Адам Рифкин в фильме **"ДОБРО ПОЖАЛОВАТЬ В ГОЛЛИВУД"**. Режиссер Адам Рифкин решил снять документальный фильм о пути актера в Голливуде, от первой кинопробы до вручения Оскара. Для этого он пригласил начинающего актера Ника Деккера и предложил ему свою помощь в покорении звездного Олимпа, с условием что он все будет снимать на камеру. **03.15** Роб Лоу в сериале **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО". 04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Сериал **"ОПЕРАТИВНИК". 05.40** Чрезвычайное происшествие.

## სკანვორდი



ძველი ხალხური თქმულება ლეგენდარულ გმირებსა და ღმერთებზე; 2. ჩაკეტილი მრუდი; 3. წარსულში ცნობილი ქართველი მეწარმე და მეცენატი; 4. ფინელი სტაიერი, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 5. ერთცოლიანობა; 6. სახელმწიფო მეთაურის დროშა; 7. ქართველი კინორეჟისორი; 8. ძველბერძნული სიმებიანი საკრავი; 9. ჯ. ვერდი ოპერა; 10. განსაკუთრებული ნიჭიერება; 11. ისტორიული, მთიანი მხარე საქართველოში; 12. ადრეშუასაუკუნეების გამოქვაბული სამონასტრო ანსამბლი საქართველოში; 13. ბერძნული ანბანის ასო; 14. გერმანული ფაშიზმი; 15. ფრანგი მცერალი და ფილოსოფოსი, ნობელის პრემიის ლაურიატი; 16. უნგრული ხალხური ცეკვა; 17. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურიატი; 18. უნგრული ხალხური ცეკვა; 19. ქართველი სცენარისტი და რეჟისორი; 20. მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში "სპარტაკი"; 21. დიდი ფორმატის სქელი წიგნი; 22. პედაგოგიკის ნაწილი; 23. სიგრძის ერთეული; 24. სტეპის ბინადარი წყვილჩლიქოსანი ცხოველი; 25. ერთი ქვეყნის მოსახლეობის ერთობლიობა; 26. სხვადასხვა გადასახადის ნორმები; 27. სამეფო საბჭო ფეოდალურ საქართველოში; 28. საომარი მოქმედების მოსამზადებელი ადგილი; 29. ამერიკელი ფერმწერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე; 30. კუბური ხალხური ცეკვა; 31. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი; 32. გამოჩენილი ლიბერიელი ფეხბურთელი; 33. ჭრილობა, წყლული; 34. რისიმე ტოლფასი, თანაბრადღირებული რამე.

# პრემიერა ახლოვდება

## მე მუსიკის ვნება მაძლებინებს

სოფო კილასონია

*იგი ევროპის პირველი ხარისხის თეატრების სცენებზე მღერის, თუმცა ჩვენს თეატრში არასდროს უმღერია. დიდი სურვილის მიუხედავად, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერის სცენაზე დამდგარიყო, მას, უბრალოდ, არ იწვევდნენ. ნანა ქავთარაშვილი ქართველი მსმენლის წინაშე პირველად ვერდის "აიდას" საპრემიერო სპექტაკლებში წარდგება, რაც, თუ მასთან საუბრიდან ვიმსჯელებთ, ძალიან ახარებს და იმედი აქვს, რომ თეატრის ახალი ხელმძღვანელობა ხშირად მოიწვევს და ქართველ მსმენელს თავს აღარ დაავიწყებს.*



სცენა "ნაბუკოდან".

ნანა ქავთარაშვილის პირველი შემოქმედებითი წარმატებები იტალიაში დაიწყო, სადაც კონკურსში გამარჯვებით, პერსონალური სტეპენდია მოიპოვა და ჯუზეპე ვერდის სახელობის სტუდიაში კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები გაიარა. თუმცა, მანამდე ჯერ თბილისის კონსერვატორია, შემდეგ კი სენას (საფრანგეთი) Accademia Chigiana და პარმას (იტალია) არტურო ტოსკანინის სახელობის აკადემია იყო.

ქართველი სოპრანოს დებიუტი 1998 წელს ქალაქ ბუსეტოში, ვერდის მშობლიურ ქალაქში, ღია მოედანზე გაიმართა, სადაც მან, რომანო განდოლფის დირიჟორობით, ვერდის "ნაბუქოში" აბიგაელის პარტია შეასრულა. **"ეს ვერდის ყველაზე რთული ოპერაა, სარისკო საქმე იყო, დამწყებმა მომღერალმა არ უნდა გარისკოს ასე, რატომღაც, მანდეს ეს პარტია."**- მითხრა სოპრანომ და თან საკუთარ დებიუტთან დაკავშირებული განცდები და ემოციები გაიხსენა.

ამ გამოსვლის შემდგომ, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა მის კარიერაში - მისი შეხვედრა რენატა სკოტოსთან. **"დებიუტის შემდეგ, მე შევხვდი გამოჩენილ პედაგოგსა და ლეგენდარულ მომღერალს რენატა სკოტოს, აქედან დაიწყო ჩემი კარიერა, მასთან შეხვედრამ და მასთან მეცადინეობამ ძალიან ბევრი რამ შემძინა. 2001-2002 წლები მეტად ნაყოფიერი იყო ჩემთვის. მას შემდეგ დავიწყე ყველაზე მნიშვნელოვან თეატრებში სიმღერა."**

1999-2000 წლებში მომღერალი ლომბარდიის სხვადასხვა თეატრებში ასრულებდა ფედორას (ჯორდანოს "ფედორა"), სანტუცას (მასკანის "სოფლის პატიოსნება"), ტოსკას (პუჩინის "ტოსკა") როლებს. 2001 წელს მონაწილეობა მიიღო ქალაქ მონპელიეში (საფრანგეთი) გამართულ Radio France-ს ფესტივალში და ამავე წელს მან ვერდის "ბალ-მასკარადში" (ვალერი გერგიევის დირიჟორობით) ამელიას პარტია პირველად შეასრულა. სულ მალე მის რეპერტუარს ლედი მაკბეტის პარტია შეემატა (ჯუზეპე ვერდის "მაკბეტი"). ამ და სხვა ოპერებში შესრულებული წამყვანი პარტიებით სოპრანოსათვის ნანა ქავთარაშვილი მსმენლის წინაშე იტალიის, პოლონეთის, ჩეხეთის, სლოვაკიის და სხვა ქვეყნების საოპერო სცენებზე წარდგა. იმის მიუხედავად, რომ წინასწარ საუბარი არ უყვარს, ის მაინც გვითხრა, რომ მომავალი ორი წელი გასტროლებითა და მიწვევებით მთლიანად აქვს დაკავებული. წინ ესპანეთსა და იტალიაში (კალიარის "Teatro Lirico") ელის კონცერტები და სპექტაკლები.

კითხვაზე თუ რა არის მთავარი ნიჭიერი მომღერლისთვის წარმატების მისაღწევად, - ბევრი შრომა, სწორი განათლება, თავდაჯერებულობა და გაბედულებაო - მიპასუხა დაბოლოს, კიდევ ერთი და მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი დაუმატა - მუსიკისადმი უსაზღვრო სიყვარული და ვნება: **"ყველაფერი კომპლექსში უნდა გქონდეს. არ უნდა იყო მშიშარა, ნებისმიერ სირთულეს თამამად უნდა შეხვდე მომღერალი და საერთოდ, ხელოვანი. კიდევ ერთი, ვფიქრობ, ყველაზე მთავარი ისაა, რომ ადამიანში იყოს მუსიკის ვნება, ესაა, რაც მაძლებინებს პირადად მე და საერთოდ, ყველა მუსიკოსს. ეს თუ არ აქვს შემსრულებელს, მისგან ნამდვილი მომღერალი არასოდეს გამოვა."**

# პატარა უფლისწულის პლანეტა

ნია ნუცუბიძე

1944 წლის 31 ივლისს მფრინავმა, მწერალმა და პუბლიცისტმა სენტ-ეგზიუპერიმ უკანასკნელად დაუქნია ხელი ამხანაგებს და მისი თვითმფრინავი ჰაერში აიჭრა.

"თუ ჩამომაგდებენ, არაფერზე არ დამწყდება გული. ტერმიტების მომავალი ბუდე შიშის ზარსა მცემს, მეჯავრება ამ რობოტების გულოვნება. მე მებაღედ ვიყავი დაბადებული...", - წერდა სენტ-ეგზიუპერი თავის ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში. იმ დღის შემდეგ მისი თვითმფრინავი აღარავის უნახავს.

წერილის ამ სიტყვებით იწყებს ერთი მსახიობის თეატრში დადგმულ მონოსპექტაკლს სახელწოდებით - "პატარა უფლისწული" - მსახიობი მანანა სურმავა, რომელიც ამავდროულად დადგმის რეჟისორიცაა. პატარა უფლისწულის გარდა, სპექტაკლში ახლადაღმოჩენილ, დოკუმენტურ მასალებზეცაა საუბარი. თითქმის 60 წლის შემდეგ, 2003 წლის ფრანგულ ყოველდღიურ გაზეთ Le Monde-ში აღნიშნულია ფაქტი, რომ ქალაქ მარსელთან ნაპოვნია თვითმფრინავის ნარჩენები, რომელზეც ხელით ამოკაწრული ციფრი - 2743 ემთხვევა სენტ-ეგზიუპერის პერის სამხედრო ბარათის სარეგისტრაციო ნომერს...

ამას გარდა, კიდევ არსებობდა რომელიღაც მეთევზე, რომელმაც ზღვაში ოქროს ძეწკვის აღმოჩენისას, მასზე ეგზიუპერის, მისი ცოლის, კონსუელოსა და "პატარა უფლისწულის" ამერიკელი გამომცემლის გვარი იყო ამოტვიფრული... მაგრამ ათასგვარი მითქმა-მოთქმის საგნად გამხდარი, ოფიციალურად კი, საფრანგეთისთვის დალუპულად აღიარებული მწერლისთვის, მხოლოდ ეს ფაქტები არ კმაროდა, ხელისუფლება დოკუმენტურ მასალას ითხოვდა. დიდებს ხომ, პატარა უფლისწულისგან განსხვავებით სხვა - "უფრო სერიოზული" რამეები აინტერესებთ.

თავის მეგობარ - ლეონ ვერტისადმი მიძღვნილ ნაწარმოებში ავტორი ბავშვებს მიტევებას სთხოვს, რადგან ეს წიგნი მოზრდილს მიუძღვნა, ისიც ხომ ერთ დროს ბავშვი იყო...

საჰარის უდაბნოში აღწერილი ოქროსფერთმიანი პატარა უფლისწულის ზღაპარიც ბავშვობის სამყაროში დაბრუნებით იწყება. "საიდანა ვარ? - ჩემი ბავშვობიდან. ისე მოვედი ბავშვობიდან, როგორც რომელიმე ქვეყნიდან..."

სიწრფელე, უანგარობა, სამყაროს გულუბრყვილო ხედვა, მეგობრობა და სიყვარული, ანუ ის ფასეულობები, რომლებიც თანამედროვე საზოგადოების აბსურდულ შეხედულებებს გარკვეულწილად ეწინააღმდეგება. პატარა უფლისწული გაკვირვებულია მეფის, პატივმოყვარის, ლოთისა და საქმოსნის უცნაური პლანეტების ხილვით, რადგან მისი პლანეტა სიყვარულის პლანეტაა, ის ხომ გულით ეძებს თავის ერთადერთ ვარდს.

სპექტაკლის ბოლოს მანანა სურმავა თავად მოხაზავს იმ პეიზაჟს, რომლითაც მთავრდება კიდეც ეგზიუპერის ზღაპარი. სევდიანი პეიზაჟი პატარა უფლისწულის გაუჩინარების მაუწყებელია, ცაში მოციმციმე ერთი ვარსკვლავი კი, იმის იმედს გვიტოვებს, რომ პატარა უფლისწული აუცილებლად დაბრუდნება...

რაც შეეხება იმას, თუ რას ნიშნავს ეს დადგმა მანანა სურმავასთვის, რომელიც მან ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს "მრგვალ ბაღში" და ასევე, ტელევიზიის პირველ არხზე განახორციელა, თავად მსახიობისგან შევიტყობთ: "წლების წინათ ამ ნაწარმოების არჩევანი განპირობებული იყო რეაქციით იმ მოვლენების მიმართ, რაც მაშინ ხდებოდა. აქ არ არის ლაპარაკი მხოლოდ გაცრუებულ იმედებზე, ან სხვის გაფრთხილებაზე, საუბარი რწმენაზეა, ერთგულებაზე და იმ პრინციპებზე, რაც ადამიანს სწორედ ადამიანად აქცევს".

სპექტაკლის მხატვრები - ანკა კალატოზიშვილი და ზაზა ჯაფარიძე არიან, მუსიკალური გაფორმება მერი შეყილაძეს ეკუთვნის, ხოლო ქორეოგრაფი გია მარღანია გახლავთ. თეთრი ფერით გაფორმებული სპექტაკლი ტოვებს იმ სიწრფელის განცდას, რაზეც ეგზიუპერი გვესაუბრება. მისთვის, ადამიანური ურთიერთობების ფუფუნების მქადაგებლისთვის, პატარა უფლისწულის ამბის თხრობა სავსებით ბუნებრივი რამაა.

# ტურინის სუდარა ქრისტესდროინდელია

ჟურნალ Thermochimica Acta-ს ბოლო ნომერში გამოქვეყნდა ერთი მეტად საინტერესო კვლევა, რომლის ავტორიც, კალიფორნიის უნივერსიტეტის დოქტორი, ქიმიკოსი რეიმონდ როჯერსია.

მისი კვლევის მიხედვით, რომელიც ნიუ მექსიკოს შტატში, ლოს ალამოს ლაბორატორიაში ჩატარდა, დგინდება, რომ ტურინის სუდარა 1300-3000 წლის უნდა იყოს.

გამოდის, რომ აქამდე გავრცელებული მოსაზრება სუდარის სიყალბის შესახებ თვითონ არის ყალბი. 1988 წელს გამოქვეყნებული კვლევის ავტორები ხომ ამტკიცებდნენ, რომ ტურინის სუდარა შუასაუკუნეებში შექმნილი ყალბი ასლია ნამდვილი ქსოვილისა.

თუმცა, მაშინაც და ახლაც, ბევრი ფიქრობს, რომ უნიკალური რელიკვია, რომელზეც კაცის მკრთალი სახე იკითხება, არის ის სახვევი, რომელშიც ქრისტე გარდამოხსნის შემდეგ გაახვიეს.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ სუდარის წარმომავლობისა და ორიგინალობის შესახებ კამათი მეცნიერთა წრეებში დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. 1988 წელს ნახშირბადის რადიოაქტიური დაშლის ანალიზზე დაყრდნობით დაადგინეს, რომ სუდარა 1260-1390 წლებში იყო შექმნილი, ანუ ქრისტეს დროსთან არაფერი ჰქონდა საერთო.

როჯერსი კი ამტკიცებს: სპექტრომეტრია და მიკროქიმიური ტესტები ცხადყოფს, რომ რადიონახშირბადის კვლევისას გამოყენებული ქსოვილის ნაჭერი ამოჭრილი იყო იმ მიკერებული ნაჭრისგან, რომლითაც შუასაუკუნეებში მოღვაწე მონაზვნებმა ხანძრის დროს დაზიანებული სუდარა დაკემსეს.




"რადიონახშირბადის ნაჭერს სრულიად განსხვავებული ქიმიური შედგენილობა აქვს, ვიდრე სუდარის მთავარ ნაწილს", - აცხადებს როჯერსი და ამტკიცებს, რომ სწორედ ამის გამო ირწმუნეს მეცნიერებმა რელიკვიის შუასაუკუნეობრივი წარმომავლობის შესახებ.

ცხადია, როჯერსმა ეს დასკვნა ძირფესვიანი კვლევის შემდეგ გააკეთა. მან 1988 წელს გამოყენებული ნაჭერი სუდარის ქსოვილს შეადარა, ორივეს შემადგენლობა ცალ-ცალკე შეისწავლა და განსხვავებაც მათ შორის ასე აღმოაჩინა. კვლევამ აჩვენა, რომ 1988 წელს შესწავლილი ნაჭერი შეღებილი იყო იმ ტექნოლოგიით, რომელიც იტალიაში დაახლოებით იმ პერიოდში გაჩნდა, როცა ჯვაროსნების უკანასკნელი ბასტიონი თურქებს დანებდა, სადღაც 1291 წელს.

ტესტებმა, ასევე, დააფიქსირა ქიმიური ნივთიერება ვანილინი, რომელიც სუდარის დანარჩენ ნაწილში არ შეინიშნება.

როგორც ცნობილია, ვანილინი ლიგნინის თერმული დამუშავების შედეგად წარმოიშობა. ლიგნინი კი ქიმიური ნაერთია, რომელიც ისეთი მცენარეების შემცველობაში შედის, როგორიც სელია. ვანილინის ხარისხი კი სელისგან დამზადებულ ქსოვილებში დროთა განმავლობაში მცირდება.

ჟურნალში გამოქვეყნებული როჯერსის კვლევა კიდევ უფრო უმყარებს ზურგს ისრაელელი მეცნიერების დასკვნას იმის შესახებ, რომ სუდარა მართლაც ქრისტეს სხეულს ფარავდა. მათ ეს ბოტანიკური მაგალითებით დაადგინეს მას შემდეგ, რაც სუდარის ზედაპირიდან აფხეკილ მტვერში შეიცნეს მცენარეები, რომლებიც მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში ხარობდა.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

აცხადებს კონკურსს

"საქართველოს კინემატოგრაფიის ცენტრის" დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე

**2005 წლის 10 თებერვლის 16:00 საათამდე კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ:**

1. ორი ფოტოსურათი 3X4;
2. ავტობიოგრაფია (CV);
3. 3 სარეკომენდაციო წერილი კინოსა და კინომენეჯმენტის სფეროში მოღვაწე სხვადასხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირთაგან;
4. სამოტივაციო წერილი (არა უმეტეს 4 ნაბეჭდი გვერდისა), რომელიც წარმოაჩენს კანდიდატის ხედვას ქართული კინოხელოვნების განვითარების პერსპექტივაზე, კინოს დაფინანსების ალტერნატიული გზების, საერთაშორისო კავშირებისა და კინოქსელების რეაბილიტაციის შესახებ.

შერჩეული კანდიდატები გასაუბრებას გაივლიან 2005 წლის 15 თებერვლიდან 25 თებერვლამდე.
საბუთები მიიღება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში.

მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.N4

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების TACIS-ის პროექტი "საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის ტექნიკური დახმარება"

ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებს წილობრივი მონაწილეობით დაგეხმარებით:

- ექსპორტთან დაკავშირებულ მარკეტინგულ საქმიანობას
- სავაჭრო მისიებს
- სავაჭრო პარტნიორების მოწვევას საქართველოში
- მიზნობრივ ბაზარზე ექსპერტის დაქირავებას, ბაზრის კვლევისა და პარტნიორის მოძიებისათვის

გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- კონსულტაციები ექსპორტის საკითხებზე, რომელსაც გაგიწევთ პროექტის უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტები
- ტრენინგები ცალკეული კომპანიებისათვის, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით
- ინფორმაციით უზრუნველყოფა თქვენი მიზნობრივი ბაზრების შესახებ

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე: 37-95-00, 37-94-00

ჩვენი მისამართია: ალ. ყაზბეგის 42 ა
e-mail: gepinfo@gepa.org.ge

რესტორანი "დაკარგული სამოთხე"

12-დან 18 საათამდე მუშაობს ჯაფეს სტატუსით, სადაც ნებისმიერი კერძის ფასია 3 ლარი - 18 საათის შემდეგ კი, თითოეულ სტუმარს, რომლის მიერ შერჩეული მენიუ ღირებულება 25 ლარს გადააჭარბებს, მივართმევთ ღვინოს ("რქაწითელი") უფასოდ, განუსაზღვრელი რაოდენობით.

ძმები კაკაბაძეების ქ.№2 ("კინოს სახლში") ტელ: 999-207

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.